C M Y K

საერთო გაზეთი

№29 (341) ● 30 სექტემბერი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

ომი კენტავრებთან

კობა არაბული: ბიძინა ივანიშვილმა უნდა დაიწყოს ერის გადარჩენის მეორე ფაზა, პერმანენტული, უფრო გაბედული და მკაცრი, რომელიც შეუძლებელს გახდის მოვლენათა შებრუნებას...

ვინ „ამარაგებს“ „ქართულ ოცნებას“ ლიბერალების ძუძუთი გაზრდილი გამზარდიებით და კიდევ სხვა არგასაზრდელი კადრებით?

დავით მაღრაძე:

ამერიკა დაკარგავს სააკაშვილს, სამაგიეროდ, იპოვის საქართველოს!

გია სალუქვაძე: დიახ, გურია არის, იყო და ყოველთვის იქნება ქართული პოლიტიკის და პროგრესული აზროვნების ცენტრი

გუჩა აღამაშვილი:

ძალიან მიხარია, ეკა გიგაურმა რომ მიჩივლა... იქნებ ახლა მაინც გაირკვეს, რისთვის მიანიჭა მას ვანო მერაბიშვილმა კაპიტნის ჩინი...

არჩილ ჭყოიძე:

სამხედრო ნეიტრალიტეტი – ეს არის საქართველოს გადარჩენის ერთადერთი სწორი გზა

დაღო ბოქაძე:

200 000 ხელმოწერის შეგროვება ეს არის ბლეფი, რომელიც არაფერს შეცვლის

საერთო გაზეთი – ვაზეთი ეროვნული ეკითხველისთვის

ომი კენჭავრებთან

ივანიშვილმა უნდა დაიწყოს ერის გადარჩენის მეორე ფაზა, პერმანენტული, უფრო გაბედული და მკაცრი, რომელიც შეუძლებელს გახდის მოვლენათა შებრუნებას...

კობა არაბული

ერს გონიერი ადამიანი სჭირდება ლიდერად. როცა ქვეყანას ბრძენი მეთაური ჰყავს, მას სიმშვიდე ეუფლება და ხალხი იცლის საკუთარი საქმისთვის: მეურნეობისთვის, კულტურისთვის... გრძნობს, რომ არის ხელისუფალი, რომელიც მასზე ზრუნავს და მათში გადარჩენის შესაძლებლობას ხედავს... ჩვენ ვიცით, რა უბედურება შეიძლება დაატეხოს თავს ხელისუფალთა უგნურებამ: საფლავს გითხრიდეს და „საფლავის მცველად“ თავადვე გიდგებოდეს: „ისევ მე უნდა გიპატრონო!“ გეუბნებოდეს მკვლელი და მტარვალიო...

ჩვენ გამოვცადეთ ასეთი ბედის ირონია.

ჩვენ გამოვიარეთ „უკაცურობის“ დრო და „სიბრძნედაკარგული“ ერის დრამა...

* * *

მე უწინარეს წლებში ვწერდი წიგნს – „გველისმჭამელის წელიწადი“, სადაც იყო მოლოდინი და წინასწარი ხედვა უცნაური ადამიანის გამოჩენის, თითქოს ტვირთის დაბრუნების, რომელიც რაღაცას შეცვლიდა!

ასეთი ადამიანი კიდევაც გამოჩნდა, მოულოდნელად და თითქოს არსაიდან... რომელმაც მართლაც იხსნა ქვეყანა!

მაგრამ მყისიერად ჩაისახა და აღმოცენდა ქვეყანაში ამ პიროვნების განდევნის და „განეიტრალების“ ბაცილა... ქართველი კაცის შური „სხვისა სიკეთესა ზედან“ – გადაულახავი ეგოიზმი და უმადურობა... რასაც კატასტროფისკენ მივყავართ მერამდენედ და კიდევ ერთხელ...

ქართველებს შეუძლიათ ილია ჭავჭავაძის მოკვლაც და რუსთაველის გაძევებაც... საკუთარ ქვეყანაში და საკუთარი ქვეყნიდან... აი, ასე, ჯერ „დამარხავს“ ღირსეულ მამულიშვილს და მერე ატეხს „ვაი-უშველებელს“... ეს ჩვენი მარადიული ჭირია, რომელიც წესად გვექცა...

კაცობრიობის წამყვანი ქვეყნები „ტვინებს“ ეძებენ, იდეათა და „ახალ ცოდნათა ბანკებს“ ქმნიან, სხვადასხვა ქვეყნებიდან „იპარავენ“ სწავლულებს, რომ საკუთარი ქვეყანა ააყვავონ!.. ყველაზე ძვირად ინტელექტი და ღირსება ფასობს! ჩვენთან რა ფასდება და ვინ ფასობს, ვისი ღირსება და ცოდნა – ვერ გაიგებ!

ჩვენი ოპოზიცია და ხელისუფალნიც ადამიანს (პიროვნებას), რომელიც ფლობს რაიმე ცოდნა-ღირსებას და უახლოვდება გარკვეულ სიბრძნეს, ამა თუ იმ სფეროში, დევნიდნენ და დევნიან! რა სინდრომია ეს? რა წესია, ვის უნახავს უვიცთა შენებული ქვეყანა?!

* * *

როდესაც გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც გალაკტიონი კაკალაშვილში არ ერევა, რომელიც ბარათაშვილის, გინდა რუსთაველის „სენტენციებით“ გვესაუბრება: ჩვენი „ყოფილნი“ და „ახლანდელნი“ სამთავრობოები და არასამთავრობოები „შოკში“ ვარდებიან. მათთვის სრულიად მიუღებელია (გაუგებარია) ნათელი და გონიერი ადამიანის (ლიდერის) გამოჩენა, რომელიც უპირისპირდება ხისტ, უწიგნურ ცნობიერებას! მათ ისეთი პრეზიდენტი ურჩევნიათ, ამაშუკელმა „კარალევა მარგო“ რომ დაარქვა... რა თქმა უნდა, მათთვის გაუგებარია „რასაცა გასცემ შენია!..“ რადგანაც ისინი არაფერს არ „გასცემენ“ შურის და ბოღმის გარდა, მხოლოდ ძარცვავენ და მოიხვეჭენ... არ ანებებენ ადამიანს მათ მიერ გაჩანაგებული და მორღვეული ქვეყნის აღდგენას, მისი ღობის და ინტერიერის გასწორებას. ეს „ყვავები“ და „ჭილყვავები“ ვერ განდევნა „ქართულმა ოცნებამ“ და ვერც ხალხმა მოიგერია...

გუშინ ვუყურებდი გაბუნიას, ზედანიას და ნინია კაკაბაძის გამოსვლას „რუსთავი-2“-ზე – არასოდეს ყოფილა (არც ბოლშევიკი ჩეკისტების დროს) ასეთი ზიზღი საკუთარი ეკლესიისა და ტრადიციების მიმართ, უპატივცემულობა ქართული-ქრისტიანული ცნობიერების მიმართ, რამაც გადაარჩინა საქართველო...

უნდა „დაიბლოკოს“ ღიად და პირდაპირ ასეთი ორგანიზაციები და ტელევიზიები, რომლებიც მიზანმიმართულად ანგრევენ სახელმწიფოს, ეს უნდა იყოს პირდაპირი და ღია (დაუფარავი) ბრძოლა „შიგნიდან ციხის გამტეხთა“ და მათ მფარველ ევრო-ატლანტიკურ კენტავრებთან...

* * *

აბსოლუტურად მიუღებელია ზოგიერთი მინისტრის და სამინისტროს ძალადობა და ობსტრუქციული მოქმედება მთის აყრილ თემთა წინააღმდეგ:

– ხის მოჭრის, თუნდაც საკუთარ ეზოში!

– ქვიშის ამოღების – მათი სოფლის მდინარიდან!

– გზის მიყვანა ფერმამდე, გნებავთ, სასაფლაომდე!

– მიცვალებულის სასახლისთვის ფიცრის ჩამოხერხვის და ყოველივე მსგავსის აკრძალვის და ჯარიმების გამოწერა!

რა ქნას თემმა, სადაც სამი კომლი ცხოვრობს, სოფელმა, სადაც ერთი კომლი შემორჩა, საიდან მოიტანოს შეშა, სარი, კოჭი, ქვიშა... რომელიც მდინარეს ჩამოაქვს და ამ თემ-სოფლების ნამოსახლარები ტყემ მოიცვა!

რესპუბლიკელი მონსტრის აგულაშვილის მსტოვრები კი მიდიან და დაუნდობლად აჯარიმებენ იმნ თითო-ოროლა მოსახლესაც, რომელიც იქ შემორჩა და აყრის პირობებს უქმნიან!

რა არის ეს, საბოტაჟი ხელისუფლების წინააღმდეგ მოსახლეობის აჯანყებისთვის?

* * *

ასეთი კანონები არ შეიძლება! ან უნდა იყოს გრადაცია! კანონი მოქმედებდეს იქ, სადაც ამის აუცილებლობაა, და შეჩერდეს იქ, სადაც არ არის საჭირო ამ კანონთა არსებობა!

რამდენი ხე უნდა მოჭრას სოფლის უღრანში ჩარჩენილმა ერთმა ან ორმა კომლმა, რომ დაჯარიმო!

რამდენი მასალა უნდა მოჭრას ხევსურეთში მისულმა ერთმა ოჯახმა, რომ დასაჯო.

რამდენი ქვიშა უნდა ამოიღოს არაგვიდან ბარისახოს საგზაომ ან სოფლის მკვიდრმა, რომ 2 000 ლარი დაუწესო? დასდევენ დიდო-ოროლა მოსახლეს, რომ სადმე ხე და ჯოხი არ მოჭრან, ან გზა არ მიიყვანონ სასაფლაომდე და სალოცავამდე. თუ გზაში ხეა?!

არადა, ასე იქცეოდნენ ჩემი იქ ყოფნის დროს ამ ზაფხულს სახელმწიფო მოხელენი – ბუნების დაცვის ინსპექტორები.

* * *

ხოლო დაცული ზონა, რომელიც თითქოს ხევსურეთისთვის იქმნებოდა, სიცრუე აღმოჩნდა, იგი პირიქითა ხევსურეთის ერთ თემს მოარგეს და მთელი ხევსურეთის აღშფოთება გამოიწვიეს, ამით გათიშეს და დააპირისპირეს პირიქით-პირაქეთი.

„დაცული ზონის“ ასეთი დისპროპორცია – არასწორად დაგეგმვა სრულიად შეუსაბამო აღმოჩნდა ხევსურთა ძირითადი თემებისთვის: სიშფის, ლიქოკის, გუდანის, დათვისის, ბაცალიგოს და ასე სხვათათვის, სადაც მოსახლეობის 90% ცხოვრობს და სამეურნეო სივრცის და საკრალურ-მითოლოგიური ზონების 90 % აქ მდებარეობს...

რესპუბლიკელ აგულაშვილს ვაფრთხილებ, დააკვირდეს მოვლენებს, შეწყვიტონ საბოტაჟის მსგავსი რამ, რაც ნეგატიურ ფონს ქმნის...

სამაგიეროდ, აქ არავინ არ ამბობს იმაზე, თუ რას აკეთებს სასიკეთოს ხელისუფლება: შავი არხები შავი ცარცით ხატავენ მოვლენებს და ქვეყანას შავ სარკეში ახედებენ...

* * *

ამ დროს არც ერთი ინვესტიცია და გრანტი მთის თემებისთვის, ერთი მეურნეობა, ერთი ფერმა ვერ გავაკეთეთ! ვის წისქვილზე ვასხამთ წყალს – სააკაშვილის თუ მაკკეინის, თუ სულაც...

ჩვენმა მომდევნო „შუალედურმა“ თაობამ ეს ძალადობა და „უღმერთობის სივრცე“ უნდა დაძლიოს ჩვენი თანადგომით!..

* * *

ჩვენ გვჭირდება მთავრობა და მისი ლიდერი, რომელიც შეიცნობს და გამოარჩევს ნიჭიერს ხელოვნებაში და ზოგადადაც... შეიცნობს ადამიანთა ფსიქოტიპებს ცხოვრებაში და პოლიტიკაში, ის გაარჩევს ფსევდო-მოღვაწეს, ფსევდო-ხელოვანს ნამდვილი შემოქმედისგან და მიუზღავს თავის წილს, ეს იქნება უკეთესი დრო ჩვენი ხალხისთვის... ასეთ დროს ჩვენ უნდა მივუახლოდვეთ...

ივანიშვილი შეეცადა ამ დროის მოყვანას, მაგრამ არ აცდიან ბოკერიაგაბაშვილები, თუ ალასანია-მალასანიები, შალიკო-პალიკოები, მკვლელი, შიზოიდი საკაშვილის ლეკვები ებლანდებიან ფეხებში...

ივანიშვილმა უნდა დაიწყოს ერის გადარჩენის II ფაზა, პერმანენტული, უფრო გაბედული და მკაცრი, რომელიც შეუძლებელს გახდის მოვლენათა შებრუნებას...

* * *

წედან კენტავრი ვახსენე...

ჩვენი ბრძოლა კენტავრებთან დაიწყო...

ხარი უფლის ნაკურთხი ძლიერი ცხოველია, მაგრამ იგი არ არის იუპიტერი, მას არ შეუძლია „იუპირტერთან“ ბრძოლა...

მაგრამ, მითის მიხედვით, გუდანის ჯვრის სახვთო ხარმა დაამარცხა ერწოს ტბიდან ამოსული გველ-ვეშაპი. ხარს რქებზე ბასრი ალმასი ეკეთა. ეს იყო უფლის მიერ ნაბოძები იუპიტერის ენერგია, რომლითაც ხარი აღიჭურვა თემის მიერ, ქადაგის კარნახით...

* * *

XXI საუკუნე ისეთივე უღმერთოთა და ურწმუნოთა დროს მოიცავს, როგორიც ქრისტეს წინარე ეპოქა იყო. როდესაც ძველი ღმერთები დაიღუპნენ და ჯერ არც ახლები სჩანდნენ...

იბერიის კარიბჭესთან აღმართავენ საიერიშოდ ჯაყვებს...

ჩვენი ერი უნდა შეიმოსოს იუპიტერის ენერგიით და შეუპოვრად წავიდეს კენტავრულ ომებში.

ეს ომი ქართველმა ერმა უნდა მოიგოს, ძლიერი, ქარიზმული ლიდერის (ბელადის) მეოხებით და ხვთიურ ძალთა სინერგიით, როგორც ოდესღაც ქაჯებთან ომი მოიგო ხახმატის ჯვრის „უხორცო მეომართა“ ლაშქარმა!

ეს იქნება საკრალური, საღვთო ომი გადარჩენისთვის!..

* * *

თუ პირველსავე სიტყვას მოვალთ, უნდა ვთქვა, რომ: არ მომწონს ეს დრო და დავიდარაბა, რომელსაც მეჯროვენი ქმნიან და მართავენ...

არ მომწონს ხე;ისუფალთა მიმართება დროსთან და ვითარებასთან, მათი ლმობიერება, მათი გაორება.

ისინი უნდა შეეცადონ დროთა და მოვლენათა შეცვლას.

ისინი მკვეთრად უნდა დაუპირისპირდნენ ზნეობრივ ძალადობას ერზე შიგნიდან და გარედან და კენტავრული სინდრომის გამოვლენას!

ისინი (ხელისუფალნი) მკვეთრად უნდა დაუპირისპირდნენ ერის წიაღში გარედან გადმოსხმულ „დესანტს“ – ათასი ჯურის „პანდორას ყუთებს“ და „ტროას ცხენებს“, მავნებელ ტელეარხებს და არასამთავრობო ჯაშუშებს...- ისინი დაუნდობლად უნდა დაუპირისპირდნენ სახელმწიფოს შიგნით გაჩენილ მღრღნელებს (ათასი ჯურის მედროვე მოღალატე პარტიებს) შიგნიდან რომ ხრავენ ერის ზნეობრივ და მატერიალურ-სივრცეს (ქსოვილს)... ანგრევენ ქვეყნის სახელმწიფოებრივ სისტემებს... მოდი, ვთქვათ და გამოვაცხადოთ საგანგებო ვითარება შესაბამისი ექსტრემალური, დრამატული ვითარებისთვის და ყოველი მოღალატური, ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი სეგმენტი გაუქმდეს – სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებით!

* * *

ბიძინა ივანიშვილის გარეშე საქართველოში დარჩება უიმედობის ცარიელი სივრცე, უპიროვნებო ქვეყანა...

ადამიანებს სჭირდებათ ადამიანის იმედი!

ოკუპირებულ, ნაციონალების მიერ აოხრებულ ქვეყანაში მოვიდა იგი, ერის ყოფნა-არყოფნის პერიოდში და საბედისწერო ზღვართან შეაჩერა.

დაუშვებელია „უსამშობლოო“ ხალხის იერიში ჩვენს სამშობლოზე, პატრიოტებზე, მამულიშვილებზე!..

ლიბერასტების და მათი მხარდამჭერების იერიში ერის ზნეობრივ სივრცეზე...

„გაცოცხლებული მკვდრების“ ცილისწამება ცოცხლებზე, ფსევდო-მორალის და მორალისტების აღმოცენება... მათი ბრძოლა საკუთარი უზნეობის გადასაფარად – სხვათა ზნეობის დასამხობად!

დაუსჯელობის სინდრომის დამკვიდრება, „ქართული ოცნების“ მიმტევებლობის და ჰუმანურობის გამოყენება მათსავე წინააღმდეგ...

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „გამომცემლობა საბჭოთა“; ტელ.: 599 95 31 90
ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ვინ „ამარაგებს“ „ქართულ ოცნებას“ ლიბერალების ძუძუთი გაზრდილი გამზარდიებით და კიდევ სხვა არგასაზრდელი კადრებით?

არჩილ გამზარდია

არჩილ გამზარდია, რომელსაც ტელეკომპანია „ჯიდიესზე“ საავტორო გადაცემა „კვირის 20/30“ დაუხურეს, ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილი უფრო „კრუტოი ტიპი“ ეგონა და თურმე ბატონი ბიძინა ადამიანებში კარგად ვერ ერკვევა. საქართველოში 90-იანი წლებიდან მოყოლებული დემოკრატიას ვაშენებთ, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასაც „კბილებით“ ვიცავთ, აქედან გამომდინარე ყველას აქვს უფლება თავისი აზრი თავისუფლად გამოხატოს, მაგრამ ის მაინტერესებს მავანთ „თავისუფლად გამოხატვის წყურვილი“ მაშინ რატომ ეძალებათ, როცა ბიძინა ივანიშვილი თავის ადგილს მიუჩენს, ანუ მსუყე „კარმუშკას“ ჩამოაცილებს ხოლმე. ივანიშვილი შეიძლება მართლაც გადამეტებულად ენდობა ვიღაც-ვიღაცებს, რომლებიც მოხერხებულად „შეუცურებენ“ ხოლმე რბილად რომ ვთქვათ, არასათანადო კადრებს. ასე რომ არ ყოფილიყო ვერც გამზარდია (ბევრი სხვაც) აღმოჩნდებოდა „ჯიდიესში“, ვერც ნაფტალინწაყრილი, ურეიტინგო პოლიტიკოსები და ე.წ. ექსპერტები გიგი თევზაძის საკუთრებად ქცეულ „ილიას უნივერსიტეტიდან“. სოროსის ძუძუთი ნაკვები არჩილ გამზარდია „ჯიდიესის“ თანამშრომელი გახლდათ, როცა ბოკერიას ცოლის ტელევიზიაში „მძიმე კაცს“ ესტუმრა და კითხვაზე, მმაკაცის დასთან სექსუალურ ურთიერთობაში თუ შეხვალო, უპასუხა, თუ თვითონ თანახმა იქნება, რა პრობლემაა. ამას რომ კაცი იტყვის, როგორ შეიძლება ის ბიძინა ივანიშვილთან, ამ ზნეობისა და მორალის მიმდევარ ადამიანთან, მუშაობდეს?

ჟურნალისტის კითხვაზე, ამბობენ, რომ თქვენ პოლიტიკურ რეპრესიაში მოყვითო (ნეტავ ის მაცოდინა, ამას ვინ ამბობს), გამზარდია პასუხობს, რომ ბიძინა ივანიშვილისგან არა, მაგრამ მისი გარემოცვის ზოგიერთი წევრისგან გარკვეული ზეწოლა ჰქონდა. რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მისთვის გაურკვეველი სტატუსის მქონე პირებისთვის აზრის კითხვას ურჩევდნენ, როცა კაცი, რომელსაც გადაცემის მთავარი პროდიუსერის პოსტიც ეკავა, საჭიროდ არ თვლიდა ვინმესთვის რაიმე შეეთანხმებინა. მე არ ვიცი რამდენად კომპეტენტურები იყვნენ ის „გაურკვეველი სტატუსის“ მქონენი, მაგრამ ნამდვილად აჯობებდა ბატონ გამზარდიას კვალიფიციური რჩევები გაეთვალისწინებინა, რადგან მისი საავტორო გადაცემა ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდა ხარისხით და რეიტინგით.

კერძო ტელეკომპანიის მფლობელს სრული უფლება აქვს დახუროს ის გადაცემა, რომელიც არ მოწონს, თუმცა ინგა გრიგოლიას გადაცემების დახურვის გამო, ლამის ანათემას გადასცეს ნაციონალებმა და მათმა მხარდამჭერებმა ტელეიმედის მფლობელები. რამდენადაც ვიცი „ჯიდიესი“ ბიძინა ივანიშვილს კი არა, მის შვილს ეკუთვნის და საერთოდაც რატომ იყო ვალდებული ბიძინა ივანიშვილი ვინმეს წინაშე თავი ემართლებინა. თურმე საქართველოში თავისუფალი სიტყვის შეზღუდვასთან დაკავშირებით კითხვები ჩნდება, თუმცა ვის უჩნდება ეს კითხვები ესაა მთავარი, ნაციონალებს, რომელთა მმართველობის დროსაც პანტაპუნტით იხურებოდა დამოუკიდებელი ტელევიზიები? ქვეყანაში რომ რთული ვითარებაა, რომელიც თურმე სულ უფრო მძიმდება, ხალხი და ხელისუფლება სხვადასხვა სივრცეშია, მაშინ რატომ ახსენდება იმ ხალხს, როცა ხელისუფლებაში და ივანიშვილის გარემოცვაში აღარ არიან?

ერკვევა თუ არა კარგად ბიძინა ივანიშვილი ადამიანებში „საერთო გაზეთს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრა.

ჯორჯ სოროსი

- ეს ხალხი სანამ ბიძინა ივანიშვილთან იყვნენ დითირამბებს უმღეროდნენ, როცა გამოუშვეს მისი ლანძღვა დაიწყეს, თურმე ბიძინას ხალხის არჩევა არ სცოდნია. კონსტანტინე გამსახურდიას აქვს ნათქვამი, რომ ჩვენში მოღალატეები სჭარბობენ ერთგულებს. სამწუხაროდ, კადრების შერჩევა საკმაოდ რთულია, კადრებმა დაღუპეს ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძეც საკუთარმა გარემოცვამ გაყიდა, საქართველოში ოდითგანვე ღალატით ხდებოდა ხელისუფლებიდან ჩამოცილება. ბიძინა ივანიშვილი მამაღმერთი ხომ არ არის, რომ შეცდომა არ მოუვიდეს, ვიღაცას ხომ უნდა ენდოს, ვიღაცას რეკომენდაციას უწევენ განათლებული, კარგი პიროვნებააო, მას შუბლზე ხომ არ აწერია, რომ მოღალატეა. ბატონი ბიძინას დადანაშაულება, რომ ადამიანებში ვერ ერკვევა ძალზე გადაჭარბებული მგონია. მთავარი ვინც არის, ვგულისხმობ ირაკლი ღარიბაშვილს, მისი ერთგული, ყველა ვთანხმდებით იმაში, რომ ის ეროვნული კაცია, ივანიშვილის პოლიტიკას ატარებს, ვიღაცეები კი ამღვრევენ წყალს, მაგრამ ფაქტია, რომ პრემიერი ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ წავიდა, კატეგორიულად თქვა ამას არ დავუშვებო, ანტიდისკრიმინაციული კანონიც იმ სახით არ შევიდა, როგორც სხვებს უნდოდათ. „ენჯეოთა“ ნაწილსაც იმიტომ არ მოსწონს ირაკლი ღარიბაშვილი, რომ ტრადიციებისა და ოჯახის მოყვარული ადამიანია. რაც შეეხება დაბალ რგოლებს, თქვენც კარგად გეხსომებათ როგორ აქებდა გია ხუხაშვილი ბიძინა ივანიშვილს, საერთოდ ადამიანები, რომლებიც ყველა მთავრობას „ერგებიან“ და ასე თუ ისე მაღალ პოზიციებზე არიან, ისინი უფრო საშიშები არიან, როგორ შეიძლება ყველასთან კარგად იყო, ეს ჩემში ეჭვს იწვევს. ბიძინა ივანიშვილს რომ კადრების შერჩევა ეშლებოდეს ბიზნესსაც ვერ ააწყობდა, ვერ გახდებოდა მილიარდერი, ვერც საკაშვილსა და მის გუნდს ჩამოაცილებდა ხელისუფლებიდან. საბედნიეროდ არ არსებობს იმის ალბათობა, რომ ბიძინა ივანიშვილი თავისი კადრის ღალატის გამო დამარცხდეს. ამ ხუხაშვილებს, ალასანიებს და ა.შ არც მოვიაზრებ მის კადრებად. გაიხსენეთ ირაკლი ალასანიას ცოლის სიტყვები, ჩემს სულიერ სიმშვიდეს განაპირობებს ბიძინა ივანიშვილიო, თურმე ცხოვრებაში ძლივს სულიერად მშვიდად იყო. როგორც კი ალასანიამ საეჭვო მოძრაობა დაიწყო, ჩვენ დავდეთ კიდეც დოკუმენტები, რომ მან არჩევნები გაყიდა, მოგეხსენებათ ზუგდიდის მაჟორიტარობაზე იყრიდა კენჭს, როლანდ ახალაიას სპეციალურად გაურიგდა, რომ ამ უკანასკნელს საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ალასანია საკუთარ კანდიდატურას რომ დააყენებდა, სამეგრელოში მის სასარგებლოდ ემუშავა, რადგან ახალაიას იქ დიდი გავლენა ჰქონდა. ეს იყო ალასანიას ჩანაფიქრი, რომლის შესახებაც ინფორმაცია უშიშროების სამსახურის მაშინდელმა თანამშრომლებმა მოგვაწოდეს. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ პერსონები, რომლებიც გარკვეულწილად უპირისპირდება ბიძინა ივანიშვილს, ის ხალხია, რომლებიც არაფერს წარმოადგენდნენ, საერთოდ ნაფტალინში ჩადებული გვეგონა და ამ ადამიანმა გააცოცხლა, მაგრამ ასეთები ბევრი არ არიან, ერთი ალასანიას გუნდია, რომელმაც ასეთი ღალატი ჩაიდინა და რამდენიმე ვიგინდარა, დანარჩენები მასთან არიან.

- რესპუბლიკელების ერთგულებაშიც ასე დარწმუნებული ხართ?

- რესპუბლიკელები არც ყოფილან ივანიშვილის გუნდის წევრები, უბრალოდ კოალიციაში კვოტის სუბიექტები არიან, უბრალოდ გარკვეული იდეის ქვეშ გაერთიანდნენ კოალიციაში, ხვალ თუ სხვაგან აღმოჩნდებიან, ეს ნამდვილად არ არის ბატონი ბიძინას პრობლემა. ერთი რამ ფაქტია, ბიძინა ივანიშვილი იმ ხალხს უნდა დაეყრდნოს, ვინც რეალურად ეროვნულ პოზიციებზეა. ჩვენი მოსახლეობის დაკვეთაა იმ მეტასტაზებიდან გათავისუფლება, რომლებიც ხელისუფლებაშია შეყრილი.

ხელისუფალმა ყველას თავისი ადგილი უნდა მიუჩინოს, მაგრამ პრემიერი ცუდ მდგომარეობაშია, რადგან ეს მეტასტაზები უკვე მოედო ხელისუფლებას, რომლისგან არგათავისუფლებაც სიკვდილის ტოლფასია. სამწუხაროდ მარტო ჩვენ არ გვჭირს ეს უბედურება, აგერ 50-მილიონიან უკრაინას თავზე დაასვეს ისეთი ხელისუფლება, რომელიც უკრაინელი ხალხის პოზიციას არ გამოხატავს. ახლახანს ტელევიზიით ვნახე უკრაინაში როგორ დაარბიეს ერთ-ერთი ეკლესია, რამაც მამა ბასილის ეკლესიის დარბევა გამახსენა. ვთქვათ, ის ეკლესია

ნიკოლოზ მჟავანაძე

რუსეთის საპატრიარქოს ექვემდებარება, ეს ამართლებს მის დარბევას? თბილისშიც არის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესია, რომელიც ადრე რუსეთის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა, მაგრამ არავის დაურბევია. რაც უკრაინაში ხდება, ნამდვილად არ არის უკრაინელი ხალხის დაკვეთა, იქ საერთოდ საშინელებები ხდებასაუბარია პროსტიტუციის ლეგალიზებაზე, თურმე ქუჩებში ჯიხურებს დადგამენ ვნებების დასაკმაყოფილებლად, ასევე საუბარია ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, გეიაღლუმების ჩატარებაზე, მგონი ჩატარდა კიდეც, ერთი სიტყვით, უკრაინა უფსკრულისკენ მიექანება. ჩვენთან ხელისუფლების, კერძოდ, ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურებაა, რომ აქამდე არ მივედით, მაგრამ მასაც უწევს გარკვეული თამაში, როცა მსოფლიოში ასეთი პროპაგანდაა, იზოლაციაში ვერ მოექცევი. ჩვენს მეფეებსაც უწევდათ პოლიტიკური თამაში, რაც დიდად არ სიამოვნებდათ, მაგრამ სახელმწიფო ინტერესი ამას მოითხოვდა.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

დავით მაღრაძე:

ამერიკა დაკარგავს სააკაშვილს, სამაგიეროდ, იპოვის საქართველოს!

„საერთო გაზეთის“ სტუმარია პოეტი დათო მაღრაძე:

— დათო, ახლახან, იტალიის ერთ-ერთ ულამაზეს რეგიონ კალაბრიაში თქვენი წიგნის პრეზენტაცია შედგა. გილოცავთ, ამ დიდ წარმატებას. გვიამბეთ, რას ეძღვნება წიგნი.

— დიახ, იტალიაში კერძოდ, კალაბრიის რეგიონში ჩემი წიგნი — „დათო მაღრაძის პოეზია — აღმოსავლეთი და დასავლეთი“ გამოიცა. კითხვაზე რომ გიპასუხოთ, ამისთვის საჭიროა 2013 წელი გავიხსენოთ, როდესაც კალაბრიაში შუა საუკუნეების ციხესიმაგრეში — კასტელო რუფოში, ცერემონია გაიმართა, სადაც საპატიო პრიზი — იოანე პავლე II-ის სახელობის სახელმწიფო პრემია გადმომეცა ხელოვნების დარგში. ეს მოხდა ქალაქ შილლეში. როგორც ადგილობრივ მუნიციპალიტეტში მითხრეს, ამ ციხესიმაგრეში ცერემონიები ძალიან იშვიათად იმართება, რასაც გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ. მიხარია, რომ ეს პატივი მეც მერგო. ზემოხსენებულამდე, იტალიის სხვადასხვა მხარეში, ხუთი წიგნი გამოიცა. იოანე პავლე II გარდა იმისა, რომ რომის პაპი იყო, მისი სალიტერატურო მოღვაწეობა სიმბოლოდ იქცა. სხვათა შორის, 2009 წელს შვეიცარიაში ლიტერატურული კონკურსი ჩატარდა, რომლის გრან-პრი რომის პაპის მედალი იყო. ჩემი წიგნი სწორედ, ამ მედლით დაჯილდოვდა. ამ დროს უკვე იოანე პავლე II ცოცხალი აღარ იყო. იქ, ასეთი წესია, როცა რომში ახალ პაპს ირჩევენ, პრიზებზე, მედლებზე მისი გამოსახულება ჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს რომის პაპი უკვე ბენედიქტე მე-16 იყო, მედალს კვლავ იოანე პავლე II-ის გამოსახულება ჰქონდა. დავუბრუნდეთ, 2013 წლის ცერემონიაზე გადმოცემულ პრიზს. მკითხველის თვალსაჩინოებისთვის გეტყვით, ამ პრიზის ლაურეატი გახლავთ უდიდესი მაესტრო დირიჟორი რიკარდო მუტი. იმ პერიოდის პრესაში ჩემს წიგნზე ევროპელი კრიტიკოსების იმდენად ბევრი რეცენზიები გამოქვეყნდა, რომ გადაწყვიტეს ჩემი შემოქმედების შესახებ წიგნი გამოეცათ. ოღონდ, იგი მხოლოდ ჩემს შემოქმედებაზე როდია, წიგნის დიდი ნაწილი საქართველოს ისტორიის გაცნობასაც ეძღვნება. წიგნში მკითხველს მიეწოდება ინფორმაცია თუ საიდან ვარ, გამოქვეყნებულია საქართველოს რუკა, რუსთაველის პორტრეტი, წმინდა ნინოს ფრესკა, საუბარია „ვეფხისტყაოსანზე“, ოქროს ხანაზე, წმინდა ნინოს შემოსვლაზე და ა.შ. იგეგმება წიგნის ქართულ და ინგლისურ ენებზე თარგმნა. წიგნის შემდგენლები და გამომცემლები არიან ჯოვანი ნუჩერა, კარმელო ნუჩერა და ჩვენი თანამემამულე ნინო მაზიაშვილი. აქვე აღვნიშნავ, რომ ცერემონიაზე დიდი მოხსენებით წარსდგა ლიტერატურის ცნობილი კრიტიკოსი ფრანჩესკა ნერი, რომელმაც შემდეგი რამ თქვა: „დათო მაღრაძე არ ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს. იგი თავისი შემოქმედებითა და ღირებულებებით ჩვენი ყველას მონაპოვარია. ყველას გვამდიდრებს და, რაც მთავარია, იმ ფასეულობებს გვახსენებს, რომლისთვისაც სიცოცხლე ღირს“. ევროპაში, ჩემი წიგნები, აქტიურად იბეჭდება. თურქეთში, სტამბოლში ორი წიგნი გამოვიდა, ერთ-ერთი — „ჯაკომო პონტი“ გამომცემლობა „ბაბილი“-მ გამოსცა. ჩემი წიგნები, ასევე, გამოცემულია ლონდონსა და გერმანიაში. აქვე, ერთიც მინდა ვთქვა — ლიტერატურული აგენტები არ მყავს, არც მყოლია, და არც არასდროს მეყოლება. არამედ მყავს მეგობრები და არა ლობისტები, ან ლიტ.აგენტები. მყავს ძალიან კარგი მეგობრები და ეს ყველაფერი ამ ადამიანური ურთიერთობების ფონზე კეთდება. კონტრაქტებს მხოლოდ გამომცემლებთან ვაფორმებ და არა ლიტ.აგენტებთან. ჩემი წესი ასეთია.

— როგორც აღნიშნეთ, იტალიაში უკვე ხუთი წიგნი გამოეცით, რაც ჩვენი კულტურის გაცნობის კუთხითაც მისასალმებელია, თუმცა ამის ფუფუნება ყველა მწერალს როდი აქვს. ჩვენთან მწერლობა სულს ღაფავს, სახელმწიფომ მასზე ხელი დაიბანა და იგი თავის დინებაზე მიუშვა. რამდენად სწორია ასეთი მიდგომა?

— საერთოდ, ხელოვნება ერთეულების ხვედრია, ეს მასობრივი გატაცების საგანი არ არის. ლექსი იმ ასპარეზის საგანი არ არის, რომელსაც მთელი მოსახლეობა შეესევა და ამით დიდ გამარჯვებას მიაღწევ. ისე არ გამიგოთ, თითქოს თავს ერთეულებს ვადრიდე. იღბალიცაა საჭირო. პოეზია მასიური დაინტერესების სამყარო არ არის, ყველა ხელს ვერ დავიკაპიწებთ და მას როგორც ზვრებს ისე ვერ შევესევით. რაც შეეხება სახელმწიფოს, ვიცი რომ თარგმანს და უცხოეთში ქართველი ავტორების გამოცემებს აფინანსებს, არამარტო თანამედროვეს, არამედ კლასიკასაც. თუმცა, გაუგებარია შერჩევის პრინციპი. რასაც მიხსნიან, ამის არ მჯერა, ანუ მათი თქმით, ვისითაც უცხოელი გამომცემლები ინტერესდებიან, ქართული მხარეც მარტო იმათ აფინანსებს. მათი საუბრიდან შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს, უცხოელმა გამომცემელმა ქართული ლიტერატურა ზედმიწევნით შეისწავლა, ამოარჩია რომელიმე ავტორი და იგიც და ქართული მხარეც სწორედ მის მიერ არჩეულ ავტორს აფინანსებენ. სინამდვილეში, ეს ასე არ არის, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ევროპელი გამომცემელი კი არ ირჩევს ქართულ გამოცემას, არამედ „ჯაზისა და ძვალთშასალაგის სამინისტრო“ ირჩევს მისთვის მიზანშეწონილ, სასურველ მწერალს თუ ვის უნდა მისცეს საგარანტიო წერილი ევროპელ გამომცემელთან წარსადგენად. თუ ევროპელი გამომცემელი „ჯაზისა და ძვალთშასალაგის სამინისტროს“ მიერ შერჩეულ მწერალს აირჩევს, მაშინ ქართული მხარე აქედან მის თანადაფინანსებას უზრუნველყოფს.



— როგორც ჩანს, თქვენი განწყობა კულტურის სამინისტროს მიმართ არ შეცვლილა.

— დიახ, ახლაც მრავალმხრივ კრიტიკული ვარ, უფრო ზუსტად კი იმ რეალობას ვაფასებ, რასაც ვხედავ. ავიღოთ, თუნდაც, ფრანკფურტის ფესტივალის საკითხი, რომელიც სხვათა შორის, ჩვენთან 2018 წელს გაიმართება. სამინისტრო ფრანკფურტის ფესტივალისთვის მზადებას ისე შეუდგა, რომ საერთოდ, კონცეფცია არ ჰქონია. მე, ნაირა გელაშვილს, როსტომ ჩხეიძეს გვქონდა კონცეფცია, მაგრამ არ მოგვისმინეს, ეტყობა სამინისტროში ჩვენი მოსაზრებები არ აინტერესებთ, ალბათ, გრანდიოზული მოაზროვნეების წრე ჰყავთ.

— თქვენი კონცეფცია რას ითვალისწინებდა, რატომ არ იღო ყურად იგი „ჯაზისა და ძვალთშასალაგის მინისტრმა“?

— ვიმეორებ, სამინისტროს საერთოდ არანაირი კონცეფცია არ ჰქონდა. ჩვენი კონცეფციის თანახმად განსაზღვრული გვქონდა ქართული მითოლოგიის, ანდაზების თარგმნა, გვინდოდა ქართული ხელოვნება უფრო დიდი მასშტაბით წარმოგვედგინა და მხოლოდ ლიტერატურით არ შემოვფარგლულიყავით. ვფიქრობდით, რეპერტუარში ჩაგვერთო დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომელიც ითარგმნებოდა და გამოიცემოდა. ასევე, გერმანიის რომელიმე ქალაქში დაგვეგეგმა თეატრის გასტროლი, სადაც თუნდაც „სამანიშვილის დედინაცვალს“ ან რომელიმე სხვა პიესას ვაჩვენებდით. გარდა ამისა, ჩვენი გეგმის ნაწილი იყო გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობის“ თარგმნა და პარალელურად, გიორგი შენგელაიას ფილმის „ალავერდობის“ ჩვენება და ა.შ. საკმაოდ მკაფიო კონცეფცია გვქონდა. არის შემთხვევები როდესაც ესა თუ ის ნაწარმოები ინგლისურ ან გერმანულ ენაზე 20 წლის წინ არის გამოცემული, რაც სრულებით არ ნიშნავს, რომ თავი ქუდში გვაქვს. იგი შეიძლება თავიდან გამოიცეს, ახალ გამოცემას ახალი სიცოცხლე მოაქვს, ამ ყველაფერზე სამუშაოა, მაგრამ ამისათვის სათანადო კვალიფიკაცია უნდა გაგაჩნდეს. როდესაც სამინისტრო თვლის, რომ ასეთი საქმის ორგანიზება არაკვალიფიციურ ადამიანებსაც შეუძლიათ, სათქმელი აღარაფერია. თავიდან ვთქვი, რომ ფრანკფურტის 2018 წლის ფესტივალს რეჟისორი სჭირდება-მეთქი. ისე დაუძახეს რეჟისორებს, არც მკითხეს რეჟისურაში რას ვგულისხმობდი. ეგონათ, თეატრის ან კინოს რეჟისორი ვიგულისხმე. მოკლედ, ამ მხრივ, „ძვირფასად“ საქმიანობენ და წარმატებებს ვუსურვებ. მე ამ საქმიანობაში ნამდვილად აღარ ჩავერევი. ჩემი განზრახვა იყო, რომ ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის გზაზე რაიმე სასარგებლო გაკეთებულიყო, თორემ პირადად მე ფრანკფურტის ფესტივალის ორგანიზატორები ყოველთვის მპატიჟებდნენ და 2018 წელსაც დამპატიჟებენ. წელან ვახსენე რომ მე, როსტომ ჩხეიძეს, ნაირა გელაშვილს გარკვეული კონცეფცია გვქონდა. სხვათა შორის, როსტომ ჩხეიძე გამოსცემს „ჩვენს მწერლობას“, ნაირა გელაშვილი — „აფრას“, ლაშა და რეზო თაბუკაშვილები — „მეოცე საუკუნეს“, რომელსაც მოგვიანებით „ახალი საუკუნე“ ეწოდა, შადიმან შამანაძე — „არილს“, მე „ქომაგს“ გამოვცემდი. „ჯაზისა და ძვალთშასალაგის სამინისტრო“ როდესაც ფესტივალის საკითხებზე მსჯელობდა, ამ ხალხს დაუკავშირდა?!

— ალბათ, გამომდინარე ამ ყველაფრიდან შეურჩიეთ კულტურის სამინისტროს ეს სახელი?

— დიახ, ესაა „ჯაზისა და ძვალთშასალაგის სამინისტრო“. აი, ზუსტად ასე დაწერეთ. თუმცა, იქ, ჩემთვის არაერთი ახლობელი, პატივსაცემი, ღირსეული ადამიანი მუშაობს, რომელთა წინაშეც ბოდიშს ვიხდი.

— ამ ძვალთშასალაგში, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მწერლობა კანონგარეშეა.

— პირადად, მე სამინისტროს ჩემი შემოქმედებით დაინტერესების და პოპულარიზაციის მიზნით შემოქმედებაში დახმარების საშუალებას არ ვაძლევ და არც არასდროს მივცემ. ეს ჩემი არჩევანია, რომელიც სახელმწიფო შემწეობებს არ ითვალისწინებს. ჭაბუკობაში გოგენის მეგობრებისადმი მიწერილი წერილი წავიკითხე, რა დროსაც მას ძალიან უჭირს და პარიზში მეგობრებს წერს: იქნებ იპოვოთ რომელიმე სამხატვრო გალერეის მეპატრონე ან კოლექციონერი, რომელსაც წელიწადში გარკვეული ოდენობის ნახატს გავუგზავნიო და მისი ნამუშევრების შესასყიდად მიზერულ ფასს ასახელებს. მეგობ-

→

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

რებმა ვერავინ იპოვეს, ვინც გოგენის ნახატებს შეისყიდდა და შეწუხებულებმა საფრანგეთის განათლების სამინისტროს დახმარების ფონდს მიმართეს და გამოყოფილი მიზერული თანხა გოგენს გაუგზავნეს. გაჭირვებაში მყოფი გოგენი ამ თანხას უკან აგზავნის და მეგობრებს წერს: ჩემი ბრალია, ეტყობა, ვერ დაგანახეთ, რომ ჩემი ბრძოლა სახელმწიფო შემწეობებს არ ითვალისწინებდაო. ეს, ჭაბუკობიდან დამამახსოვრდა და ყოველთვის ვცდილობდი ჩემით მიმეღწია რაიმე შედეგისთვის და არა სახელმწიფოს დახმარებით. არცერთი ჩემი წიგნი, არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ, სახელმწიფოს ხარჯით არ გამოცემულა და არც თარგმანი მომხდარა ბიუჯეტის სახსრებით. შემდგომშიც ასე ვაპირებ ცხოვრებას.

ერთ საინტერესო რამეს გეტყვით: ერთ-ერთი გამომცემელის თქმით ფრანკფურტის ფესტივალზე მოთხოვნაა ავტორები 40 წლისა და მის ქვემოთ იყვნენ. 40 წელს გადაცილებულებით ფესტივალი არ ინტერესდებაო, რაც სწორი არ არის. 53 წლის ვარ, არც დაბადების მოწმობა მაქვს გადაკეთებული, მაგრამ როგორც ერთ ადამიანს, ერთ პოეტს ფრანკფურტის ფესტივალიდან მოწვევა ყოველ წელს მომდის. ასევე, სხვა სახის შეთავაზებები – მაგიდა, პრეზენტაცია, პრესკონფერენცია, რა დარბაზი მინდა, რა ფართობი და ა.შ. არავის უთქვამს 40 წელს გადასცდი და აღარ მოგიწვევთო.

– სახელმწიფომ მწერლებზე არ უნდა იზრუნოს? როგორც 90-იან წლებში იყო ასევე უნდა გაგრძელდეს ინერციით?

– იცი რა არის, რომ წერ, ეს არავის ბრალი არ არის. საბჭოთა ინერცია იყო ასეთი – რადგან ვწერ, სხვა დანარჩენმა – მთავრობამ და მოსახლეობამ უნდა მარჩინოსო. წიგნს გამომცემელი თუ გამოგიცემს, კონტრაქტს დადებ და ჰონორარს მიიღებ. სხვა, ზედმეტი არაფერი გერგება. რატომ გეკუთვნის იმ ობოლზე მეტად ვისზეც წერ? გული რომ ამიჩუყე და სიტყვაზე, ქვრივ-ობლებზე რაღაც მოთხრობა დაწერე, იმაზე მეტს რატომ ითხოვ ვისი ტკივილიც საზოგადოებამდე მიგაქვს? ეს ცოტა პარაზიტული განწყობილებები საბჭოთა ინერციამ გადმოიყოლა – შემოქმედი ვარ, ამიტომ მარჩინეთო. თუმცა, მივესალმები პროექტს, რომლის თანახმად კულტურის სამინისტროში გამოიყოფა თანხა, რათა ქართული ლიტერატურა ითარგმნოს და ა.შ. კარგი იქნება თუ სტიპენდიებიც დაწესდება. ჩვენ არ ვართ განვითარებული ქვეყანა შვეიცარია, აქ, ბევრი ყოფითი გაჭირვებაა, რამაც შეიძლება ლექსიც დაგავიწყოს და საღებავიც. ასე თუ ისე, რაღაც ხელშეწყობა აქაც არის, თუმცა დიდი მასშტაბის არა, მაგრამ სამინისტრო სალიტერატურო სამყაროში ფულს ხარჯავს, რაც კარგია. კიდევ უფრო კარგი იქნება თუ თანხები უფრო სწორი მიმართულებებით დაიხარჯება.

– დათო, პოლიტიკა და ხელოვნება, რა გავლენას ახდენს ეს ორი სფერო ერთმანეთზე?

– პოლიტიკა პოლიტიკაა. ხელოვნება ხელოვნებაა. ვამბობთ, რომ ქვეყანა ევროატლანტიკური ალიანსისკენ მიისწრაფვის, მაგრამ რამდენად მზად ვართ, ამას არავინ კითხულობს. ასოცირების ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი – ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა, შენებას! ვის აქვს წაკითხული რა ვალდებულებებს იღებს საქართველო? ვგულისხმობ, საზოგადოებას, რომელიც იმას ესალმება, რაც წაკითხული არ აქვს. ხომ უნდა გავაცნობიეროთ, ერთმანეთს ავუხსნათ, ვისაუბროთ ამ თემაზე. არ უნდა ვიცოდეთ რა ვალდებულებებს ვიღებთ? ამის მერე რაღა მოგვეთხოვება – არ ვიცით რას გვავალდებულებს ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება და ისე გვიხარია. ეს ძალიან უცნაურია. შეიძლება მართლა მიესალმო რაღაცას, ოღონდ გააზრებულად. რაც შეეხება ხელოვნებას, მას პოლიტიკისგან განსხვავებით თავის გზა აქვს, ამ გზაზე შეზღუდვები არ არსებობს. ვერცერთი პრეზიდენტი, პრემიერი თუ პარლამენტი, ამ გზაზე ვერავის გადაეღობება. კულტურას თავის გზა აქვს და იგი, პარლამენტის გადაწყვეტილებებით არ იზღუდება. ძალიან მნიშვნელოვან მაგალითს გეტყვით: ლენინგრადის ბლოკადის დროს, მეორე მსოფლიო ომში, ლენინგრადის ფილარმონიის ორკესტრმა ბეთხოვენის მეცხრე სიმფონია შეასრულა. მათ ბეთხოვენის გერმანელობამ ხელი არ შეუშალათ ეს ნაწარმოები შეესრულებინათ. ახლახან, მეორე მსოფლიო ომის 70 წლისთავი აღნიშნეს. ამჯერად, ბერლინის ორკესტრმა შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონია შეასრულა, რომელიც ბლოკადას ეძღვნება. აი, ესაა კულტურათა დიალოგი, გადაძახილი. პირადად მე ერთნაირი სიხარულით შევხვდი რომში გამომავალ ჟურნალში „პოეტები და პოეზია“ სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ ჩემს პოემას „იტალიის გზებზე“ და ასევე, რუსეთის ჟურნალ „Äðóæáà í àðîäîâ-ში „ჯაკომო პონტიდან“ ცხრა თავის დაბეჭდვას. ამ ჟურნალზე ჩინგიზ აიტმატოვმა თქვა: იგი ეტლია, რომელშიც შეუძლია მწერალს ჩაჯდეს და თუ რაიმე ღირებული შექმნა, იგი სამყაროს შემოატარებსო. აქვე აღვნიშნავ, გამომცემლობა „ვიტანოვამ“, რომელიც სოლჟენიცინის, ცვეტაევას შემოქმედებას გამოსცემს, პეტერბურგში ჩემი წიგნი გამოსცა. ნატალია საკალოვსკაიას მეილი მომივიდა, რომელიც მატყობინებს, რომ ჩემი წიგნი ნევის პროსპექტზე „ვიტანოვას“ მაღაზიაში იყიდება. ასევე, არანაკლებ გამიხარდა, როცა შევიტყვე, ლონდონში ჩემი ინგლისურენოვანი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. ებრაული ლიტერატურის ინტერნეტსაიტზე, ებრაულ ბლოგში ბრწყინვალე ებრაელი პოეტის მიერ ითარგმნა და დაიბეჭდა ჩემი ლექსი „სამშობლო“ და „ჯაკომო პონტიდან“ პროლოგი. ამ ყველაფრამდე კი სექტემბრის დასაწყისში „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნდა ჩემი ლექსი „CV“.

– ახლა ახსენეთ, ხალხმა არც იცის ისე უხარია რაღაცებიო. ეს, ალბათ, იმის ბრალიცაა, რომ სამოქალაქო საზოგადოება ვერ შედგა. თუნდაც, მან ვერ გააცნობიერა, რომ მთავრობა ბატონი კი არა მისი მსახურია.

– რაც ყველაზე მეტად მომწონს ამ ხელისუფლების და რასაც ივანიშვილმა ჩაუყარა საფუძველი ის იყო, რომ სინგაპურიზაციის საპირწონედ ევროინტეგრაცია შემოგვთავაზეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. რაც უფრო მეტად გავაბამთ ევროპასთან სულიერ ურთიერთობას, ჩვენთვის მით მნიშვნელოვანი იქნება. რუსეთთან ამ ურთიერთობას იგივე გასაქანი არ ექნება, ეს ილუზიაა. იმიტომ, რომ რუსეთის იმპერიას ამოცანად ჰქონდა თავისი კულტურის ინტეგრაცია და ლიტერატურის პოპულარიზაცია მის მიერ შემოერთებულ და დაპყრობილ ქვეყნებში. აშშ-ს არ აქვს განზრახვა, რომ აქ ფოლკნერის საღამოები ჩაატაროს ან მელვილის იუბილე გადაიხადოს.

აქვე ერთსაც გეტყვით: რამდენიმე წლის წინ საქართველოში ბევრად უფრო პრო-ამერიკული განწყობილებები იყო, ვიდრე დღესაა. ეს „ნაცმოძრაობასა“ და დანარჩენ მოსახლეობას შორის განხეთქილებამ გამოიწვია. მოსახლეობას დარჩა შთაბეჭდილება, რომ მასთან დაპირისპირებაში აშშ-ს პოლიტიკური ისტებლიშმენტი პირდაპირ „ნაცმოძრაობას“ უჭერდა მხარს. აქ, გამოსავალი ერთია – ამერიკა დაკარგავს სააკაშვილს, იპოვის საქართველოს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„ესა, შვილო, კანაფის ფოთლებია, რომლისგანაც „პლანი“ მზადდება... გაიზრდები და მოწევ...“

საქართველოს განათლების სისტემაზე რა ენა მოუბრუნდება ვინმეს სირინოზა მინისტრის შემხედვარეს, მაგრამ ეს „სირინოზი“ ისე ნეტარებს სავარძელში, ცოტა თუ არ შევუძახეთ, ნამეტანი გლახა ამბავი დაემართოს იქნებ პრეზიდენტ მარგველაშვილის ბუხჰალტერშას...

საინტერესოა, „პლანის“ რამდენი ფოთოლი დაჭირდება ქალბატონ განათლების მინისტრს შვილებს რომ აუხსნას რაშია საქმე... ანუ, ჯერ თვით უნდა დაბოლდეს? – სხვანაირად ვერ გამოვა თანამედროვე მათემატიკის ახსნა...

ვცრუობ? – იხელეთ სურათი!..

ეს რა ჯანდაბაა, აბა, კიდევ ერთხელ დახედეთ!

რამდენი ფოთოლია? ყვავილი? სოკო? პეპელა?

კი, როგორმე დათვლის მე-2 კლასელი ბავშვი რა და რამდენია, მაგრამ ასე უცნობ ფოთოლზე რომ ჰკითხავს მშობელს, ეს რა ფოთოლიაო, ნეტავ, ვინ და როგორ აუხსნის შვილს, ესა, შვილო, კანაფის ფოთლებია, რომლისგანაც „პლანი“ მზადდება... გაიზრდები და მოწევ... ცოტა მოიცადე და ასე მე-8-9 კლასში რომ გადახვალ, მოწევ.

აღნიშნული ამოცანა მათემატიკის მე-2 კლასის სახელმძღვანელოდანაა – პატივცემულებო, ვისაც ეს საკითხი გეხებათ, საკუთარ ოჯახში გნებავთ პლანი მოწიეთ, გნებავთ „ჯეფზე“ და „კრაკადილზე“ შემსხდარხართ, მაგრამ ნარკოტიკის პროპაგანდა სკოლაში, სად ნახეთ, ვისგან გადმოიღეთ?

ეს ყველაფერი ცუდი, მაგრამ ნუთუ ერთი სკოლის ერთი დირექტორი არ აღმოჩნდა, რომელიც სიტყვას მაინც დაასველებდა, ეს რა გაპარულა თუ ჩადებულა სასკოლო სახელმძღვანელოშიო?

თუმცა, სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, ჯერ მათი განუმეორებელი მარგალიტები წავიკითხოთ, რაც სკოლის დირექტორების კონკურსის ფუნქციური წერის გამოცდების შედეგებად დევს:



„ისტორიის მასწავლებელი არის ახალბედა, სულ ორი წლის...“

„დღეისათვის ხელოვანმა, გამოცდილმა პედაგოგებმა ძლიერი ზარი უნდა შემოვკრათ საუკუნეების მიღმა უღრანებში დავანებულ კაცობრიობის ცოდნასა და განათლებას და გადავცეთ ის ახალბედა პედაგოგებს...“

„უკეთესი ხარისხის ამაღლების მიზნით ჩვენ ვეძებთ გზებს...“

„ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია პრიორიტეტულია მხოლოდ დაწყებით კლასებში...“

„ჩვენ სასწრაფოდ გვჭირდება საფუძვლიანი შეკეთება, თორემ მალე რემონტს აღარ დავექვემდებარებით...“

„სკოლას კაპიტალური რემონტი არ ჩატარებია, მხოლოდ კოსმეტიკა წავუსვით...“

„ჩემს სკოლაში პედაგოგებს არ მოჰკლებიათ ცარცი...“

„სკოლა საჭიროებს შებათქაშებას და შეგაჯვას...“

„თვითმმართველობის ორგანომ უარი მითხრა დაფინანსებაზე. აბა, ის ორგანო რა ორგანოა, უარს რომ გეტყვის საჭიროების შემთხვევაში...“

„ჩვენი ვალია აღვზარდოთ მოსწავლეები, რომელნიც ამავე დროს იქნებიან მოზარდები...“

„გასულ სასწავლო წელს ავად ვიყავი. ახლა, იმედია, ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულიც მექნება და ყველაფერს განვახორციელებ...“

„ისტორიის მასწავლებელი სულ ახლახანს დაბერდა...“

„ჩვენი სკოლა, მართალია, ნახმარია, მაგრამ კარგად შენახული...“

„თქვენს მიერ გამოთქმული უკმაყოფილება ჩემს მიმართ, რამაც მაიძულა ამ ანგარიშის დაწერა თქვენს მიმართ, უსაფუძვლოა...“

„ჩვენი მოსწავლეები მაღალი ხარისხით გამოირჩევიან...“

„ჩვენი სკოლა ემსახურება მხოლოდ 4 კმ რადიუსის მქონე ბავშვებს...“

„მყავს უცხო ენის პედაგოგი, რომელიც გასულია პენსიაში, მაგრამ არ უნდა ბოლომდე გასვლა...“

„თვალსაჩინო ადგილას გამოვფინეთ სახელმძღვანელოთა ავტორები...“

„ბავშვებში ჩადებული კაპიტალი ბუმერანგივით დაუბრუნდება სამშობლოს...„

„ჩვენი სკოლის ისტორიის მასწავლებელი 64 წლისაა. მიუხედავად ამისა, სურს ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილოს, ამიტომაც, გთხოვთ, გადაგვიმზადოთ...“

„სკოლაში მიგრაციამ თითქმის მოსახლეობის მაქსიმუმს გადააჭარბა...“

„სკოლაში აღმოიფხვრა კორუფცია და დიპლომატია...“

„ისტორიის მასწავლებელმა გააჩინა ტყუპი ვაჟები და სულ დაავიწყდა პროგრამა...“

საინტერესოა, რამდენ ფოთოლ „პლანს“ ეწევა ის, ვისაც ამ ქვეყანაში რამე ეკითხება განათლების სისტემაში?

გიორგი ჩხეიძე

არჩილ ჭყოიძე:

ჩავატაროთ რეფერენდუმი და გავარკვიოთ, სინამდვილეში რა სურს ქართველ ხალხს?

სამხედრო ნეიტრალიტეტი — ეს არის საქართველოს გადარჩენის და განვითარების ერთადერთი სწორი გზა

ინტერვიუ „ერეკლე მეორის საზოგადოების“ ხელმძღვანელთან არჩილ ჭყოიძესთან.

— როგორც დაგეგმილი გქონდათ, ჩაატარეთ აქცია საქართველოს ნეიტრალიტეტის მოთხოვნით. რამდენადაც ვიცით, საკმაო რაოდენობით ხალხი შეიკრიბა. კმაყოფილი ხართ? როგორი იყო პირველი ნაბიჯის შედეგები?

— აღსანიშნავია, რომ აქციაზე აბსოლუტურად შეგნებულად მოვიდა ხალხი, რეგიონებიდანაც კი იყვნენ, საკუთარი სახსრებით და არა ისე, „ნაცმოძრაობის“ აქციებზე დასწრებისთვის რომ ფულს იხდიდნენ და ტრანსპორტის ხარჯებსაც თვითონ რომ უნაზღაურებდნენ.

ჩვენ რომ სარეკლამო დრო გვქონოდა ტელევიზიებში, გაცილებით მეტი ხალხი მოვიდოდა.

მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ეს აქცია ქართულმა ტელევიზიებმა პრორუსული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული აქციის სახელით გააშუქეს.

ვსვამ კითხვას — პრორუსული ორიენტაცია რატომ არის ის, რომ ჩვენ გვსურს სამხედრო ნეიტრალიტეტი?

მაგალითად, უკრაინა საომარ მდგომარეობაში იმყოფება რუსეთთან, მაგრამ ამ ორ ქვეყანას აქვს დიპლომატიური ურთიერთობა.

ის, რომ ჩვენ გვსურს რუსეთმა საზღვრები კვლავ არ გადმოსწიოს, ლტოლვილებს ახალი ნაკადები არ დაემატოს, ეს არ მგონია პრორუსულობას ნიშნავდეს.

ჩვენი მოთხოვნაა, საქართველოს ტერიტორიაზე არ იდგეს არც ამერიკის, არც რუსული და არც სხვა ქვეყნის სამხედრო ბაზები. სად არის აქ პრორუსული პოზიცია?!



არ შევხვდეთ ჟირინოვსკის, ზუგანოვს, იგივე ვლადიმერ პუტინს. აბა, ვის უნდა შევხვდეთ. სხვას არავის შეუძლია ჩვენს შორის კონფლიქტის მოგვარება.

პირდაპირ ვთქვათ, აფხაზეთის და სამაჩაბლოს პრობლემების მოგვარება შესაძლებელია რუსეთში და შეუძლია ერთ კაცს, ეს არის ვლადიმერ პუტინი.

ეს ის ვლადიმერ პუტინია, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტს მარგველაშვილს ორჯერ სთხოვა შეხვედრა და უარი მიიღო — დასავლეთთან კონსულტაციების შემდეგ გადავწყვეტ ამ საკითხსო. დღემდე ვერ გადაწყდა ეს პრობლემა. სხვათა შორის, ეს შემოთავაზებები წინ უსწრებდა თანამშრომლობის ჩარჩო-ხელშეკრულებებს, რომლებიც შემდეგ დაიდო აფხაზეთსა და რუსეთს, ე. წ. სამხრეთ ოსეთსა და რუსეთს შორის.

ასე რომ, ჩვენი აქცია არ ყოფილა პრორუსული ძალების გამოსვლა, ეს იყო ჯანსაღი და სწორი მიდგომა პრობლემისადმი, ეს იყო იმ ხალხის შეკრება, ვისაც აინტერესებს ამ ქვეყნის ბედი.

რამდენიმე ხნის წინ ამ აქციის მონაწილე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა პრეზიდენტს მიმართეს და შეხვედრა სთხოვეს. ადმინისტრაციიდან მიიღეს პასუხი — პრეზიდენტი ხვდება მხოლოდ და მხოლოდ იმ ჯგუფებს, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსშიო. ეს არის უპასუხისმგებლო განცხადება.

— ორი ქალბატონი აქტიურობდა ძალიან. ვინ იყვნენ, ისინი?

— ორივე იყო პროვოკატორი და სპეციალურად შემოგზავნილი. ერთი ითხოვდა რუსეთთან შეერთებას, მეორე პრორუსული ძალებით აშინებდა საქართველოს მოსახლეობას. საინტერესო ისაა, რომ რატომღაც, ყველა ტელევიზიამ ეს ორი ქალბატონი ჩაწერა და სხვა ვერავინ ნახა, შეკითხვა რომ დაესვა.

მაგრამ დავანებოთ ამას თავი.

ჩვენ დღეს ვართ უმძიმეს მდგომარეობაში. იქნებ ახლა მაინც მივხვდეთ, რომ დროა დავიწყოთ ფიქრი სამხედრო ნეიტრალიტეტზე.

— რას გულისხმობთ, როცა უმძიმეს მდგომარეობაზე ლაპარაკობთ?

— ყველა ხედავთ, რა ხდება მსოფლიოში.

სისხლისღვრაა სირიაში. ეს ქვეყანა დღეს ორი ზესახელმწიფოს დაპირისპირების პოლიგონად არის ქცეული. მიზეზი ერთია, რუსეთის საზღვრებთან არეულობა ამერიკის ინტერესებში შედის.

ერაყი, ლიბია, იუგოსლავია, ავღანეთი ამ კონფლიქტებს შეეწირა. ერაყში 100 000-ობით ადამიანია დახოცილი მას შემდეგ, რაც დემოკრატიის დამყარება დაიწყეს ამ ქვეყანაში.

ჩვენ არ გვინდა არც ერთი აგრესიული სახელმწიფოს გვერდით დგომა და ჩვენი აქციაც ემსახურებოდა მშვიდობას, იმას, რომ საქართველო იყოს დაცული და თავი შორს დაიჭიროს ყოველგვარ სამხედრო კონფლიქტში ჩარევისგან.

— თავდაცვის მინისტრმა თქვა: რუსეთის შესაძლო აგრესიას გმირულად შეეწირება ქართველი ხალხი, სანამ ცოცხლები ვართ, აქ ვერ გაბედავენ შემოსვლასო.

— რა უნდა გითხრათ ამაზე?! ეს ის ადამიანია, რომელიც, თუ რაიმე უბედურება მოხდა, პირველი თვითონ გაიქცევა აქედან. ან რა უნდა იომოს თინა ხიდაშელმა, კარგით, რა.

სანამ ცოცხლები ვართო. მაინტერესებს, 2008-ში სად იყო ხიდაშელი, არ იყო ცოცხალი?

ბოლო ხანებში მე ვისმენ ბატონი ჯონდი ბაღათურიას გამოსვლებს. მისასალმებელია მისი ინიციატივა, რომ უნდა დალაგდეს ურთიერთობები რუსეთთან, მაგრამ 2008 წელს პარლამენტში რომ იმყოფებოდა, არ მსმენია მისგან ასეთი რამ.

მინდა იცოდეთ, ამ ადამიანს პატივს ვცემ, მაგრამ, უბრალოდ, ვკითხულობ: 2008-2009-10-ში ვერ ხვდებოდა, რომ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება აუცილებელი იყო და 2015-ში მივიდა ამ დასკვნამდე?

საითაც დაუბერავს ქარი, იქეთ გადახრა არაა კარგი საქმე.

ბატონ ჯონდის და ბევრ სხვას, თავის დროზე რომ ამოეღოთ ხმა, 2008 წლის ტრაგედიას ავიცილებდით.

თუმცა, იცით, რა ხდება? რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში საქართველოსადმი მიმართებაში ჯერ არ არის გამოკვეთილი რაიმე კონკრეტული ნაბიჯები, თორემ ასეთ დონეზე საუბრები და შეხვედრები არ იქნებოდა.

ჩვენ უნდა გავატაროთ ჩვენი, ქართული პოლიტიკა და როცა ამბობენ მეგობარი სახელმწიფოებიო, გავითვალისწინოთ, არავითარი მეგობრობა არ არსებობს პოლიტიკაში. ჩვენ არ გვყავს არც ერთი მეგობარი ქვეყანა. არც ერთ ქვეყანას არ ჰყავს მეგობარი სახელმწიფო, ყველა ქვეყანას ჰყავს პოლიტიკური პარტნიორები. ჩვენც ურთიერთობები უნდა ავაწყოთ პარტნიორობაზე.

დასავლეთისთვის ავღანეთის მისია შეიძლება იყოს სასიცოხლოდ მნიშვნელოვანი, მაგრამ ეს ჩვენთვის არაა პრიორიტეტი, თუ მაინცადამაინც, უნდა მოვითხოვოთ ერთგვარი პოლიტიკური საფასური და არა ისე, ჩვენი ბიჭების გვამები და ომიდან დაბრუნებული დასახიჩრებული მეომრები რომ გვყავს.

თუნდაც ავღანეთი საქართველოსთან უფრო ახლოსაა, ვიდრე აშშ-სთან. ხვალ ან ზეგ, როცა ავღანეთიდან ჯარები გავლენ, ავღანური საფრთხე ჩვენ დაგვემუქრება და არა აშშ-ს.

→

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ჩვენი ძირითადი პრობლემა შევარდნაძიდან მოყოლებული სააკაშვილის ისტერიულ აპოთეოზამდე იყო და არის ის, რომ საქართველოს გრანდიოზული მსოფლიო პრობლემები უნდა გადაეწყვიტა. მიდიოდა საუბრები – სნნ-ზე ჩვენზე ლაპარაკობენო და ა.შ. მთელი მსოფლიო თუ ჩვენზე ლაპარაკობს, ძალიან ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე. ბელგიაზე მსოფლიო არ ლაპარაკობს, არც დანიასა და ფინეთზე, მაგრამ მშვენივრად არის იმ ქვეყნების საქმე.

არ მაინტერესებს ევროპელი ლტოლვილების ბედი ჯერჯერობით, რადგან ვერ მიგვიხედია სოხუმიდან ლტოლვილებისთვის და სამაჩაბლოდან დევნილებისთვის. ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი ქართველი დევნილები უსახლკაროდ და მშივრები გვყავს, 100 000-ზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფნი გვყანან, ამიტომაც, უკაცრავად, მაგრამ ვერ ავღელდები აფრიკიდან

და სხვა ქვეყნებიდან ლტოლვილების გამო. მათ პრობლემებს გავითავისებ მაშინ, თუ მივიღებ ჩვენი ლტოლვილების და პრობლემების გადაწყვეტის მყარ და რეალურ გარანტიებს.

– კვლავ აქციას დავუბრუნდეთ. რომელიმე პოლიტიკური ძალა ხომ არ შემოგიერთდათ იმ დღეს?

– ჯერჯერობით არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან მოლაპარაკებებს არ ვმართავთ.

ვცდილობთ ახალი სახეები წარმოვაჩინოთ ქართულ პოლიტიკაში. არ გვჭირდება ისეთი ხალხი, რომლებიც 20 წელიწადია ხან ერთ პოლიტიკურ ძალასთან არიან, ხან – მეორესთან. ამ ადამიანებმა თავიანთი პოლიტიკური რესურსი ამოწურეს. დროა, გამოჩნდნენ ახალი სახეები, ახალი ძალები, რომლებიც ქართველი ხალხის მოთხოვნებს გაახმოვანებენ.

ხან მემარცხენე, ხან მემარჯვენე, ხან ლეიბორისტი, ხან ანარქისტი, პოლიტიკური ვექტორის უქონელი პოლიტიკური ძალები საქართველოს სიკეთეს ვერ მოუტანენ.

მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ჩამოვაყალიბეთ პარტია, რომელზეც ყურადღება არც ერთ საინფორმაციო საშუალებას არ გაუმახვილებია, ეს არის „ნეიტრალური ევრაზიული საქართველო“. რადგან თუ ევრაზიაზე არის საუბარი, ე.ი. საქართველოზე ლაპარაკობენ, ჩვენი ქვეყანა არის სწორედ ევროპის და აზიის გზაგასაყარი და ჭეშმარიტად ევრაზიული სახელმწიფო.

ნეიტრალიტეტი ჩვენი წმინდა მამის – გაბრიელ ქიქოძის ოცნება და კურთხევა იყო და დიდი ილია ჭავჭავაძის იდეა და მიზანი. მათ გზას უნდა მივდიოთ რეალურად და არა პიარისთვის.

– არჩილ, ქართველმა ხალხმა თავისი ნება გამოხატა პლებისციტის დროს. თქვენი აზრით, ახლა სხვა მოსაზრება ექნებათ?

– თქვენ მშვენივრად იცით, როგორ ხდებოდა არჩევნების დროს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება და მერე შედეგების გაყალბებაც.

2003 წელს სააკაშვილი ამბობდა, რომ არჩევნები გაყალბდა, მაგრამ არაფერს ამბობდა მაჟორიტარულ არჩევნებზე. ახლაც იგივე სიტუაციაა – ამბობენ, რომ სააკაშვილმა გააყალბა არჩევნები, მაგრამ პლებისციტის შედეგები უტყუარიაო. ეს არის ჩვეულებრივი აბსურდი. ამიტომ უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი და გავიგოთ, რა სურს ქართველ ხალხს – ნეიტრალიტეტი თუ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანში გაწევრიანება.

ირანდა კალანდაძე
593 561 118

ვლადიმერ პუტინი:

მინდა ვკითხო ამ სიტუაციის შემქმნელებს, იმას მაინც თუ ხვდებით, რა ჩაიდინეთ?

გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე რუსეთის პრეზიდენტმა ფაქტობრივად ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა, რითიც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ რუსეთი (კრემლი) ყველაფერს ხედავს, იცის და აღარ გაჩუმდება. გამოსავალი კი, თუ ვინმეს მართლა სურს მისი მოძებნა, მხოლოდ ერთობლივ მოქმედებებშია და არა ისე, როგორც აქამდე ხდებოდა.

„აგრესიულმა გარე ჩარევამ გამოიწვია ის, რომ რეფორმების ნაცვლად სახელმწიფო ინსტიტუტები, უბრალოდ, ცხოვრების წესი უცერემონიოდ დაინგრა. დემოკრატიისა და პროგრესის ზეიმის ნაცვლად ძალადობა, სიღარიბე, სოციალური კატასტროფა გამეფდა. ადამიანის უფლებები, თავად ცხოვრების უფლებაც კი, არაფერში აღარ ჯდება.

მე მინდა ვკითხო ამ სიტუაციის შემქმნელებს, იმას მაინც თუ ხვდებით, რა ჩაიდინეთ? ვშიშობ, ეს კითხვა ჰაერში გაიფანტება, რადგან პოლიოტიკოსებში, რომლებშიც დევს თვითდაჯერება, დარწმუნებულები არიან საკუთარ განუმეორებლობაში, დაუსჯელობაში, ამას არად დაგიდევენ...

უკვე ნათელია, რომ ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკის რიგ სახელმწიფოებში წარმოქმნილმა ხელისუფლების ვაკუუმმა მიგვიყვანა ანარქიამდე და და ახალი უბედურების ზონების შექმნამდე...

ე.წ „ისლამური სახელმწიფო“ ათობით ათას მებრძოლს ითვლის. მათ შორის ყოფილი ერაყელი თუ ლიბიელი სამხედრო მოსამსახურეები იმ სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, რომლებიც თქვენ დაანგრიეთ...

პირფერობაა გლობალურ ტერორიზმზე ლაპარაკი და პარალელურად თვალი დახუჭო ასეთი ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებზე, მაგრამ თქვენ ჯერ იყენებთ მათ საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, არასასურველი პოლიტიკური კონკურენტების თავიდან მოსაშორებლად, შემდეგ კი მათ უბრალოდ, ანადგურებთ, თუმცა, ჯერ კიდევ საკითხავია ვინ ვის იყენებს... რეალურად, „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ სირიის, ასადის სახელმწიფო არმიისა და ქურთი გაერთიანებების გარდა არავინ იბრძვის...“

ვლადიმერ პუტინი უფრო შორსაც წავიდა და სირიის კრიზისში არსებული ოპოზიციის მხარდამჭერები დაადანაშაულა – „მათ ჯერ შეაიარაღებენ, წვრთნიან, ხოლო შემდეგ ისინი ე.წ „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეზე გადადიან. მისი თქმით, სირიის კონფლიქტის მოგვარებისთვის ქვეყნებმა არა საკუთარი ამბიციებით, არამედ საერთო მიზნებით უნდა იხელმძღვანელონ...

პუტინი მუსლიმანურ რელიგიასაც შეეხო და აღნიშნა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგები დასცინიან ამ უდიდეს რელიგიას და მასხრად იგდებენ...

პუტინმა უკრაინაში შექმნილი სიტუაციაც ახსენა და განაცხადა, რომ გარკვეულმა ძალებმა კარგად გამოიყენეს უკრაინაში ხალხის ერთი ნაწილის უკმაყოფილება სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად, რამაც გამოიწვია სამოქალაქო ომი და დასძინა, რომ სისხლისღვრის შეჩერება მხოლოდ მინსკის შეთანხმების შესრულებით არის შესაძლებელი.

მისივე თქმით, ე.წ დემოკრატიული რევოლუციების ექსპორტი კვლავაც გრძელდება, ნატოს გაფართოება კი „ცივი ომისდროინდელი“ ბლოკური აზროვნების აშკარა გამოვლინებაა.

პუტინი გამოვიდა ეკონომიკური კონკურენტების ცალმხრივი ეკონომიკური სანქციებისა და კულუარული შეთანხმებების წინააღმდეგაც, გააპროტესტა დახურული ექსკლუზიური ეკონომიკური გაერთიანებების შექმნა, განაცხადა, რომ ამგვარი ქმედებები მთელი რიგი ქვეყნების სახელმწიფო ინტერესებს აზიანებს და ამ საკითხების გაერო-სა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში განხილვა მოითხოვა. „დღეს, ფაქტობრივად, ნორმად იქცა გაერო-ს გვერდის ავლით ცალმხრივი სანქციების შემოღება, რომელიც ასევე მსოფლიო ბაზარზე კონკურენტების ჩამოცილებას ისახავს მიზნად,“ განაცხადა მან.

ბრიტანელმა ჟურნალისტმა, სამხედრო ექსპერტმა კონ კოჰლინმა „ტელეგრფში“, თავის სვეტში დაწერა: – „იმ დროს, როცა დასავლეთის სურვილი, გაანადგუროს „ისლამური სახელმწიფო“ ხდება სულ უფრო რეალური, პუტინის საღმა აზრმა შეიძლება სწორედ რომ გადამწყვეტი როლი ითამაშოს სირიის კონფლიქტის დარეგულირებაში.

პუტინი მართალია, „ისლამური სახელმწიფოს“ დამხობა უნდა იყოს ჩვენი პრიორიტეტი და არა ასადის რეჟიმის.“

ჟურნალისტი მკითხველს ახსენებს, რომ აშშ უკვე ერთი წელია ბომბავს „ისლამურ სახელმწიფოს“ მაგრამ ისინი პირიქით, უფრო ძლიერდებიან, დასავლეთმა კი სირიის ამბოხებულების წინააღმდეგ საბრძოლო მომზადების ტრენინგს 500 მლნ დოლარი დაახარჯა და შედეგად მხოლოდ 54 კაცი მოამზადა...

„უამრავი ცოდვების მქონე ასადი ახლა არ წარმოადგენს მთავარ საფრთხეს, ახლა მსოფლიოსთვის ნომერი პირველი საფრთხე „ისლამური სახელმწიფო“ და მასთან დაკავშირებული ფანატი ჯიჰადისტებია, ბრიტანელი ჯიჰადისტებიც, რომლებიც ისლამისტებთან მომზადების გავლის შემდეგ ისევ დაბრუნდებიან. ამიტომ, თუ პუტინი აპირებს მათთან ბრძოლას, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ მხარდაჭერა და დახმარება აღმოვუჩინოთ მას“ – წერს ჟურნალისტი.

სტატიის ბოლოს კი გამოკითხვისთვის დაწერა კითხვა: – უნდა დავუჭიროთ თუ არა მხარი პუტინს და ასადის ტერორიზმთან წინააღმდეგ ბრძოლაში? პუტინს გაერო-ში გამოსვლამდე ბრიტანელ მკითხველთა 95%-იანი მხარდაჭერა ჰქონდა უკვე...

გიორგი ჩხეიძე

რუსეთთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპვას საქართველოს თავდაცვის ის ქალბატონი მინისტრი აპირებს, რომელიც აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განიხილავს?

ქალბატონმა თავდაცვის მინისტრმა, თინა ხიდაშელმა „ბი-ბი-სი-ზე“ გადაცემა Hardtalk–ში, კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა, განმეორდეს 2008 წლის ომი, განაცხადა, რომ თუ ეს მოხდება მანამ, ვიდრე საქართველო NATO–ში გაწევრიანდება, ჩვენ დავიღუპებით როგორც გმირები, ეს არის ის, რაც ჩვენ ამ კუთხით შეგვძლია. ეს არ მოხდება დღეს, არ მოხდება ხვალ, თუმცა თუ მსოფლიო გამოიჩენს სისუსტეს საქართველოს მიმართ, როგორც უკრაინის შემთხვევაში; თუ მსოფლიო დამარცხდება თავისუფლების უზრუნველყოფის საკითხში; თუ NATO იტყვის, რომ ეს არის ის, სადაც თავისუფლება სრულდება, ამის შემდეგ, დიახ, ეს მოხდება.

2008-ში „დაღუპული“ მაგრამ დღემდე ცოცხალი მინისტრების, პარლამენტის თავმჯდომარის, პარლამენტარების და მათი დიდი სარდლის, ჰალსტუხჭამია პრეზიდენტ სააკაშვილის თამადობით, თავის გმირი შტაბის უფროს-გენერლებიანად, დასტა-დასტა გვყავს და იქაც – თინაااა! დავითიიიი! პრეზიდენტი მარგველაშვილიიიი! და ა.შ დანარჩენი წვრილფეხობა.

არა, მაინც ვინ არიან „ჩვენ“, ვისზედ მეტყველებს პატივცემული თავდაცვის მინისტრი, რომ რუსეთის აგრესიის შემთხვევაში გმირულად დაიღუპებიან?

ამ სიტყვების ავტორისა და მისი პარტიული კოლეგების გარდა რომ ყველა დასაღუპად ვყავართ გადადებული, მათ პოლიტ-დიპლომატიურ ფოფხვას ეტყობა, მაგრამ ხმა რომ არ ამოიღოს და დამწვრებს დამდუღვრა არ დაგვამატოს, ხომ შეიძლება?

... თუ ის ბიჭები არიან გმირულად დაღუპულები, რომელთაც საზარბაზნე ხორცად უშვებენ მსოფლიოს ცხელ წერტილებში და შემდეგ ნიანგის ცრემლებით დასტირიან მათ ცხედრებს გამამართლებელი მოტივით, საქართველოს ნათელ მომავალს შესწირეს თავი, ვთქვათ, ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაშიო, გადაკარგულში, ადგილზე, რომელსაც რუკაზე ვერ გიჩვენებდა იქ მოხვედრამდე რომელიმე მსხვერპლად შეწირული?...

კიო, 2008 წელი განმეორდება, თუ მსოფლიო და NATO ყურზე არ მოქაჩავენ რუსეთს და ისეთივე სისუსტეს გამოიჩენენ, როგორც უკრაინის შემთხვევაშიო...

ისეთი შთაბეჭდილება დარჩება კაცს, რომ ქალბატონ თავდაცვის მინისტრს, სავარაუდოდ, სულაც წელთაღრიცხვა აქვს არეული – მსოფლიომ და მათ შორის NATO-მ, რომელიც ამ შემთხვევაში სახსენებელი არ არის, მაგრამ ვინაიდან პირდაპირ ასოცირდება აშშ-სთან და არა სრულიად ალიანსთან, უმთავრეს „ფიგურად ზის“, ქრონოლოგიურად, ჯერ საქართველოს უჩვენა რა უმაქნისიც იყო თუ საქმე რუსეთთან დაპირისპირებას შეეხებოდა და შემდეგღა უკრაინას. და რა ჰგონია ახლა ქალბატონ „თავდაცვას“, თუ „ბი-ბი-სი-სთან“ ეს სიტყვები თქვა, მსოფლიო და აშშ (ანუ NATO) შეაგულისჭირა?

და სულაც, თითქმის ყველა ქვეყნისა და ყველა დიპლომატიური რანგის პირმა ერთად და ცალ-ცალკე გამოგვიცხადეს, შეგვეშვით ბიძია, ტყუილად ნუ გველრიტინებით, NATO-ოს კარში შემოგიშვათ კი არა, ერთმანეთი კბილით ძლივს გვიჭირავსო და ეს უცნაური ქართული „დასავლური შაიკა“ რას აჰკიდებია მოუშორებელი ვენერიული დაავადებასავით?

გადაცემის წამყვანმა იგივე ჰკითხა, NATO-სთან დაკავშირებით სხვაგვარად რომ ფიქრობენ, ვთქვათ, აშშ-ის პრეზიდენტი ან საფრანგეთისაო? ეგ არაფერიო, – იხტიბარი არ გაიტეხა თინამ-თავდაცვამ, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდა ბალტიისპირეთის ქვეყნებს ევროკავშირში გასაწევრიანებლად, მაგრამ მალევე გაწევრიადნენო. ვერაფერს იტყვი, ცრუ ოპტიმიზმის მძიმე შემთხვევაა...

სხვათაშორის, პეტრო პოროშენკომ ორიოდე კვირის წინ პირდაპირ თქვა, ბუქარესტის სამიტზე გვითხრეს, NATO-ს კარი უკრაინისთვის დაკეტილია და გთხოვთ, კაკუნით თავს ნუ შეიწუხებთო და საქართველოში რა ხისთავიანობა აქვთ ატეხილი და თანაც ასეთი უსაშველო?

უკრაინაზე აუცილებლად გაახსენდება ადამიანს ამერიკული რადიოსადგურის CNN–ის წამყვანის ირონიული შენიშვნა პრეზიდენტ ობამას გამოსვლაზე (Business Roundtable), სადაც მან უკრაინის ხელისუფლება დაადანაშაულა საკუთარი ხალხის გენოციდში, თეთრი სახლი პირველად არქმევს მომხდარს თავის სახელს, რაც შიშს ბადებსო...

NATO-ოს გენერალმა მთლად ბოლო მოუღო, პოროშენკო ცრუობს, რუსეთი არ დასხმია თავს უკრაინასო... – სტუდიაში თვალები შუბლზე აუვიდათ დამსწრეებს, ამას რას ამბობს და ვინ ამბობსო...

ისევ „გმირულად დაღუპვას“ მივუბრუნდეთ – რუსეთთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპვას ვინ აპირებს, საქართველოს თავდაცვის ის ქალბატონი მინისტრი, რომელიც აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განიხილავს?

ვინც თავის სამშობლოს საჯაროდ „საქაჯეთად“ აცნობს საკუთარსავე შვილებს და მათ ბედნიერებას მხოლოდ მის გარეთ ხედავს?

თუ ქალბატონი მინისტრის მეუღლე, ამავდროულად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც თანამეცხედრესთან ერთად, მისივე სიტყვებით, ისე ზრდის შვილებს, რომ ვერ უბრძანებს სამშობლოს დაცვას. წყვილი, რომლებიც აცხადებს, ჩვენ ჩვენს შვილებს არ ვეუბნებით, რომ თქვენ ჩემო შვილო, დაიბადე და გაგაჩინე იმიტომ, რომ სამშობლოს გმირულად უნდა შეეწირო?

ან იქნებ, ბატონი პრეზიდენტი აპირებს იმ რუსეთთან თავის შეკვლას, რომელმაც თვალში გამოახედა?

დანარჩენ ჭილ-ყვავზე რაღა ვთქვათ, რომელიც ან პირდაპირ რუსეთშია ჩასახული, ან მისით მოვიდა აქამდე, ან სულაც, დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს „სუკ-თან“... ანუ, ვინ უნდა დაიღუპოს გმირად? – ის, ვინც მხოლოდ სიტყვით იცის, რომ რუსეთი მეზობელი ოკუპანტია, კრემლი კი მოსკოვში?...

„სანამ ჩემი თაობა ცოცხალია, სანამ ის თაობა ცოცხალია, რომელმაც ომი მხოლოდ ისტორიის წიგნით კი არ ისწავლა, არამედ თავის თავზე განიცადა რუსული ტყვიის სიმწარე, რუსეთი საქართველოში ვერ შემოტრიალდება!“ – კიდევ ერთი საინტერესო „გაისროლა“ ქალბატონმა „თავდაცვამ.“

რაში და როგორ გამოსცადა ქალბატონმა „თავდაცვამ“ რუსული ტყვიის სიმწარე კიდევ ერთი გმირულად „დაღუპულის“, მიხეილ სააკაშვილის სამდღიან სამხედრო ავანტიურაში, გამოცანად დარჩება, მაგრამ სხვა ვიკითხოთ: – რას ლაილაობს ქალბატონი თავდაცვის მინისტრი, წინამორდებივით, რა უნდა, მართლაც შემოლაყუნდეს რუსის ჩექმა სრული დატვირთვით?

არა, ბიჯო, გაუჭირდება!

დიდმის ტრასის ბოლო ტრაფარეტიდან რომ ავითვალოთ, სადაც თბილისი მთავრდება, მაქსიმუმ 20 წუთის სავალში დგას რუსის ჯარი და რომელ შემოტრიალებაზეღა ლაპარაკობს ეს ქალი? დასავლეთ საქართველოში რომ მივდივარ ერთი დღით, იმას ვფიქრობ, უკან თუღა შემოვბრუნდები და ეს ქალბატონი რა დიდ გულზეა? იქნებ, როგორც აფხაზეთი, არც ახალგორი განიხილება მის შემეცნებაში უკვე საქართველოს ნაწილად?

რა საინტერესოა, იცის თუ არა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ქალბატონმა თინა ხიდაშელმა, რომ „Daily Telegraph-მა“ პენტაგონისთვის ძალზე უსიამოვნო ფაქტი გაახმაურა? ფაქტობრივად, ახალი არაფერია, გამოცემა ამტკიცებს იმას, რასაც ისედაც ამბობდა ყველა, თუმცა ფაქტის საქვეყნოდ დაფიქსირება მაინც სულ სხვაა – სირიის ოპოზიციის 75-კაციანი ბოევიკთა ჯგუფი, რომელიც აშშ-ის მიერ არის გაწვრთნილი, ფრონტის ხაზზე გადასროლის შემდეგ მაშინვე გადავიდა „ჯაბხატ ანნუსრას“ დაჯგუფების მხარეს და ე.წ „ისლამური სახელმწიფოს“ გვერდზე იბრძოლებენ. აღსანიშნავია, რომ ისლამისტების ხელში აღმოჩნდა იარაღის შთამბეჭდავი არსენალი, მათ შორის ბრონირებული მანქანები და მძიმე ტყვიამფრქვევები აშშ-ის საუკეთესო ინსტრუქტორების მიერ მომზადებული მებრძოლებითურთ. ექსტრემისტების ლიდერმა ვითომდა დამცინავი მადლობა გადაუხადა ასეთი საჩუქრის გამო ვაშინგტონს და სთხოვა მომავალში ახალი დანაყოფები გაუგზავნოს.

არ გამოვიდა საქართველოში „ის“, გამოვიდა და გამოვა სხვაგან... არადა, როგორ გვამუნათებდა, ცალკე, საქართველოს იმდროინდელი თავდაცვის მინისტრი, ირაკლი ალასანია და ცალკე სააკაშვილის ჯვარ-მეგობარი რაც ყველამ მიივიწყა – მეთიუ ბრაიზას შეგონებანი აზერბაიჯადანიდან თუ კიდევ იმის იქიდან....

– საქართველოს შეუძლია და უნდა დაეხმაროს საერთაშორისო საზოგადოებას ისლამური სახელმწიფოს დამარცხებაში – ამ შემთხვევაში ყველა ჩვენგანი იქნება უსაფრთხოდო; ერთობლივი გამარჯვება, ან კოლექტიური პასუხისმგებლობის უგულვებელყოფა და დამარცხებაო – ამბობდა ბრაიზა და თავს უქნევდა ალასანია.

მაშინ არავინ გამოედევნა რას ნართულობდა ბრაიზა, ან რას ნიშნავდა ორიოდე კვირით ადრე Foreign Policy-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით ცნობილი დაჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში წვლილის შეტანის მიზნით საქართველო აშშ-ს თავის ტერიტორიაზე საწვრთნელი ბაზის განთავსებას სთავაზობდა, რაც საქართველოს საგარეო უწყებამ არ დაადასტურა?

მოკლედ, სანამ თავდაცვის მინისტრის (ან სხვა მაღალ) პოსტზე არ დაინიშნება ვინმე, მანამდე ვერ ვხვდებით მართლა ადექვატურია და სრულ ჭკუაზე არის თუ არა კონკრეტული პიროვნება...

ძველი ანეკდოტია, ბაბუა სამამულო ომის შესახებ უყვება შვილიშვილს, ფაშისტებმა ტყვედ რომ ჩაგვიგდეს, გამოგვიცხადეს, ახლა უნდა გაგაუპატიოროთ და ვინც უარზე იქნებით, მოგკლავთო. მერე, ბაბუ, შენ რა ქენიო? მე მომკლესო...

გიორგი ჩხეიძე



იოსებ ჯუღელი:

უგულავას საქმიანობიდან ისეთი თემების და ფაქტების ამოწევა შემიძლია, თმები ყალყზე დაუდგებათ, მაგრამ არ უნდათ და არ აინტერესებთ!

თბილისის მერიის გენერალური ინსპექციის კორუფციასთან ბრძოლისა და საფინანსო შემოწმების განყოფილების ყოფილი უფროსი იოსებ ჯუღელი გიგი უგულავას უმძიმეს დანაშაულში ამხელს და მზადყოფნას გამოთქვამს მთავარ პროკურატურას უგულავას და მისი ამფსონების დანაშაულებრივი საქმიანობის დამამტკიცებელი დოკუმენტები წარუდგინოს.

იოსებ ჯუღელი: იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროში ვმუშაობდი, როცა თბილისის მერიის გენერალური ინსპექციის უფროსად გურამ საღარაძე დაინიშნა. სწორედ ამ პერიოდში გადმოვედი და 2006წლის სექტემბრამდე ვიმუშავე მერიის გენერალური ინსპექციის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და საფინანსო შემოწმების განყოფილების უფროსად. ჩვენ გვევალებოდა მერიის დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური შემოწმება, მოქალაქეთა განცხადებების მიღება-შესწავლა, დასკვნების გამოტანა და შემდგომი რეაგირებისთვის მთავრობის სხდომაზე გატანა. 2006 წელს მერიის თანამშრომელთა ტესტირება ჩაატარეს და ხალხი სამსახურიდან ყოველგვარი მოტივაციის გარეშე გაუშვეს. ერთ-ერთმა გათავისუფლებულმა თანამშრომელმა იოსებ ხახუტაშვილმა უკანონო ბრძანების გაუქმებისა და განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით, სასამართლოს მიმართა. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა. ამასთან, გარიგების სახით შესთავაზეს, რომ თუ ბრძანების გაუქმების მოთხოვნას არ დააყენებდა, სამსახურში დააბრუნებდნენ. (ბრძანების გაუქმების შემთხვევაში, მერიას ყველა გათავისუფლებული თანამშრომელი უკან უნდა დაებრუნებინა). ხახუტაშვილი ყველა გათავისუფლებულის აღდგენას ითხოვდა, ამიტომ ნაწილობრივ შედეგს არ დათანხმდა და უზენაეს სასამართლოს მიმართა. უზენაესმა სააპელაციოს განჩინება ძალაში დატოვა და 2009 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით, ქალაქის მერს ხახუტაშვილის სამსახურში აღდგენა დაავალა. მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა დანაშაულია და 3 დან 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, უგულავას ხახუტაშვილი სამსახურში არ აღუდგენია. ასე, რომ სანამ ნაციონალები სხვებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისკენ მოუწოდებენ, საკუთარ მოღვაწეობასაც გადაავლონ თვალი.

— იოსებ ჯუღელი ნაციონალებთან ურთიერთობის დაძაბვისა და თანამდებობიდან მისი გაშვების ამბებსაც იხსენებს და აცხადებს, რომ უგულავას და მის თანამოაზრეებს ძლიერი და ეფექტურად მომუშავე გენერალური ინსპექცია არ ჭირდებოდათ, ამიტომ ყველაფერი გააკეთეს ამ სტრუქტურის გასანადგურებლად. მერიის ყოფილი მაღალჩინოსანი დარწმუნებულია, რომ გენერალური ინსპექციის არარსებობის პირობებში, რომელიც მერიის „თვალს და ყურს“ წარმოადგენდა, ისეთ გამოუცდელ მერს, როგორიც დავით ნარმანიაა, მისი ძველი და გამოცდილი თანამშრომლები ადვილად მოატყუებენ.

— მონიტორინგის და შიდა აუდიტის სამსახურებისგან განსხვავებით, გენერალური ინსპექცია დიდი ფუნქციის მატარებელი სტრუქტურაა. ფაქტობრივად, მერიის „თვალი და ყურია“, რომელიც განიხილავს მოქალაქეთა განცხადებებს, აკონტროლებს მერიას დაქვემდებარებულ სამსახურებში თანხების განკარგვას და ა.შ. ეს უმნიშვნელოვანესი სტრუქტურა დავით საყვარელიძემ უგულავას დავალებით გააუქმა, იმიტომ, რომ მერიაში მიღებული უკანონო გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციას „გარეთ“ არ გაეჟონა. გენ-ინსპექციაში მომუშავე პროფესიონალები უკანონო გადაწყვეტილებებს არ მიიღებდნენ, ამიტომ უგულავას ისინი არაფერში ჭირდებოდა. ხალხი ქუჩაში გაყარეს და სამსახური მთლიანად გაანადგურეს. გენერალური ინსპექციის არარსებობის პირობებში, მოქალაქის საჩივარი ისევ იმ სამსახურში იგზავნება, რომელსაც ის უჩივის. გენერალური ინსპექციის არარსებობის პირობებში, ისეთ გამოუცდელ ქალაქის მერს, როგორიც ნარმანიაა, მისი „გამოცდილი“ თანამშრომლები ძალიან ბევრს და ადვილად მოატყუებენ. ამიტომ მიკვირს, რატომ არ ცდილობს ნარმანია ამ რგოლის აღდგენას. რაც შეეხება ნაციონალებთან ჩემი ურთიერთობის დაძაბვას, ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 2001 წელს, ვაჟა-ფშაველაზე მდებარე 128-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლებმა განცხადებით მომმართეს. საკითხის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ თბილისის იმდროინდელმა მთავრობამ სკოლის ნაკვეთიკანონდარღვევით გაასხვისა. მთავრობის გადაწყვეტილება გავაუქმეთ, მაგრამ ყველაზე საინტერესო პროცესები ამის შემდეგ განვითარდა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ნაციონალებმა აღნიშნული დარღვევის გამო, ქონების მართვის სამმართველოს უფროსი დააპატიმრეს და 2005 წელს იგივე მიწის ნაკვეთი გაასხვისეს. მაშინ ამ ტერიტორიით დავით კირკიტაძის ოჯახის დაინტერესებაზე საუბრობდნენ. დაახლოებით იგივე მოხდა საფეხბურთო სკოლა „ავაზასთან“ დაკავშირებითაც. სკოლის ტერიტორიის გაყიდვა რომ უკანონოდ მოხდა, ამის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი ხელთ მაქვს. იმ დროს მერიის გენერალური ინსპექციის უფროსი დავით საყვარელიძე ბრძანდებოდა. როცა სკოლის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოები გაჩაღდა, დავით საყვარელიძეს მოვახსენე. საყვარელიძემ მითხრა, უგულავას სახელზე მოხსენებითი ბარათი მოამზადეთ და დამნაშავე თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი დადგებაო. 2005 წლის 8 აგვისტოს დავუწერე მოხსენებითი ბარათი, სადაც ჩამოვთვალე შესაბამისი თანამდებობის პირები. საყვარელიძემ რეზოლუცია დაადო და უგულავასთან ერთად ისე გააქრო ეს საბუთი, რომ დღემდე არ ვიცი, სადაა. რა თქმა უნდა, ასეთ მერს არც ის მოეწონებოდა, რომ მერიის შპს "შუქნიშანს", რომელსაც გაქანებული ნაციონალი ხელმძღვანელობდა, ერთ პატარა ოპერაციაში ბიუჯეტისთვის დამალული 88 000 ლარი ვუპოვეთ და არც ის, რომ მისი სტრუქტურის ხელმძღვანელი ნაციონალებს ფინანსურ მაქინაციებში ამხელდა და კონკურსის მომიზეზებით თავიდან მომიშორა.

— მერიის ყოფილი მაღალჩინოსანი დარწმუნებულია, რომ მაკონტროლებლების მიერ წინა ხელისუფლების დროინდელი მერიის საქმიანობის სათანადოდ შესწავლის შემთხვევაში, გიგი უგულავასთვის წარდგენილი ბრალდებები გაცილებით მეტი და მძიმე იქნებოდა. რომელი საკითხები დარჩა მაკონტროლებელთა ყურადღების მიღმა და რას სთავაზობს მერიის ყოფილი მაღალჩინოსანი ხელისუფლებას?

— მიუხედავად იმისა, რომ მერიის საქმეების შესწავლის დროს, ხელისუფლებას და მაკონტროლებელ ორგანოებს დახმარება არაერთხელ შევთავაზე, არავინ გამომხმაურებია, რაც ძალიან მაკვირვებს. მერწმუნეთ, მერიის საქმიანობიდან ისეთი თემების და ფაქტების ამოწევა შემიძლია, რომ თმები ყალყზე დაუდგებათ, მაგრამ არ უნდათ და არ აინტერესებთ.. პირველ რიგში, ტრანსპორტის, კეთილმოწყობისა და პარკირების სამსახურების საფუძვლიანი შემოწმება უნდა ჩატარებულიყო. სამი თვე ვიმუშავეთ ავტობუსების საქმეზე და გავარკვიეთ, რომ „ბოგდანის“ ტიპის ავტობუსების შემოყვანისას, უშუალოდ მერის მითითებით, საქმეში ჩაერთო შუამავალი რგოლი, რომელსაც ავტობუსების ღირებულებაზე ორჯერ მეტი თანხა გადაერიცხა. შუამავალმა ქარხანას ავტობუსების ღირებულება გადაურიცხა, ხოლო დანარჩენი თანხა, რომელიც დაახლოებით 50 მილიონს შეადგენს, „გაათეთრეს“. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები იმდროინდელი საკრებულოს ერთ- ერთ წევრს გადავეცით, მაგრამ ეს დოკუმენტებიც გაქრა. მაკონტროლებლები უნდა დაინტერესდნენ, რატომ გადაუხადა ქართულმა მხარემ თანხა შუალედურ რგოლს და არა უშუალოდ ავტობუსების პატრონს. შესასწავლია ტრამვაი-ტროლეიბუსების პარკის გაუქმების საკითხიც. მაშინ უმაღლესი ხარისხის ფოლადისგან დამზადებული ტრამვაის რელსები ჯართის სახით ჩაბარდა. შემოვიდა საკმაოდ სოლიდური თანხები, მაგრამ ბიუჯეტში არ ასახულა. ჩემი ინფორმაციით, ამ ფულით არც ტრამვაი-ტროლეიბუსების პარკის თანამშრომელთა დავალიანება გაუსტუმრებიათ, ამიტომ კითხვები დარჩა და ეს საკითხები შესასწავლია. შესასწავლია საკრებულოსთან არსებული მიწის ლეგალიზაციის კომისიის იმ პერიოდის საქმიანობა, როცა მას ირაკლი აბესაძე ხელმძღვანელობდა. კანონის თანახმად, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსს საკრებულოსთან არსებული მიწის ლეგალიზაციის კომისიის ხელმძღვანელობის უფლება არ ჰქონდა და შესაბამისად, ყველა ის აქტი, რომელსაც აბესაძის ხელმოწერა „ამშვენებს“ უკანონოა. ამ ადამიანის ხელში იყო მთლიანად თბილისის ტერიტორიაზე არსებული მიწების კონტროლი და მასთან პირისპირ დებატების საშუალება რომ მქონდეს, დოკუმენტებით და ფაქტებით დავუმტკიცებდი რა დააშავა. ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ სერიოზულ შეცდომად ის მიმაჩნია, რომ რომ მტკიცებულებების დადება უჭირს. სხვა შედეგი არც ექნებათ, იმიტომ, რომ მაკონტროლებლებად ძველი ხელისუფლების დროინდელ კადრებს აგზავნიან, რომლებზეც იმდენი კომპრომატი არსებობს, რომ ფასეული ვერაფერი მოაქვთ და საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავთ. ამიტომ უჭირს პროკურატურას მტკიცებულებების დადება და ამიტომ დაკარგა „ქართულმა ოცნებამ“ რეიტინგი, თუმცა სურვილის შემთხვევაში მდგომარეობის გამოსწორება სრულიად შესაძლებელია და ხელისუფლებამ ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას.

ნელი თორდია
571 35 36 88

გია სალუქვაძე:

„საერთო გაზეთი“ ახორციელებს პროექტს „ძლიერი რეგიონები ძლიერი საქართველოსთვის“, რომლის ფარგლებშიც ვცდილობთ მკითხველს მივაწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებული მდგომარეობის შესახებ. რას აკეთებს სახელმწიფო, რა გაკეთდა და რა არის სამომავლოდ პერსპექტივაში. ამჯერად, გურიის მხარის გუბერნატორს, ბატონ **გია სალუქვაძეს** *ვეწვიეთ.*

-ბატონო გია, ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენი ფესვები გურიას მჭიდროდ უკავშირდება. ხართ აჭის მონასტრის დიაკვნის არსენ სალუქვაძის შთამომავალი, რომელმაც შემოგვინახა უნიკალური თამარ მეფის ჯვარი. ასევე ცნობილია, რომ ეს ჯვარი საუკუნეების მანძილზე დაკარულად ითვლებოდა, თქვენ კი იგი აღდგენილ აჭის მონასტერს დაუბრუნეთ. **გვიამბეთ ამის შესახებ.**

-დიახ, ჩემი ოჯახის დიდი ბაბუა გახლდათ აჭის მონასტერში მოღვაწე ბოლო დიაკვანი არსენ სალუქვაძე. კომუნისტების დროს, როცა მონასტერი საწყობად გადააქციეს, ბაბუაჩემმა თამარ მეფის ჯვარი, რომელიც იქ ინახებოდა სახლში გადამალა და შთამომავლობას დაგვიტოვა ანდერძი, რომ მხოლოდ ტაძარში მღვდელმსახურების აღდგენის შემთხვევაში დაგვებრუნებინა ჯვარი. 2007 წელს შემოქმედელი მიტროპოლიტის, იოსების (კიკვიძე), ლოცვა-კურთხევით აჭში გაიხსნა დედათა მონასტერი. ამავე წელს, რადგან ტაძარში სამონასტრო ცხოვრება აღსდგა,ჩემი დიდი ბაბუის ანდერძის თანახმად ჯვარი დავაბრუნეთ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს სწორედ ის ჯვარია, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა თავის ნაშრომებში აღწერა და თამარის ჯვრად მიიჩნია. ამას ადასტურებს, ჯვარზე არსებული წარწერა („ჰოი, ძელო ცხოვრებისაო, მეოხე ჰყავ შენთა მაკურთხეველთა დღესა განკითხვისასა. შეიქმნა ჯვარი ესე ბეთანიას ღვთისმშობელისა ოქროისა და ვერცხლი წმინდისა. უფლებასა დედოფალისა თამარისა. ადიდენ ღმერთმან.“) და შიდა მხარეს დატანებული იმ ძელის მცირე ფრაგმენტი, რომელზეც (წარწერის თანახმად) იესო ქრისტე ჯვარს ეცვა. ისტორიულად ცნობილია, რომ ამ ჯვრით თამარ მეფე ჯარს წინ მიუძღვოდა და ბრძოლის წინ ლოცავდა.

გია სალუქვაძე – სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი გურიის მხარეში

დაიბადა 1959 წლის 6 ნოემბერს.1985 წელს დაამთავრა თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. 1982-1997 წწ იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სგამოძიებო განყოფილების უფროსი,1998-2000 წწ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი, 2000-2003 წწ საქართველოს კონტროლის პალატის სპეცდავალებათა სამმართველოს უფროსის მოადგილე,2003-3007 წწ ქ.თბილისის მერიის გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე. 2007 წლიდან კი ჩაება პოლიტიკურ პროცესებში. 2013 წლიდან გუბერნატორის პოსტზე დანიშვნამდე იყო სსგეს „საქრუსენერგო“-ს გენერალური დირექტორის მრჩეველი. 2014 წლიდან 2015 წლის მაისამდე კი არასამთავრობო ორგანიზაცია „ყველა თაობა საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გახლდათ.

საქართველოს პარლმენტის მიერ 2012 წლის 5 დეკემბერს დამტკიცებული „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ დადგენილების თანახმად მინიჭებული აქვს პოლიტპატიმრის სტატუსი.

2001 წელს, ბუდაპეშტში, მოისმინა აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის ფედერალური ბიუროს (FBI) აკადემიის კურსი თემაზე „კანონის ძალის დაცვა და ურთიერთთანამშრომლობა მთელს მსოფლიოში“. 2002 წელს კი გაიარა ამერიკის იურისტთა ასოციაციის აუდიტორთა და ინსპექტორთა საპროცედურო ტრენინგი.

ფლობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს. ჰყავს მეუღლე და 4 შვილი.

დიახ, გურია არის, იყო და ყოველთვის იქნება ქართული პოლიტიკის და პროგრესული აზროვნების ცენტრი

-პრემიერმა გურიაში ყოფნის დროს აღნიშნა, რომ გურია არის, იყო და ყოველთვის იქნება ქართული პოლიტიკის, თანამედროვე, პროგრესული აზროვნების ცენტრი. თქვენ როგორ გრძნობთ თავს პროგრესულად მოაზროვნე გურულების გარემოცვაში, მოგწონთ სამუშაო გარემო?

-მართლაც ასეა. გურულები გამორჩეულად კოლორიტი ქართველები არიან. ყველა საკითხზე აქვთ თავიანთი კონსტრუქციული აზრი. ასე მაგალითად: „კახელი სვამს კითხვას, როდის მოემატება ყურძენს ფასი? გორელი გლეხი წუხს, რომ ვაშლი ბაზარზე იაფად იყიდება. იმერლები მწვანილის ფასზე ღელავენ, მეგრელებს თხილის და სიმინდის ფასი აწუხებთ და ამ დროს რა კითხვას სვამს გურული: „როის შევალთ ნატოში, ძამა?“ (ეღიმება (ავტ.)) გურულები ბუნებით პოლიტიკოსები არიან. ყველაფერი აინტერესებთ და ყოველთვის თამამად აფიქსირებენ თავიანთ აზრებს. რაც შეეხება ჩემს სამუშაო გარემოს, გურია და გურულები ჩემთვის უცხო ნამდვილად არ იყო, მათთან ურთიერთობა არის განსაკუთრებულად სასიამოვნო. გურია რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ყველასაგან და ყველაფრისგან რატომღაც მიტოვებული აღმოჩნდა, ეს ფაქტია, რომელსაც ვერ დავმალავთ. ამიტომაც ჩვენ ერთმანეთს გვერდით ვუდგავართ, ერთად ბევრკარგ საქმეს ვაკეთებთ და სამომავლოდ კიდევ უფრო მეტს გავაკეთებთ.

-ვფიქრობ, საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის, ქრონოლოგიურად დავალაგოთ უკვე შესრულებული სამუშაოები 2013 წლიდან დღემდე.

-მოგახსენებთ, 2013 წლიდან დღემდე სულ განხორციელდა 1637 ინფრასტრუქტურული პროექტი. ამათგან რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რგპფ) დაფინანსებით განხორციელდა 107 პროექტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით - 917, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 46 და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა 575 პროექტი (გადასახური მასალა გადაეცა, ან დაიხურა 500-მდე სახლი).

სოფლის მეურნეობის მიმართულებით, შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში გაიხსნა 5 საწარმო (შპს „ჯეჯილი“- ცხოველთა საკვების წარმოება, ზეთის წარმოება; შპს „ნატურალ თი კომპანი“ - ჩაის გადამუშავება; ი/მ „გივი ნინიძე“ - მეფუტკრეობა; შპს „გეოპლანტი“ - ჩაის დაფასოება; შპს „ქართული სუბტროპიკული ხილის კომპანია“ - ხილის გადამუშავება, ციტრუსების დახარისხება). კერძო ინვესტიციებით გაიხსნა 2 საწარმო: ინდურ-ქართული კომპანიის „ინდო-ჯი“-ს საწარმო ჩოხატაურში, რომელიც თხილსა და ყავას გადაამუშავებს ადგილობრივი ბაზრისთვის და ლანჩხუთში გაიხსნა შპს „იო“, რომელიც ვეტერინალურად ხარისხიან ხორცს აწარმოებს. შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში გაძლიერდა 9 საწარმო (ი/მ „ბადრი გაბაიძე“ - მესაქონლეობა (ლანჩხუთი), შპს „გულიანი 2015“ - მებაღეობა (ლანჩხუთი), შპს „გნ-კომპანი“ - გადამამუშავებელი საწარმოები, თხილის გადამუშავება (ოზურგეთი), შპს „გია“ - პირველადი საწარმოები, მეთევზეობა (ოზურგეთი), შპს „ლიხაურის მეურნეობა“ - პირველადი საწარმოები, სასათბურე მეურნეობა (ოზურგეთი), შპს „თხილის საექსპორტო კომპანია“ - გადამამუშავებელი საწარმოები, თხილის გადამუშავება (ოზურგეთი), შპს „როიალასკანა“ - გადამამუშავებელი საწარმოები, ღვინისწარმოება (ოზურგეთი),შპს „კიდობანი“ - ინფრასტრუქტურული საწარმოები, შესაფუთი მასალების წარმოება (ოზურგეთი), შპს „ნათს კომპანი“ - თხილის გადამამუშავებელი საწარმოები, თხილის გადამუშავება (ოზურგეთი).)

2013 წელს სახელმწიფოს ხარდაჭერით განხორციელდა მანდარინის იაპონური ჯიშების სადემონსტრაციო ნაკვეთის გაშენება 4000 მ2 ფართობზე (ოზურგეთი, ნარუჯა). 2014 წელს, ასე-

სკოლის მშენებლობა სოფელ ზოტში

ვე სახელმწიფოს მხარდაჭერით, განხორციელდა ფერმერების სუბსიდირება, სტანდარტული და არასტანდარტული მანდარინის რეალიზაციაზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ინიციატივითა და მუნიციპალური ბიუჯეტით ლიხაური-ჭანიეთის საზღვარზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4.5 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე უნიკალური, გურული ვაზის 60-მდე ჯიშის გამრავლების მიზნით, სანერგე მეურნეობა მოეწყო. სადემონსტრაციო ნაკვეთზე დაირგო სხვადასხვა ჯიშის 200-მდე ხეხილის ნერგი.

ოზურგეთში, სოფელ ლაითურში 70 ჰა-ზე გაშენებულია და სახელმწიფოს მხარდაჭერით დამატებით 70 ჰა-ზე კიდევ გაშენდება ლურჯი მოცვის პლანტაცია, მოეწყო გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც 2015 წლის ივნისიდან ამოქმედდა.

აშენდა ახალი ოფისი სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის სამმართველოსათვის; სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის სამმართველოს მიერ სისტემატიურად ხორციელდება ამერიკული თეთრი პეპლას მონიტორინგი და შესაბამისი რეაგირება, ვეტერინარული ღონისძიებების გატარება და პირტყვთა ვაქცინაცია.

— ვიცით, რომ დიდი სამუშაოები ჩატარდა მელიორაციის კუთხით, დაიწმნდა ისეთი არხები, რომლებიც ათეული წლების მანძილზე არ გაწმენდილა.

— სამელიორაციო სამუშაოებს გურიის რეგიონში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყება, „საქართველოს მელიორაციის“ რიონი-ჩოლოქის სერვის ცენტრი აწარმოებს. აღნიშნული სამუშაოები გულისხმობს: წყალმიმღებისა და წყალგამყვანი არხების კალაპოტებში მცენარეების, დალექილი ნატანისა და გარეშე საგნების (რომლებიც ხელს უშლიან არხების ნორმალური რეჟიმით ფუნქციონირებას), ასევე, ზედაპირული ჭარბი და მიწისქვეშა წყლის, შეტბორვებისა და შეგუბებების გარეშე, შეუფერხებელ გაყვანას.

2014 წელს დაიწყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დედაბერა-ნიგვზიანის, ღესა-ჩიბათის, სუფსის დამშრობი მასივების, მთისძირა არხის (წყალმიმღები და წყალგამყვანი) საპროექტო პროფილის (გამტარიანობის გაზრდა) და მასზე მოწყობილი ჰიდროტექნიკური ნაგებობების აღდგენა-რეაბილიტაცია (11 კმ.) აღნიშნული სამუშაოები არ განხორციელებულა 30 წლის მანძილზე და სისტემატიურად იტბორებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საყანე ფართობები. განხორციელდა შიდა არხების წმენდის სამუშაოები, წყალწმინდასა და სუფსაში გაიწმინდა 35.1 კმ სიგრძის არხები, რომელიც მოემსახურება 270 ჰა მიწის ფართობებს. იმავე წელს დაიწყო და მიმდინარე წელს გაგრძელდა მდინარე პიჩორის გასწორხაზოვნებული მონაკვეთების (წყალმიმღები და წყალგამყვანი) გაწმენდა და გამტარიანობის გაზრდა, დღეის მდგომარეობით გაწმენდილია 10 კმ-მდე მონაკვეთი და 2016 წლისათვის გაიწმინდება კიდევ 5 კმ.

2015 წელს სამელიორაციო სამუშაოები განხორციელდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტშიც, გარე სავარგულების წყალგამყვანი დამშრობი არხების გაწმენდა, დაახლოებით, 30 წელია არ ჩატარებულა. აღნიშნულის გამო, უხვი ნალექის დროს, დატბორვის საფრთხე არა მარტო გარე სავარგულებს ემუქრებოდა, ასევე, საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობასაც. წყალშემკრები და წყალგამყვანი დამშრობი ქსელის რეაბილიტაცია დაშრობილ ფართობებზე მოსავლიანობის ამაღლებასაც შეუწყობს ხელს. დამშრობი სისტემის რეაბილიტაციის შედეგად ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში დაახლოებით 200 ჰა მიწა გახდება ვარგისი.

— გვითხრეს, რომ ყოველწლიურად პროექტებში აუცილებლად ხვდება სკოლებისა და საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია-აშენება. ამ სფეროში რა სამუშაოები შესრულდა გურიის რეგიონში?

— საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის მიერ გურიის რეგიონის საჯარო სკოლებში განხორციელდა მოცულობითი სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც გამოირჩევა არა მხოლოდ ფასადური სილამაზით, არამედ მშენებლობის ხარისხითა და კომფორტულობით. სამი წლის განმავლობაში რეგიონში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 67-მდე საჯარო სკოლას, აშენდა 1 ახალი სკოლის შენობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. წიფნარში. გაზიფიცირდა 3 სკოლის შენობა. 6 სკოლის შენობაში მოეწყო და ინვენტარით აღიჭურვა სამედიცინო კაბინეტი. რაც შეეხება საბავშო ბაღებს, 2013-2014 წლებში სრულად რეაბილიტირდა ქ. ოზურგეთის 5 ბაღის შენობა; 3 ბაღისათვის აშენდა ახალი შენობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალმთიან სოფ. ზოტში ბაღის მშენებლობა, ბაღები აშენდა სოფ. ერკეთსა და სოფ. ქვიანში. შეკეთდა 40-მდე ბაღის შენობა.2015 წელს დაიწყო 5 ბაღისათვის ახალი შენობის მშენებლობა, (სოფ. ჭანიეთი, სოფ. ბაღდადი, სოფ. ბახვი, სოფ. ჯურუყვეთი, სოფ. წყალწმინდა) ასევე სრულად რეაბილიტირდა 2 საბავშვო ბაღი (სოფ.აკეთი, სოფ. მაჩხვარეთი). მიმდინარეობს 15 ბაღის შენობის ნაწილობრივი შეკეთება.

შეხვედრა ნასაკირალის მოსახლეობასთან

„კახელი სვამს კითხვას, როდის მოემატება ყურძენს ფასი? გორელი გლეხი წუხს, რომ ვაშლი ბაზარზე იაფად იყიდება. იმერლები მწვანილის ფასზე ღელავენ, მეგრელებს თხილის და სიმინდის ფასი აწუხებთ და ამ დროს რა კითხვას სვამს გურული: „როის შევალთ ნატოში, ძამა?“

-მნიშვნელოვანი წინსვლებია ჯანდაცვის სფეროში.

-გურიას გადაეცა სასწრაფო დახმარების 10 ახალი მანქანა, გაიხსნა 3 ახალი ამბულატორია (ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი),160-მდე სოფლის ექიმს და ექთანს დაფინანსება გაეზარდა, გაზრდილ სოციალურ დახმარებას იღებს 5 097ოჯახი, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ფარგლებში გურიის რეგიონში49 ოჯახმა მიიღო დახმარება და საქართველოს პარლამენტში ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის მხარდაჭერით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს გადაეცა 9 ერთეული დამხმარე საშუალება.

-ისიც ვიცით, რომ გურიის მხარეში პერმანენტულად მიმდინარეობს გამრიცხველიანებისა და გაზიფიცირების პროცესი.

-დიახ, ორი წლის განმავლობაში ინდივიდუალური მრიცხველები დაუმონტაჟდა 30 სოფლის 9 880 აბონენტს და გაზიფიცირდა 3 819 აბონენტი. აუცილებლად აღსანიშნია, რომ ელექტროფიცირდა 2 უშუქო სოფელი, სოფ. ზემო სურები და სოფ. ჩალიანი.

-დამეთანხმებით, რომ ყველა დიდი ქალაქის, სოფლის თუ მუნიციპალიტეტის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ნაგავსაყრელი.ამ მხრივ არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა იყო გურიაშიც.

-მართლაც ძალიან მძმე მდგომარეობა იყო განსაკუთრებით ქ. ოზურგეთში. თუმცა საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფ. მერიაში მდებარე ოზურგეთის მუნიციპალურ ნაგავსაყრელს. მისი შემდგომი ექსპლოატაცია ხელს შეუწყობს გარემოს დაბინძურებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების პრევენციას.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შეძენილია 3 ერთეული სპეც. ტექნიკა -ბეაცჰ ცლეანერ - ბეაცჰ ტეცჰ მარინა, რომელიც დაასუფთავებს სანაპირო ზოლს და გააუმჯობესებს დამსვენებლების პირობებს.

-გვითხარით კულტურის სფეროში განხორციელებული პროექტების შესახებაც.

- მოგახსენებთ. ორი წლის განმავლობაში რეაბილიტირდა 5 კულტურის სახლი.

შეკვეთილში მიმდინარეობს დიდი საკონცერტო დარბაზის მშენებლობა, რომელიც მიმდინარე წლის ზაფხულში დაიწყებს ფუნქციონირებას.

კლასიკური მუსიკალური ინსტრუმენტებით აღიჭურვა 2 მუსიკალური სკოლა და 1 კულტურის ცენტრი.

კინოჩვენებისათვის საჭირო ტექნიკური აპარატურით აღიჭურვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბიბლიოთეკებს პრეზიდენტმა საჩუქრად გადასცა 8 000 ლარის ღირებულების წიგნები.

2015 წელს დაიწყო დაბა ჩოხატაურში კულტურის სახლის მშენებლობა, ასევე მიმდინარეობს სოფ. შუაამაღლების, სოფ. ზემო ფარცხმისა და სოფ. ბუკისციხის კულტურის სახლების რეაბილიტაცია, დაბა ჩოხატაურში მდებარე სამხატვრო გალერეის რეაბილიტაცია.

(კიდევ არის უამრავი პატარ-პატარა პროექტები, რომელთა დაწვრილებით განხილვასაც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე აუცილებლად დავუბრუნდებით. (ავტ.))

-ბატონო გია, თქვენ დიდხანს ისაუბრეთ გურიის რეგიონში უკვე შესრულებულ პროექტებზე და ჩემთვის ცნობილია, რომ ამჟამად სამუშაოები რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. მოგვიყევით მიმდინარე პროექტების შესახებ და აქვე, სამომავლოდ დაგეგმილი პროგრამები და სამუშაოებიც გავაცნოთ ხალხს.

- სიამოვნებით. მიმდინარე წელს ხორციელდება: რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რგპფ) დაფინანსებით 181, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 432, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 181 პროექტი.

სოფ. ასკანაში დაწყებულია ღვინის მუზეუმის მშენებლობა. ამ პროექტის მხარდაჭერისათვის შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში 600 000 დოლარი გაიცა და მშენებლობა წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს.

დაგეგმილია სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის საცდელი სანერგე მეურნეობის მოწყობა ოზურგეთსა და ჩოხატაურში. შეირჩა ნაკვეთები, სადაც მოეწყობა საცდელი მეურნეობა, ამ ეტაპზე ჩოხატაურის ტერიტორიაზე მიმდინარეობს შერჩეული ფართობის შეღობვითი სამუშაოები.

მიმდინარე წელს დაიწყება 3 სკოლისათვის ახალი შენობების მშენებლობა, სკოლები აშენდება

12 gv.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ სტადიონზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები

11 gv.

დიახ, გურია არის, იყო და ყოველთვის იქნება ქართული პოლიტიკის და პროგრესული აზროვნების ცენტრი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფ. ჭანიეთსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფ. ზოტსა და სოფ. შუაამაღლებაში.

რაც შეეხება ენერგეტიკის სფეროს,მიმდინარეობს სოფ. ბუქსიეთში მდინარე გუბაზოულზე ჰესის მშენებლობა.მიმდინარე წლის ბოლომდე რეგიონის მაშტაბით დაგეგმილია 8 სოფლისა და 2501 აბონენტის გამრიცხველიანება;

აქტიურად მიმდინარეობს გაზიფიცირების სამუშაოები, 2015 წელს აგვისტოს ჩათვლით გაზიფიცირდა 2715 აბონენტი, ხოლო წლის ბოლომდე გაზიფიცირების ქსელს კიდევ დაემატება 1500-მდე აბონენტი.

კულტურის სამინისტროს ინიციატივით იწყება კულტურის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება. დაგეგმილია ავტობანის მშენებლობა ლანჩხუთში. იწყება ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობა შეკვეთილში.

მიმდინარეობს ლაითურის ხიდის მშენებლობა, აღნიშნული საავტომობილო ხიდით ოზურგეთის 2 დიდი სოფელი ერთმანეთს და რაიონულ ცენტრს უმოკლესი გზით უკავშირდება. ხიდის აღდგენით 2 სოფლის მოსახლეობას რამდენიმე სახის პრობლემა უგვარდება. 150 მეტრი სიგრძის ხიდის მშენებლობა მიმდინარე წლის ბოლოსთვის დასრულდება. ხიდის მშენებლობის საერთო ღირებულება 2 500 000 ლარს შეადგენს.

მიმდინარე წელს დაიწყო დაბა ურეკის წყლის სისტემის და კანალიზაციის ქსელების მშენებლობა, რომელიც ითვალისწინებს, ურეკი-შეკვეთილის სასმელი წყლის სისტემების და კანალიზაციის ქსელის მშენებლობას (სათავე-ნაგებობა, ჭაბურღილები, გამანაწილებელი ქსელი, სატუმბო სადგურები). ასევე განხორციელდება ურეკის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა. პროექტის დასრულების შემდეგ, სარგებელს მიიღებს 2100 მცხოვრები და 25 000 ტურისტი დღე-ღამეში. პროექტი გათვლილია 2040 წლამდე ტურისტების რაოდენობის ზრდაზე. პროექტის დასრულებისათვის გათვალისწინებულია 3 წელი (2015-2017).პროექტი ხორციელდება აზიის განვითარების ბანკის

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩოჩხათის ტერიტორიულ ერთეულში გულიანი-ჩოჩხათი-სუფსის 11 კილომეტრიანი საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო.

დაფინანსებით. და მისი ღირებულებაა 73 მლნ. ლარი.

დაიწყო უპრეცენდენტო პროექტი, სოფ. მერიაში მდებარე მრავალბინიანი სახლის რეაბილიტაცია, შენობის რეაბილიტაციის შემდგომ, მასში დაბინავდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 90 უსახლკარო ოჯახი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩოჩხათის გზის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია გასულ წელს მომზადდა, მშენებლობა კი მიმდინარე წელს დაიწყო და 2017 წელს დასრულდება. სარეაბილიტაციო გზის სიგრძე 11 კმ-ს შეადგენს, მიმდინარე წელს დაგეგმილია 3 კმ გზის ასფალტირება (900 000 ლარი) ჩოჩხათის გზის რეაბილიტაციის საერთო ღირებულება 3 მილიონს შეადგენს. აღნიშნული გზა ერთმანეთს აკავშირებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 7 სოფელს, რომლებიც ფაქტობრივად მოწყვეტილნი იყვნენ რაიონებიდან, გზა თითქმის გაუვალი იყო და დიდ დროს საჭიროებდა მისი გავლა. ამასთანავე აღნიშნული გზა წარმოადგენს ოზურგეთი-სუფსა-ფოთის დამაკავშირებელ უმოკლეს მანძილს, მისი აღდგენა ხელს შეუწყობს ციტრუსითა და თხილით მდიდარი 7 სოფლის მოსახლეობას პროდუქციის სარეალიზაციოდ გატანას.

მიმდინარე წელს დაიწყო სოფ. გრიგოლეთში საწვრთნელი ბაზის რეაბილიტაცია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გრიგოლეთის საწვრთნელ ბაზას 3 ჰა ფართობი უკავია, . მასზე ამჟამად განლაგებულია საწვრთნელი მოედნები და შენობა -ნაგებობები, რომლებიც გადაუდებელ რეაბილიტაციას საჭიროებდნენ, ბაზა 50 სპორტსმენს მოემსახურება, რომლებიც გაუმჯობესებულ პირობებში ივარჯიშებენ, ბაზის რეაბილიტაციის შემდგომ უფრო მეტი ახალგაზრდა ჩაერთვება სპორტულ აქტივობებში და შესაძლებელი გახდება დამატებით სპორტული ღონისძიებების და შეჯიბრებების ჩატარება.

მიმდინარე წელს დაიწყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2 სოფელში- ჯურუყვეთსა და წყალწმინდაში საბავშვო ბაღისათვის ახალი შენობების მშენებლობა, უკვე განხორციელდა 2 საბავშვო ბაღის შენობის სრული რეაბილიტაცია (სოფ. აკეთი, სოფ. მაჩხვარეთი).

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუკისციხე-ზემო სურების დამაკავშირებელი გზა ერთ-ერთი ყველაზე უფრო პრობლემური მონაკვეთია. მისი სიგრძე 17 კმ-ია და მიმდინარე წელს დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად შეკეთდება 7-კმ სიგრძის მონაკვეთი, გაფართოვდება გზის სავალი ნაწილი, მოეწყობა წყალგამტარი მილები და სახიდე გადასასვლელები, შეკეთდება გზის სავალი ნაწილი ქვიშა-ხრეშოვანი მასალით. სამუშაოები დაიწყო მიმდინარე წლის 3 აგვისტოს და დასრულდება მიმდინარე წლის 30 ნოემბერს. პროექტის ღირებულება შეადგენს 485 000 ლარს.

დაბა ჩოხატაურის ქუჩების (ჩიჩუას, გოგებაშვილის, ჯალაღანიას, ფიროსმანის, გოგიბერიძის) ბეტონის საფარისა და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები

რაც შეეხება ქალაქ ოზურგეთს, მიმდინარე წლის 19 აგვისტოს პირობიან აუქციონზე გაიყიდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქის ცენტრში მდებარე ყოფილი სასტუმროს შენობა. აუქციონის მთავარ პირობას წარმოადგენდა შეძენიდან 1 წლის განმავლობაში ყოფილი სასტუმროს შენობაში 100 000 ლარის ოდენობის ინვესტიციის ჩადება. შენობა 111 223 ლარად გაიყიდა და იგი შეიძინა შპს. ქართული ტრადიციული მეღვინეობის მფლობელმა ზურა ჩხაიძემ. როგორც ცნობილია, დაგეგმილია შენობის ნაწილში სასტუმროს აღდგენა, რესტორნის, საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზების მოწყობა.

ქ. ოზურგეთში 30 კილომეტრიან მონაკვეთზე მიმდინარეობს ამორტიზებული მილების გამოცვლა და სატუმბი სადგურიდან გამომავალი მილსადენისა და ქალაქის ცენტრალური უბნების გამანაწილებელი ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები. სამუშაოების დასრულების შემდეგ 10 300-მდე მოსახლე მიიღებს ხარისხიან წყალს, გაუმჯობესებული (14-16საათიანი) გრაფიკით. პროექტის საერთო ღირებულება დაახლოებით 4 მლნ ლარია და მისი დასრულება 2016 წლის აპრილში იგეგმება. მიმდინარეობს და წლის ბოლომდე დასრულდება ქალაქის ქუჩების რეაბილიტაცია და მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, რაც მეტად მნიშვნელოვანია ქალაქის მოსახლეობისათვის.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, სოფელ ბაილეთის საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

გვინდა და მომავალ წელს ხელისუფლების მხარდაჭერით გაკეთდება: ანასეული-ექადიის წყალმომარაგება, ლაითურის გაზიფიცირება -2016 წელს სრულად გაზიფიცირდება,ლაითურის წყლის პრობლემა, პროექტირება დაგეგმილია მიმდინარე წელს, ოზურგეთში კინოთეატრის რეაბილიტაცია, 2016 წელს დაგეგმილია ფოლკლორის ცენტრის გახსნა, ჩოხატაურში სპორტ-კომპლექსის რეაბილიტაცია, ბახმაროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ლანჩხუთში სპორტდარბაზის მოწყობა, ბუკისციხე-ზემოსურების გზის დარჩენილი სარეაბილიტაციო მონაკვეთზე საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და მომავალი წლისთვის მისი რეაბილიტაცია.

გურულები ბატონ გიას კარგად ახასიათებენ. ამბობენ, რომ იგი თავმდაბალი და უშუალო პირობვნებაა. პირნათელი კაციაო. მოქალაქეებს როცა ხვდება,მათთან მეგობრულად ურთიერთობს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს რეგიონისთვისო. ასე ფიქრობენ პროგრესულად მოაზროვნე კონსტრუქციული გურულები, რომელთაც იმ საერთო რთული ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, საკუთარი პრობლემების მაგივრად (მოუწესრიგებელი გზები, სასმელი წყლის პრობლემა, შეუღობავი საყანე ფართობები, სამეურნეო პროდუქციაზე დაბალი ფასები, და ასე შემდეგ...), სახელმწიფოებრივი ინტერესები დაუყენებიათ წინა პლანზე და ხშირად ეკითხებიან თავიანთ თავმდაბალ გუბერნატორს: „როის შევალთ ნატოში ძმა?“

P.S. გია სალუქვაძის ცხოვრებიდან აღსანიშნავია კიდევ ერთი მოვლენა, იგი გახლავთ დოკუმენტური ფილმის ,,სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის“ ავტორი. ეს ფილმი მომზადდა 2014 წელს და საქართველოს რამდენიმე ქალაქში გაიმართა კიდეც მისი საჯაროდ ჩვენება, რასაც ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ბატონი გია, ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ კომენტარში ამბობს: ,,მხოლოდ წინა ხელისუფლებისთვის არ ხდებოდა ჩვენი ფილმის დემონსტრირება, ის დღევანდელ ხელისუფლებასაც უჩვენებს, როგორ არ უნდა იქცეოდეს ხელისუფალი, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი მას მხოლოს არჩევნების დროს კი არ გასცემს პასუხს, არამედ ყოველთვის ადეკვატური იქნება. ასე რომ, იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, რომლის თავმჯდომარეც მე აღარ ვარ, თუ ჩათვლის რომ ეს ფილმი გურულებმაც უნდა ნახონ, მე ვერანაირად ვერ ჩავერევი ამ პროცესში, თუ საზოგადოება გადაწყვეტს, რომ სურს ამ ფილმის ნახვა, ნახავს კიდეც.“

ელენე გურგენაძე
557 71 55 68



გურამ ადამაშვილი:

ძალიან მიხარია, ეკა გიგაურმა რომ მიჩივლა... იქნებ ახლა მაინც გაირკვეს, რისთვის მიანიჭა მას ვანო მერაბიშვილმა კაპიტნის ჩინი და რაში დაიხარჯა ის 19 მილიონი ლარი, რაც გიგაურის ორგანიზაციამ მიიღო?

ვესაუბრებით არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიციის“ ხელმძღვანელს გურამ ადამაშვილს.

გურამ ადამაშვილი: „მიმდინარე წლის დასაწყისში სოციალური ქსელით გავრცელდა ინფორმაცია (დოკუმენტი), რომ ქალბატონი გიგაური წარსულში შსს-ს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილედ მუშაობდა და მან ხელი მოაწერა ბრძანებას, ხსენებული უწყების განსაკუთრებული რაზმის წევრების დაჯილდოებასთან დაკავშირებით. ეს პერიოდი ზუსტად ემთხვევა 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებს, ბრძანება შედგენილია 2007 წლის 14 ნოემბერს, გამოჩნდა ის დოკუმენტიც, რომლის თანახმადაც მაშინდელი შს მინისტრი ივანე მერაბიშვილი, სპეციალური ბრძანების საფუძველზე ეკა გიგაურს კაპიტნის წოდებას ანიჭებს. მე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა საჭიროდ ჩავთვალე ეს დოკუმენტები გამესაჯაროებინა, თებერვლის თვეში „პოზიციის“ სახელით გავაკეთეთ განცხადება, სადაც გამოვთქვი რიგითი მოქალაქის ეჭვი და ვარაუდი, რომ ეს ყველაფერი დაკავშირებული იყო 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებთან. ბრიფინგის შემდეგ მივიღეთ საპასუხო განცხადება პირადად ეკა გიგაურისგან, რომ თურმე 14 ნოემბერს პრემიები საზღვრის დამცველებზე, ანუ მესაზღვრეებზე გასცა, ასე რომ, ის არ უარყოფს პრემიების გაცემის ფაქტს. რამდენადაც ვიცი, ქვეყანაში მაშინ არ იყო ისეთი მდგომარეობა (თუნდაც საომარი), რომ მესაზღვრეებს გარკვეულად თავი გამოეჩინათ. წახალისება მესმის, მაგრამ კონკრეტული მიზეზი უნდა არსებობდეს, რაც იმ დროს ვფიქრობ, არ ყოფილა. ამიტომაც ვეჭვობ, რომ ეს ეს პრემიები 7 ნოემბრის მოვლენებს უკავშირდებოდა და ჩემი ეჭვი გავაცანი საზოგადოებას. დაახლოებით ერთი თვის, შემდეგ ბატონმა გოგა ხაინდრავამ ჩაატარა პრესკონფერენცია, სადაც მიმოიხილა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ საქმიანობა და პრემიებთან დაკავშირებით ზუსტად იგივე განცხადება გააკეთა. მოგვიანებით ხსენებული ორგანიზაციიდან მივიღეთ წერილი, რომ მათ ჩემსა და ბატონი გოგას წინააღმდეგ შეიტანეს სარჩელი, რადგან თურმე ცილს ვწამებდით მათ ორგანიზაციის ხელმძღვანელს და საზოგადოებაში იმიჯს ვულახავდით. ქალბატონი გიგაური ჩვენგან ბოდიშის მოხდას და 30 თეთრის გადახდას ითხოვს, თუ რატომ ითხოვს ამ სიმბოლური თანხის გადახდას, ეს კარგად მესმის. სანამ უშუალოდ ზემოხსენებულ ბრიფინგს გავმართავდი, მანამდეც მქონდა პრესკონფერენციები, სადაც არასამთავრობო სექტორის საქმიანობას მიმოვიხილავდი, რადგან „პოზიციის“ საქმიანობის მიმართულებებია, როგორც სახელმწიფო პროგრამების, ისე სამოქალაქო სექტორის მონიტორინგი, სწორედ აქედან გამომდინარე ვიმოქმედე და გამოვთქვი ეჭვი. მე მტკიცებით ფორმაში არ მისაუბრია, რადგან სამართალდამცავი ორგანოების პრეროგატივაა, გაარკვიონ ეს ყოველივე რამდენად შეესაბამება სინამდვილეს, თუ რეალობა დადასტურდება, ჩვენ აუცილებლად მოვითხოვთ სამართალდამცავებისგან სათანადო რეაგირებას. არ შეიძლება ადამიანი არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით სამოქალაქო სექტორის განვითარებას ემსახურებოდეს, პარალელურ რეჟიმში ისეთ გადაწყვეტილებებში ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული, როგორიცაა ადამიანების დარბევა, ცემა, გაზით მოწამლვა და ა.შ. მე პირადად შევიტანე შესაგებელი (საპასუხო) სარჩელი სასამართლოში, შემოდგომაზე დაინიშნება სასამართლო პროცესი და დაველოდოთ რა გადაწყვეტილებას მიიღებს მოსამართლე. ბოდიშის მოხდას და 30 თეთრის გადახდას წინ არაფერი უდგას, მაგრამ პრინციპის საკითხია, მით უმეტეს, რომ ქალბატონ გიგაურს სურს საზოგადოებას თავი მოაჩვენოს, როგორც დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, რომ თითქოს ის დაკავშირებული არ არის იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ჰქვია.

ქალბატონ გიგაურს წარმოდგენილი აქვს ჩემი ბრიფინგის მასალები, ფოტოები და ა.შ, რაც თურმე ადასტურებს, რომ მისთვის მტკიცებითი ფორმით დამიდია ბრალი. ვიმეორებ, ეს იყო ჩემი ვარაუდი, თუმცა ვარაუდზე მეტია, რადგან მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს უფლება მაქვს ჩემი აზრი და შეხედულება დავაფიქსირო, ჩემი აზრი კი ზუსტად ისაა, რომ არალოგიკურია მიტინგის დარბევიდან ერთი კვირის შემდეგ პრემიების გაცემა, ამ მოვლენას არ დაუკავშირო, მით უმეტეს, რომ იმ პერიოდში სასაზღვრო პოლიციას მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია. ყველას კარგად მოეხსენება, რომ მაშინდელი შსს-ს ძალოვანი დანაყოფები მინისტრ მერაბიშვილის უშუალო დავალებით მოქმედებდნენ, რაც ხშირ შემთხვევაში დაკავშირებული იყო ხალხის დარბევასთან, ცემა-წამებასთან, სახლებში თუ ოფისებში შევარდნებთან და ა.შ. რა მოტივით წაახალისეს სასაზღვრო პოლიციის სპეცრაზმის წევრები, ამის შესახებ ოფიციალურ ინფორმაციას არ ვფლობ, მე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი ვარ და უფლება არ მაქვს დახურული, კონფიდენციალური ინფორმაცია მოვიპოვო. დიდი ინტერესით ველოდები სასამართლო პროცესის დაწყებას, რომ სასამართლოს დახურული ინფორმაციის გამოთხოვნის შუამდგომლობით მივმართო, რისი უფლებაც მხოლოდ მას აქვს. მაშინ თვალნათლივ გამოჩნდება სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებმა რის გამო დაიმსახურეს პრემიები, იმ დროს სად იყნენ. სიმართლე გითხრათ, ძალიან მიხარია ქალბატონმა გიგაურმა რომ მიჩივლა, მიმაჩნიამ, რომ მან ამით დიდი შეცდომა დაუშვა, რადგან საშუალება მომცა უფრო დეტალურად განვიხილო მისი მაშინდელი მოღვაწეობა.

- საზოგადოებაში აქტიურად მუსირებს აზრი, რომ გაირკვეს არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წყარო, რადგან არცთუ იშვიათად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ ორგანიზაციების ნაწილი ყოველივე ეროვნულის, უფრო მეტიც სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ გამოდის. მონიტორინგის ფარგლებში რა ინფორმაციები მოიპოვეთ, თუნდაც დაფინანსებასთან დაკავშირებით?

- ჩვენც საზოგადოების ანალოგიური კითხვები გვქონდა, ამიტომ ჩემი პირველი ბრიფინგის თემა დაფინანსების წყაროები იყო. მოგეხსენებათ, არსებობს ორგანიზაცია იუესაიდი, ამერიკის ძალიან დიდი ფონდი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში გარკვეულ პროექტებსა და ფონდებს აფინანსებს. რა თქმა უნდა, ეს ფონდი წინა ხელისუფლების ნების გარეშე საქართველოში ვერ შემოვიდოდა, ჩემი ვარაუდით, ამ ორგანიზაციის საშუალებით ხდებოდა გარკვეული თანხების „გათეთრება“, სხვანაირად იქ საქმე არ გაკეთდებოდა. იუესაიდს დააარსებინეს ქართული „ევრაზიული თანამშრომლობის ფონდი“, რომელმაც თავის მხრივ დაარსა „ევრაზიის ფონდი“, იმდენად ჩახლართული სქემა აქვთ შემუშავებული, რომ გარკვევა ძალზე რთულია, მაგრამ შევეცადეთ ყველაფერს ბოლომდე მივყოლოდით, სხვათა შორის, იქ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორის ლაშა ტუღუშის ორგანიზაციაც ფიგურირებდა, ჩვენ მივაგენით იმ დოკუმენტაციას, რომლის მიხედვითაც ეს ორგანიზაციები იმ პერიოდიდან ფინანსდებოდნენ, როცა „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ სამეთვალყურეო საბჭოში დავით დარჩიაშვილი იყო, რომლის გარეშეც თანხა ვერ გაიცემოდა. რომელ პარტიას წარმოადგენს დარჩიაშვილი, შეხსენება არ გვჭირდება. ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ ეს ორგანიზაციები ნაცმოძრაობის ლობირების შედეგად ფინანსდებიან. დავინტერესდი „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ დაარსების დღიდან დღემდე რა ოდენობის გრანტები ჰქონდა მიღებული (ეს სრულიად ღია ინფორმაციაა, საკუთარ საიტზე აქვთ განთავსებული), დაახლოებით 5-6 წლის განმავლობაში ეს ორგანიზაცია სხვადასხვა ფონდებიდან 19 მილიონი ლარით არის დაფინანსებული, რაც ძალზე სერიოზული თანხაა. როდესაც საქართველო ჯერ კიდევ არ არის დემოკრატიული ინსტიტუტები იმ დონეზე განვითარებული, როგორიც გვინდა და ამ ფონზე ერთ-ერთი ორგანიზაცია იღებს 19 მილიონ ლარს, რა თქმა უნდა ჩნდება კითხვები, საიდან ფინანსდება და რატომ ამასაც რომ თავი დავანებოთ, ის ხომ მაინც უნდა ვიცოდეთ რაში დახარჯეს ამხელა თანხა. როცა არასამთავრობო ორგანიზაცია გქვია (მით უმეტეს ამხელა დაფინანსებაც გაქვს), საზოგადოების კეთილდღეობაზე უნდა იყო მიმართული, თუმცა ჩვენს საზოგადოებას არაფერი ემჩნევა, რომ მის საკეთილდღეოდ დახარჯა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ 19 მილიონი ლარი დაიხარჯა. ეს ორგანიზაცია დაახლოებით 2008-2009 წლებშია შექმნილი, ე.ი. იმ დროს, როცა ეკა გიგაური შსს-დან სამოქალაქო სექტორში გადავიდა. საერთოდ პირიქით ხდება ხოლმე, მეც მიმაჩნია, რომ ჯერ სამოქალაქო სექტორში უნდა იმუშაო, ხალხთან ურთიერთობის გამოცდილება მიიღო, თუ საზოგადოების საკეთილდღეოდ არაფერი გაგიკეთებია, არ უნდა გქონდეს იმის პრეტენზია, რომ თუნდაც ძალოვან სტრუქტურაში მაღალი თანამდებობა დაიკავო. ნაციონალების მმართველობის ცხრაწლიან პერიოდში ხელისუფლების მხრიდან უამრავი დანაშაულია ჩადენილი, მაგრამ მე ამ ორგანიზაციის გაპროტესტებული არაფერი მინახავს. როცა რაიმე დანაშაული ხდება, ან დანაშაულის ნიშნები იკვეთება, ჩვენი ორგანიზაცია ყოველთვის აფიქსირებს თავის პოზიციას. ჩვენ გამოვიკვლიეთ ცესკოს საქმიანობა 2013-2014 წლებში და დიდი დარღვევები აღმოვაჩინეთ, ამასთან დაკავშირებით ბრიფინგიც გვქონდა. ჩვენდა სამწუხაროდ ცესკოს უფროსის მოადგილეს თვითონ ჰქონდა დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაცია და ცესკოს მიერ გამოყოფილი გრანტებით ფინანსდებოდა. სხვა ორგანიზაციებიც რეალურად მათ ეკუთვნით. მასალები გამოვითხოვეთ და გაირკვა, რომ იმ ორგანიზაციების 80%, რომლებიც ცესკოს მიერ 15 მილიონი ლარით დაფინანსდნენ, ნაცმოძრაობის არასამთავრობო ორგანიზაციებია. კანონიერების კუთხით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ეს არ არის დანაშაული, მაგრამ 2012 წლის არჩევნების დროს ცესკო ნამდვილად არ ასახავდა საზოგადოების სურვილებს, ახლაც თავის შეხედულებისამებრ განკარგავს თანხებს და ფაქტობრივად ნაცმოძრაობის წიქვილზე ასხამს წყალს.

ეკა გიგაური

- ხომ არ ჯობია საზოგადოება თავადაც გააქტიურდეს და დასავლელ (არცთუ უანგაროდ) ჭკუისდამრიგებლებს მკაფიოდ ავუხსნათ, რომ დამნაშავეთა დასჯა და სამართლიანობის დამყარება სწორედ საზოგადოების დაკვეთაა?

- სამწუხაროდ საზოგადოების უმეტეს ნაწილს ეგონა, რომ ქვეყანა ერთეულების ასაშენებელია, დიდი შეცდომაა იმაზე ფიქრი, რომ ვიღაც ჩემს მაგივრად გააკეთებს. ერთი კი არა ათი ბიძინა ივანიშვილი რომ მოვიდეს, თუ თვითონ საზოგადოება არ მიხვდა, რომ მაყურებლის პოზიციაში დარჩენა არ შეიძლება, არაფერი გამოვა. ყველა ქვეყანაშია ღარიბი, საშუალო და მდიდარი ფენა, იმის ძახილი, რომ საქართველო ღარიბი ქვეყანაა, არ არის გამოსავალი. რაც შეეხება შეუსრულებელ დაპირებებს, რა თქმა უნდა „ქართულ ოცნებასაც“ აქვს შეცდომები, შეუცდომლად საქმეს ვერ გააკეთებ. რადაცა შეიძლება მეც არ მომწონდეს, მაგრამ საზოგადოება შიშის სინდრომისგან რომ გათავისუფლა, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

გენეოლიციფირებული გენოციდი

გმო ტექნოლოგიების კოშმარები

როგორ აფასებენ მეცნიერები ფრაქცია „მრეწველების“ საკანონმდებლო ინიციატივას საქართველოს გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების გავრცელებისგან თავისუფალ ზონად გამოცხადების შესახებ?

„მეუბნებიან, რომ გმო პროდუქციის აკრძალვას შეიძლება სოციალური აფეთქება მოჰყვეს და ვპასუხობ, რომ სოციალური აფეთქება მაშინ იქნება, როცა ამ საზიზღარი საკვების მოხმარების შედეგად, ადამიანებს დაუზიანდებათ ღვიძლი, თირკმელები, მთელი ორგანიზმი და საკურნალო ფული აღარ ექნებათ.“

„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში მკითხველს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ საკანონმდებლო ინიციატივაზე ვუამბეთ, რომელიც საქართველოს გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების გავრცელებისგან თავისუფალ ზონად გამოცხადებას ეხება. ცხადია, ერთ საგაზეთო წერილში გმო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ყველა საკითხის განხილვა შეუძლებელია, ამიტომ როგორც დაგპირდით, თემას გავაგრძელებთ. გმო ტექნოლოგიებისგან მომდინარე საფრთხეებსა თუ სარგებელზე მთელ მსოფლიოში გაცხოველებული კამათია. გმ-ტექნოლოგიების დამცველები ამტკიცებენ, რომ გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტი სავსებით უსაფრთხოა, აქვს დაბალი ფასი, მომგებიანი სასაქონლო სახე და დიდხანს ინარჩუნებს საკვებ ღირებულებას.

გმო ტექნოლოგიების მოწინააღმდეგეები კი დარწმუნებული არიან, რომ ბუნებრივი რესურსების დეფიციტით შეშფოთებულ ამერიკელ მაგნატებს მოსალოდნელი კრიზისიდან გამოსვლის საშუალებად განვითარებადი ქვეყნების 5 მილიარდი მოსახლეობისგან, როგორც სარეველებისგან გათავისუფლება მიაჩნიათ. გმო პროდუქციის მწარმოებელი კომპანია „მონსანტოს“ უკან “მაიკროსოფტ”-ის დამაარსებელი და მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი ბილ გეიტსი დგას, რომლის მიზანს პლანეტის მზარდი მოსახლეობის შემცირების ხარჯზე მილიარდების კეთება წარმოადგენს. გენმოდიფიცირებული პროდუქციის მავნე გავლენებზე მოსაუბრეები 90-იანი წლების დასაწყისში მექსიკაში, ფილიპინებსა და ნიკარაგუაში აფეთქებულ ეპიდემიას გვახსენებენ, როცა სრულიად ჯანმრთელ, ახალგაზრდა ქალებს ორსულობის მეორე-მესამე ტრიმესტრში ნაყოფი წყდებოდათ. ქალბატონების დაორსულების ყოველი მომდევნო მცდელობა წარუმატებელი იყო და ყველაფერი სრული უნაყოფობით სრულდებოდა. ამ უცნაური ეპიდემიის ყველა მსხვეპლი ტეტანუსის საწინააღმდეგო მასობრივი აცრების მონაწილე ბრძანდებოდა. აღსანიშნავია, რომ ვაქცინაციას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია კურირებდა, ხოლო ფინანსურ მხარდაჭერას როკფელერის ფონდი ახორციელებდა. კათოლიკური ორგანიზაცია **Comite Pro Vida**-ს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოაგნებელი შედეგი დადო: ტეტანუსის საწინააღმდეგო ვაქცინის ამპულებში ფეხმძიმობის შენარჩუნების ჰორმონი — ქორიონული გონადოტროპინი აღმოჩნდა. ტეტანუსის გამომწვევის ქორიონული გონადოტროპინთან სინთეზის შედეგად წარმოიქმნებოდნენ ანტისხეულები, რომლებიც უნაყოფობას იწვევდა. მარტივად რომ ვთქვათ, ტეტანუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია აბორტის შენიღბულ ფორმას წარმოადგენდა. ამერიკელი მილიარდერის შეთქმულების გაცხადების შემდეგ, დაწყებული საქმე მეორე ამერიკელმა მილიარდერმა გმო პროდუქციის წარმოებით განაგრძო. რამდენიმე წლის წინ, ზიმბაბვესა და გვინეას მოსახლეობა ზუსტად ისეთივე მოვლენების მოსწრე გახდა, როგორიც 90-იან წლების მექსიკაში, ფილიპინებსა და ნიკარაგუაში დაფიქსირდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ უნაყოფობისთვის განწირულ ფეხმძიმე ქალბატონებს ვაქცინაციის ნაცვლად, კონსერვირებული სიმინდის სიყვარული აერთიანებდათ. სწორედ მაშინ, სამხრეთაფრიკული უნივერსიტეტის ტოქსიკოლოგის მიერ გამოითქვა პირველი მოსაზრებები ბიოტერორიზმის შესახებ. მეცნიერი ამტკიცებდა, რომ უნაყოფობის ეპიდემია განვითარებად ქვეყნებში თავისთავად არ გაჩენილა და „გარედან“ შემოიტანეს. ამ საშინელ გეგმას ფარდა კალიფორნიის ბიოტექნოლოგიური კომპანია „ეპიციტის“ პრეზიდენტმა მიტჩ ჰანმა ახადა. მან კვლევებით დაადასტურა, რომ განვითარებად ქვეყნებში გასაგზავნი სიმინდის მარცვლებში გენური ინჟინერიის მეთოდით შეიყვანეს ანტისხეულები, რომლებიც უნაყოფობას იწვევს. ამგვარად, აფრიკელებმა საკუთარი ხელით დათესეს და მოიყვანეს გენმოდიფიცირებული სიმინდი, რომელშიც ჩაშენებული იყო ფარული კონტრაცეფცია.

პირველი გამაოგნებელი აღმოჩენების შემდეგ, გმ პროდუქტებზე დაკვირვებები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დაიწყო. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთში ყოველდღიურად იზრდება უშვილო წყვილთა რაოდენობა და ამ დროისთვის, საკუთარი შვილის ყოლას 5 მილიონამდე ოჯახი ვერ ახერხებს, თემა რუსეთშიც განსაკუთრებით აქტუალურია. მოსკოვის ბიოლოგიის ინსტიტუტში ზაზუნებზე ექსპერიმენტი ჩაატარეს. მღრღნელებს მთელი წელი ტრანსგენური სოიოთი კვებავდნენ. შედეგი საგანგაშო აღმოჩნდა: ზაზუნებს ზრდასა და განვითარებაში სერიოზული ჩამორჩენა და რეპროდუქციული ფუნქციის დაქვეითება აღენიშნათ. ექსპერიმენტში მონაწილე ზაზუნების მესამე თაობის მიღება შეუძლებელი გახდა. რუსი მეცნიერის ალექსანდრე ბარანოვის თქმით, ამას ევოლუციურ ჩიხამდე და სახეობის დეგრადაციამდე მივყავართ. კვლევების მიმდინარეობისას კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა: მღრღნელებს პირის ღრუს გათმიანება აღენიშნათ.

მთელ მსოფლიოში ჩატარებული ხანგრძლივი დაკვირვებების შემდეგ, ინდოეთმა უარი თქვა წელიწადში 100 მლნ. დოლარის ღირებულების ამერიკულ ჰუმანიტარულ დახმარებაზე. ჩინეთმა შიდა ბაზარზე სრულად აკრძალა გმო პროდუქცია. გმო პროდუქციის გამოყენებაზე უარი თქვა სლოვენიამ, ავსტრიამ, საბერძნეთმა, საფრანგეთმა, ლუქსემბურგმა, დიდმა ბრიტანეთმა, ხოლო იტალიაში აიკრძალა ტრანსგენური თესლების შეძენა. საქართველოს “გენმოდიფიცირებული პროდუქციისგან თავისუფალი ზონად” გამოცხადება 2007 წლიდან განიხილებოდა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ “დახურული ტერიტორიის“ კონცეფცია ბოლომდე „დახურულობას“ არ გულისხმობს, რადგან კანონპროექტით, არ იზღუდება გენმოდიფიცირებული საკვების შემოტანა. ჩვენს ბაზარზე ხორციდან დაწყებული, ჩაით დამთავრებული, საქონლის უმეტესობა გენმოდიფიცირებულია: კარტოფილისა და სიმინდის ჩიფსები და კრეკერები, სიმინდის ბურღულეული და კონსერვები, სოიოს ფარშები, კონსერვები, კეტჩუპები და ტომატ-პასტები და ა.შ.

საყურადღებოა, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტების გარდა, ქართული ბაზარი გაჯერებულია მავნე საკვები დანამატებით, ემულგატორებითა და კონსერვანტებით გაჯერებული კვების პროდუქტებით. ცნობისთვის, საკვები დანამატები არის ნივთიერებები, რომლებიც პროდუქტს მისი თვისებების შესაცვლელად, ფერის, გემოს, სუნისა და შენახვის ვადის გასაუმჯობესებლად ემატება. დანამატები შეიძლება იყოს, როგორც ბუნებრივად დამუშავებული, ასევე ქიმიურად მიღებული. მაგ: სტაბილიზატორები, დამატკბობლები, საღებავები, ემულგატორები, მყავიანობის მარეგულირებლები და ა.შ. მათ შორის, ბევრი ძალიან მავნეა და უმძიმეს დაავადებებს იწვევს. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „კოდექს ალიმენტარიუსის“ მონაცემებით, არსებობს კანისა და კუჭის დაავადებების, სიმსივნის გამომწვევი, წნევის ამწევი, განსაკუთრებით საშიში და აკრძალული დანამატები. სხვადასხვა გემოს ორცხობილები შეიცავენ საკვები გემოვნების გამაძლიერებელს: ნატრიუმის გლუტამინს და აგრეთვე სინთეზირებულ, მოდიფიცირებულ ნივთიერებებს კოდით „ე“ (რომელსაც ევროკავშირში არ ხმარობენ!) იმ პროდუქტის მიღებისას, რომელშიც არის კოდი „ე“, ორგანიზმში ხდება უამრავი მუტაგენური პროცესი, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ონკოლოგიური დაავადებები და მარგელონის სინდრომი. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში - აზერბაიჯანში, თურქეთსა და სომხეთში აკრძალული საკვები დანამატების სია ასობით ელემენტს მოიცავს. საქართველოში კი ასეთი მხოლოდ ხუთია. შედეგი სახეზეა — საქართველოში ბოლო დროს ონკოლოგიური დაავადებების „გაახალგაზრდავების“ მიზეზად, გმო პროდუქტებთან ერთად, სიცოცხლისთვის საშიშ საკვებ დანამატებსაც ასახელებენ.

ჩვენ ვართ პარადოქსული ფაქტების მომსწრე, როცა სწორედ ის პროდუქტები, რომლების რეკლამირება ხდება, როგორც დაბალცხიმიანი, უშაქრო და დიეტური, ხელს უწყობენ ნივთიერებათა ცვლის მოშლას და ჭარბი წონის მატებას. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ათასობით ე.წ. დიეტურ პროდუქტში გამოიყენება ხელოვნური დამატკბობელი ასპარტამი, რომელსაც მისი უკუჩვენებების გამო, 21-ე საუკუნის შავ ჭირსაც უწოდებენ. საქართველოში მილიონობით ადამიანი ასპარტამს ყოველდღიურად იღებს საღეჭი რეზინების, დიეტური სასმელების და უშაქრო ტკბილეულის სახით. უკუჩვენებების არასრული ჩამონათვალი, რომელსაც ეს პროდუქტი იწვევს, შთამბეჭდავია: მხედველობის დაქვეითება-დაბრმავება, სმენის დაქვეითება, ეპილეფსია, თავბრუსხვევა, მეხსიერებისა და მეტყველების უნარის დაქვეითება, მოუსვენრობა, ონკოლოგიური დაბადებების მომრავლება და ა.შ. სამწუხაროდ, ისეთ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ჯერჯერობით, საკუთარი მოთხოვნების ადგილობრივი წარმოებით დაკმაყოფილების საშუალება არ აქვს, ამიტომ სასურსათო კალათის 70-80% იმპორტირებულია. ამასთან, დაბალი შემოსავლების პირობებში, მოსახლეობას არა აქვს საშუალება, რომ არჩევანი ხარისხებს და არა ფასს შორის გააკეთოს.

მოსახლეობის ძირითადი ნაწილი იძულებულია, რაც შეიძლება იაფი პროდუქტი შეიძინოს, რაც ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქტების იმპორტირების წინაპირობას ქმნის, თუმცა გმ და ქიმიური დანამატებით გაჯერებული პროდუქტების მოხმარებით მიღებული ზიანის გამოსწორება ხშირად ძვირადღირებული სამედიცინო პრეპარატებითა და ხანგრძლივი მკურნალობითაც შეუძლებელია. შექმნილ, არც თუ სახარბიელო მდგომარეობაში მრეწველების საკანონმდებლო ინიციატივა ადგილობრივი წარმოების განვითარებისა და იაფი ადგილობრივი პროდუქციის წარმოების საშუალებას იძლევა.

მრეწველთა იცინიატივას იზიარებს და ქვეყანაში ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემოტანის სრულ აკრძალვას ეთანხმება თემაზე მომუშავე ქართველ მეცნიერთა დიდი ჯგუფი. თავის ერთ-ერთ ინტერვიუში გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, „ბიოეფექტური ტექნოლოგიების ფუნდამენტური კვლევების ინსტიტუტის“ დირექტორი და საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი დიანა ძიძიგური ამბობს: „მართალია, კანონით აკრძალულია ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის დათესვა, მაგრამ კანონით ნებადართულია ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის სურსათის ან და ცხოველის საკვების სახით საბაზრო ქსელში განთავსება. როცა ისეთი ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმი, როგორიცაა: თესლი, ტუბერი ან ბოლქვი დახლზე მოხვდება, იმის გაკონტროლება, რომ მათი ინტროდუქცია არ მოხდება გარემოში, თითქმის შეუძლებელია, რადგან ჯერჯერობით, არც შესაბამისი პროფილის ლაბორატორიები გვაქვს და ანალიზიც ძალიან ძვირადღირებულია“.

იმის გასარკვევად, თუ როგორ აფასებს გენმოდიფიცირებული ტექნოლოგიებისგან მომდინარე საფრთხეებს და რას ფიქრობს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ საკანონმდებლო ინიციატივაზე, **ᲓᲘᲐᲜᲐ ᲫᲘᲫᲘᲒᲣᲠᲘ** დავუკავშირდით:

— გენმოდიფიცირებული ორგანიზმების, მათ საფუძველზე დამზადებული პროდუქტების გამოყენებისა და ჯანმრთელობის რისკებთან დაკავშირებული კითხვები მრავალი წელია არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე ჩატარებული კვლევების უმე-



ტესობა იმალება ან იბლოკება, რაც გამოქვეყნდა, იმითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სერიოზული რისკები არსებობს, ამიტომ გონიერი ადამიანი უნდა ეცადოს ამ რისკების თავიდან აცილებას. 18 წლიანი მარათონული ბრძოლის შედეგად, წელს შევძელით, რომ გენმოდიფიცირებული თესლის გარემოში ინტროდუქცია კანონით აიკრძალა. **ამის მიუხედავად, მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა და ვაიბიზნესმენთა მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე ასობით ტონა სიმინდისა და სოიოს თესლი შემოვიდა. ამის საპასუხოდ, მრეწველები სრული აკრძალვის ინიციატივით გამოვიდნენ.**

რაც შეეხება, გმ პროდუქციის საკვებად გამოყენებას, ადამიანების რაღაც ჯგუფი ყოველთვის აპელირებდა, რომ ევროკავშირში მიღებულია, ევროკავშირს ვაწყენინებთ და ა.შ. ახლა არსებობს ევროკავშირის ახალი კანონი, 2015/412/ეუ, რომლითაც ქვეყნებს ეძლევათ სრული თავისუფლება. უნდათ აკრძალავენ თავის ქვეყანაში და უნდათ არა. ჩვენ არაფერი გვიშლის ხელს, თუ რაღაცაში ეჭვი გვეპარება, ავკრძალოთ. თუ საკითხი მაინცდამაინც ისე დგას, რომ სახელმწიფოს ეკონომიკურად უჭირს და პროდუქტი არ გვყოფნის, მაშინ ჰქონდეს თვალსაჩინო ეტიკეტირება, რომ ადამიანს არჩევანის თავისუფლება ჰქონდეს. **ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მრეწველების მიერ ინიცირებული და უკვე ძალაში შესული მარკირების კანონი კარგად შესრულდეს და სურსათის უვნებლობის სამსახური, რომელსაც კანონის შესრულებაზე კონტროლი ევალება, გულისყურით მოეკიდოს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.** სამწუხაროდ, მოსახლეობა ამ საკითხის მიმართ ძალიან ინდეფერენტულია. ყველას მოგიწოდებთ პროდუქტის შეძენამდე დაათვალიერეთ მისი ეტიკეტი და თავად გადაწყვიტეთ, გინდათ გენმოდიფიცირებული პროდუქციის შეძენა თუ არა.

დიანა ძიძიგური

— თუ სწორად ვხვდები, ეტიკეტირების შემთხვევაში, გმ პროდუქციაზე ფასმაც უნდა დაიწიოს..

— დიახ. როგორც „მონსანტოს“ კორპორაცია ამბობს, მათი მოტივაცია იყო, რომ შეექმნათ იაფი საკვები, რომლის შეძენასაც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანები შეძლებდნენ. გენმოდიფიცირებული პროდუქცია ნატურალურზე გაცილებით იაფი უნდა ღირდეს და ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მწარმოებელი გმ პროდუქციის ეტიკეტირებას ერიდება, ფასია.კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც შევეჯახეთ, არის ის, რომ მაღაზიის დახლზე ცხოველის საკვების სახით მოხვდა ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმი ანუ თესლი, რომლის თესვა აკრძალულია.

— ამ შემთხვევაში, პრობლემა რაში მდგომარეობს?

— თუ ჩვენ დახლზე დავდეთ, რა გარანტია გვაქვს, რომ ფერმერი ცხოველის გამოსაკვებად კი არა, დასათესად არ წაიღებს? მით უმეტეს, რომ კონტროლის არავითარი მექანიზმი არ არსებობს. სწორედ ამიტომ ვიბრძვით, რომ თესლის შემოტანა საერთოდ აიკრძალოს. გარემოს დაცვის, ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოგიერთი თანამდებობის პირთან ამაზე ბევრი დავა მქონდა. ბედნიერი ვარ, რომ ნახევარი ევროპა უკვე „მწვანეა“ ანუ გმ ტექნოლოგიების წინააღმდეგია. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმები ბუნებაში არ გავიდეს და მე დღე-დღეზე ველოდები, რომ იყოს ეს აკრძალვა.

— „მონსანტოს“ მოტივაციას დავუბრუნდეთ და გვითხარით, მედიკამენტების სოლიდური ფასების პირობებში, რამდენად იაფი იქნება იაფი გმ პროდუქტების მოხმარების შედეგად ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება?

— რასაკვირველია, ძალიან ძვირი იქნება. როცა მეუბნებიან, რომ გმ პროდუქციის აკრძალვას შეიძლება სოციალური აფეთქება მოჰყვეს, მე ვპასუხობ, რომ სოციალური აფეთქება მაშინ იქნება, როცა ამ საზიზღარი საკვების მოხმარების შედეგად, ადამიანებს დაუზიანდებათ ღვიძლი, თირკმელები, მთელი ორგანიზმი, რეპროდუქციური სისტემები და საკურნალო ფული არ ექნებათ. საქართველოს ყველა მოქალაქეს უნდა ესმოდეს, რომ ჩვენ რაც შევძელით, გავაკეთეთ და ახლა ყველაფერი ხალხზეა დამოკიდებული. რაც შეეხება „მონსანტოს“, ეს არის ზემძლავრი კორპორაცია, რომელსაც უკვე პოლიტიკური ბერკეტები გაჩნია. ქვეყნები მათზე დამოკიდებული გახადეს. შენი თესლი აღარ გაქვს და იძულებული ხდები, ისევ კორპორაციას მიმართო..

— როგორც ბიოლოგი, რას გვეტყვით გენმოდიფიცირებული ორგანიზმების მიერ ადამიანის რეპროდუქციულ სისტემაზე ზემოქმედების შესახებ?

— გეტყვით, რომ არსებობს კვლევები, რომელთა გასაჯაროება დიდი ზეწოლის მიუხედავად, მაინც მოხერხდა. ეს კვლევები ადასტურებენ, რომ გმ ორგანიზმები ხელს უშლიან ნაყოფის ფორმირებას და განვითარებას, რის შედეგადაც ნაყოფი მძიმედ ვითარდება და იბადებიან დეფექტიანი ბავშვები. თითქმის ყველა ბავშვს აღენიშნება ბრონქიალური ასთმა. ჭარბწონიანობაზე აღარაფერს ვამბობ.. ამ პირობებში, „მონსანტოს“ კორპორაციამ ვერ დადო ვერც ერთი მეცნიერული შრომა და მაღალი რანგის პუბლიკაცია, რომელიც დაგვარწმუნებდა, რომ ამ საკვების მიღებით არანაირი პათოლოგია არ გამოვლინდა. ფაქტია, რომ გმ ტექნოლოგიების გამოჩენის შემდეგ ჭარბწონიანობის, ალერგიულობის და სიმსივნური ტრანსფორმაციების ზრდის სტატისტიკა საოცრად გაიზარდა. რასაკვირველია, პრობლემას მარტო გენმოდიფიცირება არ ქმნის. ცხიმის შემცველი პროდუქტები, რომლებიც ჩვენთან იყიდება, ტრანსცხიმებითაა სავსე. ცოტა გენმოდიფიცირებული, ცოტა ტრანსცხიმი, ცოტა დანამატები და საბოლოო ჯამში, გამოდის არაჯანსაღი კვება.

— უკავშირდება თუ არა, ეს ყველაფერი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას?

— რასაკვირველია უკავშირდება. ტრანსცხიმების წყალობით, რომლებიც ჩვენს სპრედებსა და კარაქებში უზომო რაოდენობითაა, სრულიად ახალგაზრდა ადამიანს უკვე ქოლესტერინი აქვს დაგროვილი. ტრანსცხიმები, რომელსაც ჩვენი ორგანიზმი ვერ ინელებს, იჭრება ქსოვილში და იწყება ღვიძლის გაცხიმოვნება. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ეს სრულიად პატარა ასაკიდან ხდება. არაფერი გვიჭირს საიმისო, რომ რისკები ვერ ავირიდოთ. ჩვენ მივაღწიეთ, რომ აიკრძალა ამ თესლების გარემოში დათესვა და ახლა უნდა მივაღწიოთ საქართველოს ტერიტორიის გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების გავრცელებისგან თავისუფალ ზონად გამოცხადებას. შემდეგი იქნება ტრანსცხიმების აკრძალვა..

თუ წამყვანი ქვეყნების გამოცდილებას გავიზიარებთ, რამდენიმე ქვეყანაში შექმნილია რამდენიმე დამოუკიდებელი, ლიცენზირებული ლაბორატორია რომელიც უზრუნველყოფს სურსათის უვნებლობის მკაცრ შემოწმებასა და ანალიზს. ერთ რომელიმე წამყვან ინსტიტუტში არის რეფერალური ლაბორატორია, რომელიც აკონტროლებს ყველა სხვა ლიცენზიას. ლაბორატორიული სისტემების სრულყოფა და მოდერნიზაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია, თუ გვინდა მოსახლეობას თავიდან ავაცილოთ ჯანმრთელობისათვის სახიფათო, უხარისხო საკვები. საპარლამენტო ფრაქცია „მრეწველების“ წარმომადგენლები თვლიან, რომ არსებული რისკების პირობებში, არსებული სისტემების მკაცრი კონტროლია აუცილებელი. სათანადო ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ სურსათისა და ნედლეულის კონტროლს.

ნელი თორდია
571 35 36 88

არჩილ ბენიძე:

დროულად გადააყენონ ქადაგიძე, თორემ უკიდურეს კატასტროფამდე მივალთ!

ინტერვიუ „მემარცხენე ალიანსის“ ერთ-ერთ ლიდერთან, ბატონ არჩილ ბენიძესთან

— რამდენიმე დღის წინ ბრიფინგი გამართეთ, სადაც განაცხადეთ, რომ მალე იწყებთ აქციებს ბანკების თვითნებობების აღკვეთის მოთხოვნით.

— დიახ, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომ შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო აქციების კოორდინირების კუთხით.

მოგეხსენებათ, ლარი უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანეს სწორედ კომერციულმა ბანკებმა. ეს არის მიზანმიმართული ქმედებები, რათა ხალხში გამოიწვიონ უკმაყოფილება, დაგროვდეს მეტი ნეგატივი. ემზადებიან საშემოდგომო აქციებისთვის.

— ბანკები მოსახლეობის წინააღმდეგ რატომ გამოდიან, საბოტაჟს მიმართავენ ხელისუფლების წინააღმდეგ?

— საბოტაჟის ნიშნები აშკარაა და ამას თავისი მიზეზი აქვს. „ნაცმოძრაობის“ მმართველობის 9-წლიან პერიოდში კომერციული ბანკები ხელში ჩაიგდეს წინა ხელისუფლების მხარდამჭერებმა და ერთგულმა ხალხმა. დღეს ისინი ვალდებულნი არიან სააკაშვილის წინაშე. მათ დავალება აქვთ, შექმნან კატასტროფული ფონი ქვეყანაში. ლარის დევალვაცია გარე ფაქტორებმაც განაპირობეს, მაგრამ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამას სპეციალურად აკეთებენ ბანკები.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი ქადაგიძე და „ნაცმოძრაობის“ სხვა წარმომადგენლები, იგივე საკონსტიტუციო სასამართლოში, რომლებიც კვლავ იკავებენ ძველ თანამდებობებს, ცდილობენ არჩევნებამდე მაქსიმალურად დაძაბონ სიტუაცია, რადგან მშვენივრად იციან, არ არსებობს არავითარი გზა და საშუალება არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლის. მათ სჭირდებათ რევოლუციური გზა და ამისთვის ყველაფერს აკეთებენ.

— მოქმედების სქემა როგორია?

— კომერციული ბანკების მმართველები ძველი ნაციონალები არიან, რომლებიც, ყველას კარგად გვახსოვს, „დამსახურებების“ მიხედვით ინიშნებოდნენ სააკაშვილის ხელისუფლებაში სერიოზულ თანამდებობებზე. ეს იყო და არის ურთიერთვალდებულებები. ნურავის ექნება ილუზია, რომ ნაციონალები ჩამოშორდნენ საკვანძო პოსტებს, ისინი ნაწილობრივ აკონტროლებენ სიტუაციას ქვეყანაში და არ აძლევენ ქვეყანას ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას.

— სიტუაციის შეცვლას მოახერხებთ ამ აქციებით?

— კომერციული ბანკები უნდა მიხვდნენ, რომ, თუკი ისინი მაქსიმალურ ზეწოლას მოახდენენ მოსახლეობაზე, ხალხზე, რომლებიც მათი კრედიტორები არიან, თუ გადახდისუუნარო იქნება მოსახლეობა, ბანკი სარგებელს ვერ ნახავს.

საქართველოში დოლარიზაცია უნდა დამყარდეს.

ჩვენ გვაქვს ეროვნული სიამაყე, ჩვენი ეროვნული ვალუტა — ლარი და სახელმწიფომ უნდა მიიღოს კანონი, საქართველოში კრედიტები გაიცეს ლარში. შიდა ბაზარზე მოხდეს ლარის ბრუნვა და არა დოლარის ან ევროსი. ეროვნული ბანკი და ხელისუფლება უნდა შეთანხმდეს ამაში.

„მემარცხენე ალიანსმა“ თავის დროზე მოვითხოვეთ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ირაკლი ქადაგიძის, სმკ-ის თავმჯდომარის, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის და სხვა ყოფილ ნაციონალთა იმპიჩმენტი. ეს ხალხი არის სააკაშვილის მთავრობის მიერ დანიშნული ხალხი და მათი მოცილება ამ პოსტებიდან აუცილებელი იყო, მაგრამ, როგორც ხედავთ, კვლავ თანამდებობებზე რჩებიან და უდიდეს პრობლემებს ქმნიან.

ჩვენ კვლავ მოვითხოვთ მათ იმპიჩმენტს, თუმცა, არ ვიცით, კონკრეტულად რა აბრკოლებს ხელისუფლებას, მაგრამ იმპიჩმენტი არ ხდება. საქართველო კი უმძიმეს მდგომარეობაში ვარდება, ინფლაცია იზრდება, მოსახლეობა ღარიბდება, პანიკა ჩნდება და სწორედ ეს აწყობთ ნაციონალებს. უფსკრულშიც გადავარდნილა საქართველ; და ქართველი ხალხი, ოღონდ თვითონ იყვნენ კარგად.

— ირაკლი ქადაგიძეს პრეზიდენტობის ვადა თებერვალში ეწურება.

— თებერვლამდე შეიძლება ისეთი სიტუაცია დადგეს ქვეყანაში, ქადაგიძის კი არა, ათი ქადაგიძის გადაყენებამაც შეიძლება ვეღარ უშველოს. აქტიური ქმედებებია საჭირო. დროულად გადააყენონ ქადაგიძე, თორემ უკიდურეს კატასტროფამდე მივალთ.

კი, შეიქმნა ბანკების მაკონტროლებელი სტრუქტურა, ეს ძალიან კარგი ინიციატივა იყო, მაგრამ ეს უნდა შექმნილიყო სამი წლის წინ. დღეს ეს ქმედება აღარ არის ეფექტური.

— აქციებს როდის იწყებთ?

— ზემოთ მოგახსენეთ, რომ მიმდინარეობს მოპალარაკებები არასაპარლამენტო ოპოზიციასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. დეტალურ განხილვებს სულ მალე მოვრჩებით და აქციებსაც დავიწყებთ.

ანა ვადაჭკორია

ლადო ბოჭაძე:

200 000 ხელმოწერის შეგროვება ეს არის ბლეფი, რომელიც არაფერს შეცვლის

ვესაუბრებით არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოებისა და განვითარების ცენტრის“ დირექტორს ბატონ ლადო ბოჭაძეს.

— ბატონო ლადო, უკანასკნელ პერიოდში მაჟორიტარი დეპუტატების სტატუსის გაუქმებასთან დაკავშირებით, არაერთგვაროვანი შეფასებები გვესმის, ხელისუფლებისა და ოპოზიციურად განწყობილი პარტიების მოურიგებლობას ემატება გაურკვევლობაც, ფაქტობრივად, ვერავინ ვერ განმარტა, რა საჭიროა ამ საკითხის 5 წლით ანუ 2020 წლის არჩევნებამდე გადადება, იქნებ აგვიხსნათ, რაშია საქმე და რამდენად შესაძლებელია კონსესუსის მიღწევა?

— ამ საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლებამ დაარეგისტრირა საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომელზეც პარლამენტის 81 დეპუტატმა მოაწერა ხელი და შეიქმნა საორგანიზაციო კომისია, რომელიც ვალდებულია მოახდინოს საერთოსახალხო განხილვები. ამ კომისიის შემადგენლობაში არიან ყველა ფრაქციის წარმომადგენლ;ები და ორი პიროვნება დაემატა სამოქალაქო სექტორიდან. ეს ჯგუფი მალე მოამზადებს და წარადგენს გრაფიკს, თუ როგორ იმუშავებენ მომავალი ერთი თვის განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით. ისინი შეხვდებიან მოსახლეობას, რათა გააცნონ მათ პროექტის შინაარსი, რომელსაც წარუდგენს მათ კოალიცია „ქართული ოცნება“. „ქართულ ოცნებას“ არა აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა და „ნაციონალური მოძრაობისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ გარეშე ამ საკონსტიტუციო ცვლილების მიღება შეუძლებელი იქნება.

— მაშინ რა შეიძლება მოხდეს?

— შერეული საარჩევნო სისტემა დაგვრჩება არა მხოლოდ 2016 წელს, არამედ 2020 წელსაც, რადგანაც არ ვიცით, მომავალი პარლამენტი რა კონფიგურაციის იქნება. თუმცა, „ქართულმა ოცნებამ“ დადო პირობა იმისა, რომ ისინი მომავალ პარლამენტშიც შეიტანენ აღნიშნული ცვლილებების პროექტს, რათა 2020 წლის არჩევნები ჩატარდეს მხოლოდ პროპორციული სისტემით. თუმცა „ნაციონალებმა“ „თავისუფალ დემოკრატებთან“ და ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება, 200 000 ხელმოწერა სჭირდებათ მათ, ეს საკმაოდ ძვირი და ხანგრძლივი პროცესია. თუ ისინი მართლა შეაგროვებენ ხელმოწერების ამ საჭირო რაოდენობას და წარადგენენ პარლამენტში, მაშინ პარლამენტი ვალდებული იქნება, ეს კანონპროექტი განიხილოს. ისიც უნდა ითქვას, ეს ორივე პროექტი, ხელისუფლების მიერ ინიცირებული და ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი, ერთმანეთის იდენტურია, განსხვავება არის მხოლოდ თარიღში, ოპოზიცია ცვლილებას ითხოვს 2016 წლიდან, ხელისუფლება კი — 2020 წლიდან.

როგორც გინდა მოკლე დროში შეაგროვონ ოპოზიციურმა პარტიებმა ეს 200 000 ხელმოწერა, თუ პარლამენტში ამ კანონპროექტს უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა, ის ვერ განხორციელდება. **ვენეციისა თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებში, პირდაპირ არ ესწრება. ამიტომ ოპოზიციის მიერ საკითხის განხილვას აზრი არა აქვს.**

— აბა, რა აზრი აქვს ამ 200 000 ხელმოწერის შეგროვებას მთელი საქართველოს მასშტაბით, ან რატომ სწევენ იმ ხარჯებს, რაც ამ პროცესს ახლავს თან?

— ისინი ამ თემით ეცდებიან საერთაშორისო დონეზე ქულების ჩაწერას, გააგებინებენ უცხოელებს, რომ რაიმე ძალა გააჩნიათ ვიღაც კი მათ ლობირებას შეეცდება შემდგომში, „ქართული ოცნების“ რეიტინგს კი შეეცდებიან, რომ ჩრდილი მიაყენონ. ეს პოლიტიკური ბრძოლაა და ამ ნაწილში ისინი მოიგებენ. თუმცა, ასევე „ოცნებას“ შეუძლია თქვას, რომ მას არა აქვს რესურსი იმისა, უმრავლესობის მხრიდან, რომ 2016 წელს ჩაატარონ ამ სისტემით არჩევნები, დროში არ ესწრება, განხილვა ვერ ხერხდება და 2016 წლის პარლამენტს მიანდობენ ამ საქმის გადაწყვეტას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ არის ის, რომ მოგეხსენებათ, პარლამენტმა შეიმუშავა პროექტი, ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქების გათანაბრების და საჭიროა ეს საკითხი სწრაფად იქნეს განხილული და გადაწყვეტილება მიღებული პარლამენტის მიერ, რომ ოქტომბრის ბოლოს და მაქსიმუმ ნოემბერში კანონში გაიწეროს მაჟორიტარული ოლქების გათანაბრების შესახებ ცვლილება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც მაგ., ქუთაისს ერთის ნაცვლად ეყოლება 3 ოლქი, ყაზბეგს, თიანეთს და დუშეთს, რომელთაც ერთი ოლქი აქვთ, გაერთიანდებიან და ეყოლებათ ერთი მაჟორიტარი ასარჩევად. ამ ახალ შემოთავაზებული კანონპროექტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრები არ იცვლება, ყველას დარჩება თავისი მერი და გამგებელი, უბრალოდ, ექნებათ ერთი საარჩევნო ბიულეტენი და ერთი დეპუტატი ასარჩევი. სხვა მხრივ მათთვის არაფერი იცვლება, უბრალოდ, ნებისმიერ დეპუტატს აირჩევს ხალხის თანაბარი რაოდენობა.

— მოგეხსენებათ, ოქტომბრის ბოლოს შუალედური არჩევნები იქნება ორ ოლქში, რომელსაც საპარლამენტო ოპოზიციამ ზოგიერთ არასაპარლამენტო პარტიებთან ერთად ბოიკოტი გამოუცხადა, იმასაც ამბობენ, რომ მათ არ ჰქონდათ გამარჯვების შანსი და ბოიკოტს მიმართეს, ამაზე რას იტყვით?

— ვეთანხმები ამ მოსაზრებას, ისიც ვიცი, რომ მათ კანდიდატები შერჩეული ჰყავდათ, **„ნაციონალებს“ საგარეჯოში სურდათ კანდიდატად წარედგინათ ზურაბ ჭიაბერაშვილი, ხოლო მარტვილში კი თემურ ჯანაშია,** თუმცა, შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალეს. სხვა პარტიებს მოგების მინიმალური შანსიც კი არ ჰქონდათ. ბოიკოტი გამოაცხადეს იმიტომ, რომ არჩევნებამდე დარჩენილია 1 წელი და დამარცხება ნებისმიერი პარტიისთვის იქნება ძნელად გადასატანი, რეიტინგი დაეცემა. ასე რომ ამ ფაქტორმაც იმუშავა.

— თქვენი არასამთავრობო ორგანიზაცია, ვიცი რომ არ შეუერთდა ინტერფრაქციულ ჯგუფს, იმიტომ, რომ არ იზიარებს მათ მოსაზრებებს, რა კუთხით უყურებთ ამ მოვლენებს?

— ჩვენი ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს ქვეყნის პარლამენტთან, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ორი წევრი გამოყო საკონსტიტუციო კომისიაში, ყველას ადგილი, ცხადია, იქ ვერ იქნებოდა, და ჩვენ ვუჭერთ მხარს იმას, რომ ეს საკითხი გადაიდოს მომავალი არჩევნებისათვის, რათა, რაც შეიძლება მეტი დრო დარჩეს დაინტერესებულ მხარეებს გაცნობისთვის, ამის ფონზე კი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები იქნას გათვალისწინებული. მიმაჩნია, რომ მშვიდ გარემოში მიიღწევა ის, რომ 2020 წლისათვის ყველა ის ცვლილება, რომელიც ამ ეტაპზე დგას ქვეყნის წინაშე საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებით, უკვე სრულიად შესაძლებელი იქნება.

ეთერ კასრელიშვილი
599 110 200

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

„ქართული ეკონომიკური მკვლელები“

„მხოლოდ ჩვენ, ეკონომიკურმა მკვლელებმა შევძელით, პირველი, მართლა გლობალური იმპერიის შექმნა, ჩვენს არსენალში ბევრი მეთოდია. ყველაზე გავრცელებული მდგომარეობს იმაში, რომ ვპოულობთ ქვეყანას, რომელსაც რესურსების დიდი მარაგი აქვს და მსოფლიო ბანკის ან ერთ-ერთი ორგანიზაციის სახელით ვალად დიდ თანხას ვაძლევთ. სინამდვილეში ფული არასდროს არ აღწევს იმ ქვეყნამდე, ის ჩვენ დიდ კორპორაციაში შემოდის. არჩეულ ქვეყანაში მხოლოდ რამდენიმე მდიდარ ადამიანს ამდიდრებს, უფრო მეტად კი ჩვენს კორპორაციას. ამ ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა ამ ფულის არსებობას ვერ გრძნობს, მაგრამ მთელ ქვეყანას დიდი ვალი რჩება, იმდენად დიდი, რომ მის გასტუმრებას ვერასოდეს შეძლებს“ – ჯონ პერკინსის ორი წიგნის – „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“ და „ამერიკის იმპერიის საიდუმლო ისტორია“, წაკითხვა უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით მსოფლიოში მომხდარი თუ ამჟამად მიმდინარე, ერთი შეხედვით გაუგებარი სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმების გაანალიზებაში გვეხმარება. თუმცა მომავლის შიშიც აუცილებლად დაგვეუფლება. რა არის დოლარი, რომლის აწევ-დაწევა ყველას გვანერვიულებს? აშშ დოლარი – ეს არის ვალუტა, რომელიც სხვა ქვეყნის ფულისგან განსხვავებით, სახელმწიფოს არ ეკუთვნის. დოლარი კერძო კომპანიის საკუთრებაა, ფედერალური სარეზერვო სისტემის, რომელიც ბანკირებმა შექმნეს. 1910 წელს როკფელერები, როტშილდები, მორგანები და სხვა კერძო ბანკირები საიდუმლოდ შეიკრიბნენ კუნძულ ჯეკილზე. რათა შეემუშავებინათ კანონპროექტი, რომელიც ლოგიკურად მიიყვანდათ ფედერალური სარეზერვო სისტემის შექმნასთან. 1913 წელს ასეც მოხდა – შეიქმნა ფედერალური სარეზერვო სისტემა. ფედერალურ სარეზერვო სისტემას 12 რეგიონალური ფედერალური სარეზერვო ბანკი აქვს. ფედერალური სარეზერვო სისტემა ბეჭდავს დოლარის კუპიურებს და პროცენტიან ვალად აძლევს აშშ-ის სახელმწიფოს, რომელმაც ეს ფული უკან უნდა დაუბრუნოს ბანკს თავისი პროცენტებით. მოკლედ, თითოეული დოლარი უნდა დაუბრუნდეს ფედერალურ ბანკს პროცენტით. მთელი ფული ნასესხებია ცენტრალური ბანკიდან და გამრავლებული კომერციული ბანკების მიერ კრედიტებზე საპროცენტო დანამატის სახით. ასე რომ, ვალი თავად ხდება ფული და სადღაა ის ფული, რომლითაც უნდა დაიფაროს პროცენტი? არსად ის ფული არ არსებობს. ასე რომ, ფული, რომელიც სახელმწიფოს მართებს ბანკის უფრო მეტია, ვიდრე ფული, რომელიც ფიზიკურად არსებობს. ამიტომ საჭიროა ახალი ფულის ბეჭდვა. რათა დაიფაროს მუდმივი დეფიციტი – პროცენტები. სწორედ ამიტომ ინფლაცია უსასრულოა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დეფოლტი და ბანკროტი ამ სისტემის განუყოფელი ნაწილია. “კარგია, რომ ხალხს არ ესმის თუ როგორ მუშაობს ჩვენი საბანკო სისტემა, თორემ ხვალ დილითვე რევოლუცია მოხდებოდა“, – ჰენრი ფორდი. მკვლევარმა და წიგნის „უდიდესი საიდუმლოს“ ავტორმა საბანკო სისტემა მარტივად გაშიფრა. „ყველაფერი თევზაობას მოგვაგონებს. ბანკები აგდებენ ანკესს, უშვებენ ფულს დიდი რაოდენობით. ეს შეიძლება გააკეთონ დაბალპროცენტიანი სესხის, ბევრი კრედიტის გაცემით. ამით ფული მუდმივად იცვლის მფლობელს, რაც დიდ ეკონომიკურ აქტიურობას იწვევს, – იქმნება სამუშაო ადგილები, იხარჯება უფრო მეტი ფული, კომპანიები უფრო მეტ კრედიტს იღებენ წარმოების გასაფართოებლად. ხალხს ხვალინდელი დღის იმედი უჩნდება, – კრედიტით ყიდულობენ მანქანას, სახლს, აგარაკს, მიწას, იწყებენ მეურნეობას. ამის შემდეგ კი ბანკები სიტუაციას ცვლიან – კრედიტის პროცენტებს ზრდიან. ახლა ცოტა ადამიანი იღებს კრედიტს. რადგან პროცენტები გაიზარდა, შემოსავლების საკმაოდ დიდი ნაწილი კრედიტის დაფარვაზე მიდის. ხდება ფულის მიმოქცევიდან თანდათან ამოღება (რა ნაცნობი სურათია)უცბად აღმოჩნდება, რომ მიმოქცევაში ფული გაცილებით ცოტაა დარჩენილი, ხოლო ადამიანები უფრო და უფრო ცოტა საქონელს ყიდულობენ. კომპანიების შემოსავლები კლებულობს, ისინი თანამშრომლების შემცირებას იწყებენ, ზოგი ბიზნესს აჩერებს. ადამიანები სამსახურს კარგავენ. მათ აღარ შეუძლიათ გადაიხადონ ბანკიდან აღებული კრედიტის პროცენტები. ბანკები გადაგდებულ ანკესს იღებენ ხალხის გაბანკროტების შემდეგ და ნამდვილ სიმდიდრეს ღებულობენ - ქონებას, მიწას, რესურსებს, რომელიც მათ აღწერეს იმისთვის, რათა თქვენთვის კომპიუტერის ეკრანზე ციფრები ჩაეწერათ! საერთაშორისო დონეზე კი ბანკირები იყენებენ მსოფლიო ბანკს და მსოფლიო სავალუტო ფონდს. ფულის გარდა კიდევ რა არის საჭირო იმისთვის, რომ მსოფლიოს საბოლოო კონტროლი ჩაიგდონ ხელში? ისინი უნდა აკონტროლებდნენ ენერგორესურსებს, სურსათს, ჩვენს ჯანმრთელობას, განათლებას, მართლმსაჯულებას და ყველაფერს. “ქართული ეკონომიკის მკვლელების“ ავტორი თეიმურაზ ჭიჭინაძე, რომელიც 1998-1999 წლამდე, ვიდრე გაიყიდებოდა ქვეყნის უმთავრესი ენერგეტიკული ობიექტი „თელასი“, მისი სამეთვალყრეო საბჭოს თავმჯდომარე იყო. ამდენად, როგორც თვითონ ამბობს, პირადად უწევდა შეხვედრა “ეკონომიკურ მკვლელებთან“ და რამდენჯერმე დაუპირისპირდა კიდეც, მაგრამ თავიდან მოიშორეს. მაშინ ქვეყანაში, წიგნის ავტორის თქმით, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისადმი მიდგომა სხვანაირი იყო. დარწმუნებულები იყვნენ თუ „თელასი“ გაიყიდებოდა ენერგეტიკაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა გამოსწორდებოდა, ჩაბნელებულ დედაქალაქს ელექტროენერგია უწყვეტად ექნებოდა და ტარიფიც მოსახლეობისთვის მისაღები გახდებოდა. საპრივატიზციო სქემის ძირითადი მოთამაშე “მერლინ ლინჩი“, სერიოზული და ავტორიტეტული ამერიკული კომპანია გახლდათ, რომელსაც საქართველოს მთავრობამ დაუდო ხელშეკრულება და “თელასის“ სატენდეროდ მომზადება სთხოვა. კომპანია ორი წლის განმავლობაში სწავლობდა და გასაყიდად ამზადებდა „თელასის“ მეურნეობას. ეს უზარმაზარი ქონება 25 მილიონ აშშ დოლარად შეაფასა, სამაგიეროდ, 2 მილიონი თურმე თავად „მერლინ ლინჩის“ ავტორიტეტულმა ექსპერტებმა და დაქირავებულმა თანამშრომლებმა ჩაიჯიბეს. კომპანიამ, რომელმაც „თელასი“ 25 მილიონ დოლარად შეიძინა, მეორე წელსვე ნაყიდი ქონება მათივე გადაფასებით უკვე 200 აშშ მილიონ დოლარს აღემატებოდა. ის ფაქტი, რომ ტენდერი სწორედ თელასმა მოიგო, აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ სატენდერო პროცედურები დაირღვა და სახელმწოს ხელშეწყობით თელასმა გაიმარჯვა უსამართლო და არაკონკურენტულ ბრძოლაში. აღნიშნული კომპანიის სასარგებლოდ არაერთი არასწორი ნაბიჯი გადადგა სახელმწიფომ. დაჩქარებული წესით ორ დღეში გაუფორმა ხელშეკრულება. რამდენჯერმე გაუზარდა ტარიფები. პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად გადასცა მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ობიექტები, რითაც ხელი შეუწყო დარგის მონოპოლიზაციას და ამერიკული კომპანიის გაბატონებას, კომპანიის შემოსვლდან სამ წელიწადში „თელასის“ ტარიფი 5,5 ჯერ გაიზარდა (1,4 თეთრიდან – 7,72 თეთრამდე) უხეში გათვლებით დგინდება, რომ 2002 წლიდან 2012 ჩათვლით „თელასმა“ დაახლოებით 22,6 მილიარდი კილოვატსაათი ენერგია მიაწოდა მომხმარებელს და თითოეულ კილოვატსაათზე მიიღო 6,32 თეთრით მეტი ვიდრე 2002 წლამდე არსებული ტარიფით მიიღებდა. შედეგად „თელასმა“ მოსახლეობისგნ ათი წლის განმავლობაში, ტარიფის გაზრდით, 1 მილიარდ 430 მილიონი ლარით მეტი მიიღო, რაც სხვა არაფერია, თუ არა „ეკონომიკური მკვლელობა“ ჩადენილი 520 ათასზე მეტი ღატაკი აბონენტის წინააღმდეგ. წიგნში აღწერილია თუ როგორ ჩაიგდო ხელში „ენერგო პროჯორჯიამ“ საქართველოს მთელი ენერგოგამანაწილებელი სისტემა, კორუფციული გარიგების გზით. საქართველოში შემოყვანამდე როგორ მოუმზადეს სასათბურე პირობები, როგორ გაუსუფთავეს ვალებისგან შესაძენი ობიექტი. ჩამოაწერეს 700 მილიონი ლარის დავალიანება. “ენერგოპროჯორჯიამ“ პირობა დადო, რომ 85 მილიონ დოლარს შეძენილი ჰესების რეაბილიტაციაში ჩადებდა. 100 მილიონს კი ახალი ჰესების მშენებლობაში. აღნიშნული ინვესტიციები ტარიფში აისახა, თუმცა პრაქტიკულად არ განხორციელებულა. ამის მიუხედავად, მომხმარებელი დღემდე იხდის ტარიფში ჩადებულ ამ თანხას. სამაგიეროდ, თავად დამატებით 2,6 მილიარდი ლარის შემოსავალი ჩაიდო. საქართველოში ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომპანიამ კი, რომელიც მოვალე იყო მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ორგანიზაცია ყოფილიყო, ენერგოობიექტების გასხვისების, გაჩუქების, მიტაცების თუ უსამართლო, გაბერილი ტარიფების დადგენის საქმეში, მთელი ამ წლების განმავლობაში, მეტად უარყოფითი, უზნეო და არაეროვნული როლი შეასრულა. იგი მიუკერძოებელი არბიტრის ნაცვლად, მთლიანად დაინტერესებული კლანებისა და კორუფციული ჯგუფების ინტერესების სამსახურში იდგა და დღესაც იგივე პოზიცია უჭირავს. ამიტომაც გვაქვს ქვეყანაში ასეთი უსამართლოდ გაბერილი ტარიფების სისტემა. რისთვისაც ვერაფერი მოგვიხერხებია და ვიღაცის გასამდიდრებლად მილიონებს ვიხდით.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი

თეატრალური დოსაწყისების ოცდაცა

გიორგი ტოვსტონოგოვი

28 სექტემბერს დიდი რეჟისორის, ლენინგრადის დიდი თეატრის ლეგენდარული ხელმძღვანელის, საქართველოში დაბადებული და აქ გაზრდილი გიორგი ტოვსტონოგოვის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა.

გასული საუკუნის დასაწყისში პეტერბურგში გაიცნეს ერთმანეთი ალექსანდრე ტოვსტონოგოვმა და თამარ პაპიტაშვილმა, რომლებიც უმაღლესი განათლების მისაღებად იყვნენ ჩასული „ჩრდილოეთ დედაქალაქში“ – რუსული თავადაზნაურული გვარის წარმომადგენელი რკინიგზის ინსტიტუტში სწავლობდა, ქართველი გოგონა კი საოპერო კარიერაზე ოცნებობდა და იქაური კონსერვატორიის სტუდენტი იყო. მალევე დაოჯახდნენ, ეყოლათ ვაჟი. ასე რომ, გიორგი ტოვსტონოგოვისთვის პეტერბურგი არ ყოფილა შემთხვევითი ქალაქი.

სკოლა 15 წლისამ დამთავრა. ამ ასაკისა უმაღლესში ვერ ჩააბარებდა, ამიტომაც ხშირად დადიოდა მოზარდმაყურებელთა თეატრში, რომელიც სახლის გვერდით მდებარეობდა და რკინიგზის ინსტიტუტში, სადაც მამამისი კათედრის გამგედ მუშაობდა. საბოლოო არჩევანი თეატრის სასარგებლოდ გაკეთდა. ვიდრე სრულწლოვანი გახდებოდა და მოსკოვში, თეატრალურ ინსტიტუტში განათლების მისაღებად გაემგზავრებოდა, თეატრში ჯერ მსახიობობდა, შემდეგ კი ჩეხოვის პიესაც კი დადგა. როცა მოსკოვში სწავლობდა, ყოველწლიურად ერთ სპექტაკლს მაინც დგამდა „მოზარდში“.

37-ის რეპრესიულმა ტალღამ გიორგის მამის სიცოცხლეც შეიწირა. „იაპონიის ჯაშუშობაში“ ბრალდებულის შვილი ინსტიტუტიდან გარიცხეს, მაგრამ მალევე აღადგინეს – ამბობენ, სტალინის ნათქვამმა, „შვილი მამაზე პასუხს არ აგებსო“, სულზე მოუსწრო გიორგისა და გიორგის მსგავს ათასობით ახალგაზრდას.

1938 წელს დრამის რეჟისორის დიპლომით დაუბრუნდა თბილისს.

რვა წლის განმავლობაში მუშაობდა აქ: გრიბოედოვის თეატრში – რეჟისორად და თეატრალურ ინსტიტუტში ლექტორად. მაშინდელმა რექტორმა აკაკი ხორავამ 24 წლის ნიჭიერ და პერსპექტიულ ახალგაზრდას სამსახიობო ჯგუფის ხელმძღვანელობა ჩააბარა. აქედან დაიწყო მისი პედაგოგიური მოღვაწეობაც.

რეჟისორი რეზო ჩხეიძე: „რეჟისურას გვიკითხავდა ისეთი გიგანტი, როგორიც იყო გიორგი ტოვსტონოგოვი, არადა, 27-28 წლისა იყო, ჩვენ რომ გვასწავლიდა. მისი მსგავსი პედაგოგი მე არ მინახავს. ის სტილი, რომლითაც ტოვსტონოგოვი გვზრდიდა, იყო სტანისლავსკის სისტემის თავისებური გაგება. ანალიტიკურად გვიხსნიდა, ცნობიერიდან არაცნობიერისკენ მივყავდით. ცნობიერით ხომ ანალიზს აკეთებ, რაც გეხმარება იპოვო მთავარი და ჩააბა არაცნობიერი. რასაც დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია მეცნიერულად ამტკიცებდა, გიორგი ტოვსტონოგოვი პრაქტიკულად გვაჩვენებდა. ამიტომ იყო, რომ ტოვსტონოგოვთან ცუდად არავინ თამაშობდა, ყველაზე უნიჭო

გიორგი და მისი და – ნათელა-დოდო

მსახიობიც კი კარგი იყო. მე მგონი, ცოტა ჰიპნოზირებაც შეეძლო“.

როცა ტოვსტონოგოვი თეატრალურში მივიდა, ახალგაზრდებს, ჰეროიკული რომანტიზმის გარდა, გაუჩინა სიახლის მოთხოვნილება. მან აღზარდა ფსიქოლოგიური თეატრის მსახიობებისა და რეჟისორების მთელი პლეადა... ტოვსტონოგოვის იდეებმა მართლაც წარუშლელი გავლენა მოახდინა ქართულ თეატრზე. მართალია თბილისიდან წავიდა, მაგრამ აქ დარჩნენ მისი მოწაფეები, რომლებსაც თავის მხრივ სხვები აღზარდეს: მიხეილ თუმანიშვილი – ტოვსტონოგოვის სკოლა-გამოვლილი, რობერტ სტურუა და თემურ ჩხეიძე – თუმანიშვილის მოწაფეები. როცა ტოვსტონოგოვი აქედან გაემგზავრა, თეატრალური ინსტიტუტის ბევრმა სტუდენტმა არჩევანი შეიცვალა – მსახიობის ნაცვლად, თეატრმცოდნეობას გაჰყვა ხოლო რეზო ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძისთვის თეატრალური ინსტიტუტიდან გიორგი ტოვსტონოგოვის წასვლა ის ბოლო ბიძგი აღმოჩნდა, რის შემდეგაც გადაწყვიტეს მათ მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში სწავლის გაგრძელება. ქართული კინოს დიდი რეჟისორები, მათივე აღიარებით, თავიანთ ფილმებში სწორედ ტოვსტონოგოვის იდეებს ავითარებდნენ.

სამუშაო პროცესი

მოსკოვში წასვლის რამდენიმე მიზეზს ასახელებენ – პირადი ცხოვრება არ აეწყო მსახიობ სალომე ყანჩელთან, თუმცა იმასაც ამბობენ, აკაკი ხორავასთან უთანხმოების გამო მიატოვა აქაურობაო.

მსახიობი, რეჟისორი ლილი იოსელიანი: გიორგი ტოვსტონოგოვს თბილისში თეატრის დაარსება სურდა, თავისი სამსახიობო ჯგუფის წევრების (ჩახავა, ყანჩელი, გიჟიმყრელი, ურუშაძე, ქუთათელაძე) წაყვანაც, რომლებთანაც უკვე არაერთი შესანიშნავი სპექტაკლი ჰქონდა დადგმული. აკაკი ხორავამ, რომელიც მაშინ თეატრალურ ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა, ერთ-ერთი საუკეთესო დადგმა დაუწუნა, თუმცა კონკრეტული შენიშვნები არ გამოუთქვამს. გენერალური რეპეტიციის შემდეგ კულისებს შემოვრჩი და მოწმე გავხდი ხმამაღალი ლაპარაკისა, რომელიც ყვირილში გადაიზარდა. ხორავა საყვედურობდა, ჩემ ზურგს უკან ამის გაკეთება როგორ გაბედეო, ტოვსტონოგოვი კი, მეტისმეტად აღელვებული, აკაკი ხორავას ეუბნებოდა, თქვენ პატარა ბიჭი ხომ არ გგონივართო.

რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე: „როცა თეატრალურ ინსტიტუტში რექტორად მივედი, პირველი, რაც გავაკეთე, კედელზე გიორგი ტოვსტონოგოვის პორტრეტი დავკიდე. აქ ხომ მათი პორტრეტებია, ვინც



ეს დაწესებულება დააარსა. ტოვსტონოგოვმა უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში, ამ ინსტიტუტის მეშვეობით კი მისი ზეგავლენა გავრცელდა მთელს ქართულ თეატრზე. მისი დამსახურებით მოვიდა ახალი თაობა რუსთაველის თეატრში, რეჟისორები და მსახიობები – მარჯანიშვილში. როგორც პედაგოგმა, როგორც შემოქმედმა, როგორც მოქალაქემ ისეთი კვალი დაგვატყო ყველას, რომ სიცოცხლის ბოლომდე მის მოწაფეებად დავრჩებით. გიორგი ტოვსტონოგოვმა ამიხილა თვალი და ახლებურად დამანახვა ხელოვნება. ის სპექტაკლებს კი არ დგამდა, თეატრებს ქმნიდა, ქმნიდა აზროვნებისა და დადგმის მეთოდების სისტემებს, თანამოაზრეთა გუნდებს.“

მოსკოვში 2-3 წელი იმუშავა, შემდეგ ლენინგრადში წავიდა – რეჟისორად ლენკომის თეატრში, რომლის მთავარი რეჟისორიც ერთ წელიწადში გახდა.

სულ მალე – 1956 წელს ლენინგრადის დიდი დრამატული თეატრის რეჟისორობა შესთავაზეს. იმ დროს ამ დიდი ტრადიციების თეატრს თეატრალური ცხოვრების აუტსაიდერებს შორის მოიხსენიებდნენ, ბოლო წლებში მთავარი რეჟისორიც კი არ ჰყოლია და ფაქტობრივად მსახიობთა დასი მართავდა და „ჭამდა“ „მმართველ“ რეჟისორთა კოლეგიას. თეატრი დახურვის პირას მივიდა.

გიორგი ტოვსტონოგოვმა თავდაპირველად უარი თქვა შეთავაზებაზე, მაგრამ დაიყოლიეს – 1956 წლის თებერვალში ლენინგრადის „ÁÄÒ“-ს მთავარი რეჟისორი გახდა. თეატრის რეორგანიზაციას შეუდგა, დასის პირველსავე შეკრებაზე მსახიობებს განუცხადა – დაიმახსოვრეთ, საკვებად არ გამოგადგებით, საკვებად უვარგისი ვარო... და ძირეული რეორგანიზაცია და თავისი პროგრამა გამოაცხადა.

33 წელი ხელმძღვანელობდა ამ თეატრს და დაქცეული თეატრალური სცენა კავშირის მასშტაბით „პირველ სცენად“ აქცია. ამ წლებს თეატრის ისტორიის „ოქროს ხანად“ აფასებს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია თეატრი და თეატრალური კულტურა. გიორგი ტოვსტონოგოვის მიერ დადგმულ სპექტაკლებს სცენურ რომანებად მოიხსენიებენ, კლასიკურ თუ ახალ პიესებში ცხოვრებას ასახავდა, ახლებურად, ეპიკურად, ტოვსტონოგოვისებურად. არ უყვარდა სიტყვა „კონცეფცია“, უპირატესობას ანიჭებდა „მიხვედრას“, „ამოცნობას“, „წვდომას“... ცდილობდა, ჩასწვდომოდა თანამედროვე ადამიანის სულის ლაბირინთებს და ეს ქვეცნობიერი უბრალოდ, დამაფიქრებლად მიეტანა მსახიობებამდე, მაყურებლებამდე. ამ თეატრში აიდგეს ფეხი და ტოვსტონოგოვის სპექტაკლებით სახელი მოხვეჭეს სახელგანთქმულმა მსახიობებმა, რომლებითაც ამაყობდა და ამაყობს რუსული თეატრალური სამყარო.

...ამერიკაში ბოლო გასტროლის დროს იქაურ ექიმებთან სრული გამოკვლევა ჩაიტარა. შინ დაზაფრული დაბრუნდა. ახლობელს უყვებოდა: „ყველაზე საზარელი ფილმი ვნახე – ჩემი სისხლძარღვები, ჩემი გული...“ უთხრეს, თუ სიგარეტს თავს არ დაანებებ, ორი წელიც ვერ იცოცხლებთო. სიგარეტის მოწევას თავი დაანება, ლენინგრადელმა ექიმებმა რატომღაც მუშაობის ნება დართეს. ზუსტად ერთ კვირაში დაიწყო რეპეტიციები და სიგარეტის მოწევაც – მძიმედ ავადმყოფმა, ძალისხმევის დაძაბვის ფასად...

1989 წლის 23 მაისს, დიურენმატის „მოხუცი ქალბატონის ვიზიტის“ გენერალური რეპეტიციის შემდეგ, სპექტაკლის პრემიერის დღე დანიშნა, თეატრის მსახიობებს დაემშვიდობა, მიუჯდა თავისი მანქანის საჭეს და სახლისკენ გაემართა. სუვოროვის მოედანზე მანქანა მოულოდნელად გაჩერდა და აღარც დაძრულა ადგილიდან. ექიმების დასკვნით, პაციენტი ინფარქტით გარდაიცვალა. გიორგი ტოვსტონოგოვი ალექსანდრე ნეველის ლავრაში დაკრძალეს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

თანამედროვე ქართული თეატრი ანტიეროვნული სარეპერტუარო პოლიტიკით სულდგმულობს და ასეთი პოლიტიკა ქართველი ერის ბუნებრივი განვითარების დამღუპველია.

თავდაპირველ მომართვაში ისტორიული დრამა „ცოტნე დადიანის“ რეპრესირებაზე გწერდით. ახლა დავძენ, ამჟამად რეპრესირებულია საქართველოს ისტორიის თემაზე ოდესმე დაწერილი ყველა დრამატული ნაწარმოები, რასაც თეატრალური აფიშები ცხადყოფენ.

არსებული უმძიმესი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი არის საქართველოს თეატრების სარეპერტუარო პოლიტიკის შეცვლა იმგვარად, რომ თეატრებმა ქართული ისტორიული პიესები თანაზომიერად შეიტანონ რეპერტუარში და სცენაზე წარმოადგინონ სპექტაკლები. ამ საშვილიშვილო საქმის გაკეთებას მხოლოდ მაშინ შეძლებენ თეატრების მესვეურები, როდესაც საქართველოს ხალხის შრომით შექმნილი სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ქართველი ხალხის არჩეული ხელისუფლება საკუთრივ ქართული ისტორიული პიესების სცენური განხორციელებისთვის უშუალოდ თეატრებს ჩაურიცხავს საკმაო თანხას.

ბატონო პრემიერ-მინისტრო, თქვენ ხელგეწიფებათ ამ დიდი ეროვნული საქმის კეთილად დაგვირგვინება!

უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების უფლება-მოვალეობით აღჭურვილი სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრის, ანუ ქართულად რომ ვთქვათ, პირველი მსახურის დღენიადაგ საზრუნავი ხომ მისი უდიდებულესობა ქართველი ერის საკადრისი მომავალია!

ისტორიული დრამატურგია არის გმირ წინაპართა გაცოცხლება შთამომავლობის ცნობიერებაში, ხოლო „აღდგენა ისტორიისა — ერის გამოცოცხლებაა, გამხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან“.

ამას გვასწავლის ქართველი ერის დიდი სულიერი მოძღვარი, გენიოსი მწერალი და მოაზროვნე, საქართველოს უგვირგვინო მეფე ილია ჭავჭავაძე — წმინდა ილია მართალი!

ღვთაებრივი ილიას ანდერძით ბრძოლა გამუდმებით, ამჟამად კი გაათმაგებული ძალით გვჭირდება შინაური და გარეული მტრებისგან აგრე დაჩაგრულ ქართველ ერს, ბატონო საქართველოს პირველო მსახურო!

სამშობლოს სამსახურში
თქვენი დიდი გამარჯვების
გულითადი სურვილით
ზურაბ რატიანი,
ისტორიკოსი, პროფესორი

პირველი ცნობიერების განმანათლებლები

ცრუ რეფორმატორები თანმიმდევრულნი არასოდეს არიან. ხშირად ავიწყდებათ ის, რომ თუკი ჯაჭვს დაადებენ კისერზე ნამდვილ ნოვატორს, მისი მეორე ბოლო მათ შემოეხვევა. ჭეშმარიტი რეფორმატორი სულიერ მახვილს იყენებს, რომელსაც ისე შეუძლია რეტროგრადიზმის მოკვდინება, რომ ამ უკანასკნელს არაფერი ავნოს. რეტროგრადის ზრახვები ნოვატორის აზრები არაა და მისი ასავალ-დასავალი — ახლის შემოტანის გზები. ნამდვილმა რეფორმატორებმა მრავალი არგუმენტი მოიტანეს თავიანთი იდეების დასამტკიცებლად. ამის საპასუხოდ ფსევდო განმანათლებლებმა ბევრი საპირისპირო შეხედულება წამოაყენეს. მაგრამ ნამდვილი ნოვაცია დიდად აღემატება ცრუ რეფორმატორის წარმოდგენას.

წარმოჩენას ისევ წინ მივყავართ განათლების სრულყოფის მხრივ. თუკი ცრუ რეფორმატორებს მივცემთ იმის გატანის უფლებას, რაც მათ მოეპრიანებათ, მაშინ საქმე გვექნება მომავალი თაობის აღზრდის ძალიან ცუდ პრეცედენტთან. ამის შედეგად კი თვითკმაყოფილების ჩვევები უფრო მეტად იჩენენ თავს. ეს კი არაა რეფორმა, არამედ პაროდია რაფორმაზე. რა იქნება შედეგი? პერმანენტული რეფორმაცია, რეფორმა რეფორმისათვის?

საჭიროა მოძრაობა ალფადან ომეგასაკენ. სწავლის მიმართ სტუდენტისა და საჯარო სკოლის მოსწავლის ინტერესის გაზრდის მიზნით სრულყოფილი შემოქმედებითი მეთოდის შემუშავება შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, მოაზროვნე სტუდენტის გონებას არ შეუძლია მოიცვას იგი. ყოველი საგანმანათლებლო მოთხოვნილებისათვის ჩვენს უბადრუკ გარემომცველ სინამდვილეშიც კი არსებობს ამ საჭიროების დასაკმაყოფილებელი საშუალება. რანაირმა ამპარტავნობამ ან უვიცობამ უნდა გვაიძულოს ვთქვათ, რომ ელემენტარული მოთხოვნილებისათვის (სამეცნიერო ხარისხის მქონე ლექტორისათვის) ადმინისტრაციის მხრიდან ხელშეწყობის პირობებში არ არსებობდეს დასაკმაყოფილებელი რეალობა? ოღონდ გავიხსენოთ ჰომუნკულუსი — „ფაუსტის“ სინჯარაში შექმნილი ხელოვნური ადამიანი. მას მუდამ სციოდა. ქართული განათლების მესაჭეებიც ჰუმუნკულუსის ნიშნის ქვეშ იმყოფებიან. თუმცა, მისგან განსხვავებით, მათ მუდამ სიცხე აწუხებთ, რადგან მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ. ვინაა განათლებისა და სინათლის მომტანი ქვეყანაში?

რა აძნელებს პასუხს? რეფორმა გამუდმებულ ცვალებადობას და განახლებას გულისხმობს. იქ, სადაც არაფერია ცვალებადი, ძნელდება პასუხიც კითხვაზე. ზედაპირულად შესწავლილი პრობლემა გვაშორებს რეფორმის განხორციელებისგან, მაგრამ მის ღრმად ტისა და სკოლის მოსწავლის უნარ-თვისებათა მთელი კომპლექსის განვითარება ზემოთქმულ მიდგომას, მაინც, გარკვეულწილად, ხელეწიფება. შემოქმედებითი ლექციების (გაკვეთილების) პროექტი, მიზანი და ამოცანა ცხადად უნდა იყოს განსაზღვრული. უმიზნოა „კარგ შინაარსთან“ ერთად „სწავლების კარგი პროცესის“ დაპროექტება, თუკი საბოლოო მიზანი მკვეთრად ჩამოყალიბებული არ იქნება. შემოქმედებითი მეთოდის განსახორციელებლად საჭიროა ამოსავალი პრინციპებისა და ორიენტირების ფორმულირება. ამიტომ კონკრეტული ამოცანები, ძალიან მოკლედ, ამგვარად უნდა იქნას განსაზღვრული: სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების ჩართვა მრავალმხრივ მუშაობაში; ახალი იდეების ათვისება: ახალი ამოცანების გადაწყვეტის მიზნით საზრიანობისა და სწრაფი რეაქციის განვითარება; სასწავლო მასალის მკაცრი შერჩევა; ყოველი ორგანიზებული სასწავლო მასალის მრავალჯერადი განეორება; ინდივიდუალური მიდგომა; ცოდნა — შემოქმედების ფუნდამენტი.

ნუგზარ გულორდავა,
პროფესორი

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.
მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63

ქოზიფას მამათა მონასტრის
განვითარების ფონდი



დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თბილისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001

„ჭყონდიდობა“ — ტრადიცია, რომელიც გრძელდება

25 სექტემბერს მარტვილში „ჭყონდიდობა“ გაიმართა.

***შემოდგომისთვის მცხუნვარე და მწველი მზის მიუხედავად თითქმის მთელმა მარტვილმა რაიონის ცენტრში მოიყარა თავი. დილიდანვე ისმოდა ხალხური სიმღერები, ლექსები და მხიარული ყიჟინა ამ მართლაც შესანიშნავი ღონისძიების აღსანიშნავად. ახალგაზრდები ძველკოლხურ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილები, ბედაურებზე ამხედრებულები დასეირნობდნენ რაიონის ქუჩებში.**

ლალი ლ.: „ძალიან მომწონს, რომ ტრადიცია გრძელდება. ხომ ხედავთ, ხალისი იგრძნობა, მომავლის იმედს გვიცოცხლებს ის, რომ მარტვილზე ზრუნავს ჩვენი ხელმძღვანელობა. მათი წვლილი დიდია იმაში, რომ წელს „ჭყონდიდობა“ ასე გრანდიოზულად ტარდება.

ემზარი გ.: – კარგია. კმაყოფილი ვარ. მარტვილს ეკუთვნის ზეიმი. საზეიმო განწყობა გვაქვს, რაც გავიარეთ მთელი 9 წელიწადი, იმის შემდეგ ამოისუნთქა რაიონმა. პრობლემები არის, რა თქმა უნდა, მაგრამ უკეთესის იმედი გვაქვს“.

„ჭყონდიდობა“ მართლაც სახალხო დღესასწაულია და არა კერძოდ რომელიმე პარტიის ან ხალხის ჯგუფის. მიუხედავად იმისა, რომ დღესასწაულზე „ქართული ოცნების“ მაისურიანი ახალგაზრდებიც იყვნენ, იქ იყო ყველა, ნაციონალიც, არანაციონალიც, დემოკრატიაც და კომუნისტიც.

კარლო დ., 74 წლის: „ჭყონდიდობა“ დიდი დღესასწაულია. მადლობა ყველას, ვინც ამ კარგი დღის აღნიშვნას ესწრება, ვინც აგრძელებს ტრადიციას. გიორგი ჭყონდიდელი მარტვილელი იყო. მარტვილი ჩვენს ქვეყანას ყოველთვის ედგა მხარში და ასე იქნება მუდამ.

რა თქმა უნდა, ქვეყნისთვის, რაიონისთვის, კუთხისთვის მთავარია მისი ხალხი, მაგრამ მარტვილს კარგი ხელმძღვანელობა რომ არ ჰყავდეს, საქმე წარმატებულად ვერ წარიმართებოდა“.

წლეულს „ჭყონდიდობა“ საუკეთესოდ აღინიშნა, თქვეს მარტვილელებმა ჩემთან საუბარში და ეს არ იყო მხოლოდ სიტყვები. მარტვილელებმა ჩემთან საუბარში და ეს არ იყო მხოლოდ სიტყვები. მარტვილში სიცოცხლე დუღდა და გადმოღუღდა 25 სექტემბერს.

ალექსანდრე გრიგალავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი: – მარტვილი ჩემი სახლია და როგორც სახლში გვინდა სიწყნარე, სილამაზე, წესრიგი, ასევე მსურს მთელი მარტვილისთვის. ჩემი თავი შემოვევლოს ჩემს რაიონს.

ორი დიდი პროექტი განვახორციელეთ. ჭყონი-თამაკონი-ნამგოლაო-ლეძაძამეს გზის რეაბილიტაცია სრულიად მოვახდინეთ, მალე ნოქალაქევი-სენაკის ცენტრალურ გზას დაუკავშირდება ეს მაგისტრალი.

გზებით ვიწყებ საუბარს, იმიტომ, რომ გზები ყველაზე დიდი პრობლემა იყო რაიონში წლების განმავლობაში.

დღეს, ამ საზეიმო განწყობისას, მხოლოდ ამ დღესასწაულის მართლაც დიდი მნიშვნელობით არ შემოვიფარგლები, ამიტომაც გიყვებით გაკეთებულ საქმეებზე და იმაზე, რომ რაკი ვდღესასწაულობთ, საზეიმოდაც გვაქვს საქმე. „ჭირსა შიგან გამაგრებაო“, ხომ გაგიგონიათ?! პრობლემები არის, მაგრამ რისი გაკეთებაც შევძელით, ეს არაა პატარა საქმე.

მოკლედ ისევ გზებზე გეტყვით, სენაკი-ბანძა-ლეხაინდრაო-ხონის დამაკავშირებელი გზა თავისი ხიდებითა და ბოგირებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა არის ჩვენი რაიონისთვის.

გზების რეაბილიტაცია მომავალი წლისთვისაც გაგრძელდება.

ჩვენი რაიონისთვის წყლის პრობლემა კვლავ აქტუალურია. განსაკუთრებით სოფლების მაღალმთიანი ნაწილისთვის. წყალმომარაგების სისტემების სრულ აწყობაში ვცდილობთ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროც ჩავრთოთ. მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ვფიქრობთ, დაგვეხმარებიან“.

ბატონი ალექსანდრე გრიგალავა, მარტვილის გამგებელი, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი გახლავთ, იგი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია რაგბიში.

მისი ერთ-ერთი პრიორიტეტი რაიონში სპორტის განვითარებაცაა.

ალექსანდრე გრიგალავა: რაიონში საფეხბურთო კლუბ „მერნის“ სტადიონი გავხსენით. გადაწყვეტილი გვაქვს სპორტული კომპლექსის მშენებლობა.

ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს ვაკეთებთ. თუმცა არის პრობლემები, რაც ჯერჯერობით აფერხებს ჩვენი ჩანაფიქრების განხორციელებას. გაზიფიცირების საკითხი ფერხდება, ეს კი ბიზნესმენებს, ინვესტორებს ინვესტიციების განხორციელების საშუალებას არ აძლევს.

იმედი მაქვს, პრობლემებს გადავჭრით. ყოველივე ეს მარტვილის განვითარებას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება„ ხელისუფლების მმართველ ძალას წარმოადგენს, მარტვილში მიღწევები არის, თუმცა პრობლემები ბევრია და მიუხედავად იმისა, რომ დღეს დიდი დღესასწაულია, მე მაინც არ ვმალავ იმას, რაც გასაკეთეველია რაიონში და რაც უნდა გაკეთდეს. ჩვენ ამას შევძლებთ. შემოგევლეთ ძვირფასო მარტვილელებო, ჩვენო სტუმრებო, გილოცავთ ყველას „ჭყონდიდობას“!.

ამ დღის აღსანიშნავად ღვთისმშობლის მიძინების საზეიმოს საკათედრო ტაძარში წირვა აღავლინა ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა პეტრემ (ცაავა).

დღესასწაული ძალაში შევიდა.

ქალაქის ცენტრში დაიწყო კონცერტი მარტვილის სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით.

ღვთიური ხმებით მღეროდნენ პატარები ჩონგურზე, ფანდურზე, აბობდნენ ლექსებს.

„ჭყონდიდობის“ სტუმრებს შორის სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელიაც გახლდათ.

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია: „უდიდესი დღესასწაულია „ჭყონდიდობა“ და მას სერიოზული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხისთვის. ყველა ჩვენგანმა უნდა ვიღვაწოთ, რომ ჩვენი ღვაწლით ოდნავ მაინც მივუახლოვდეთ ჭყონდიდელის ღვაწლს, რომელიც ამ დიდ ადამიანს აქვს გაწეული მთელი საქართველოსთვის.

სრულიად საქართველოს ვუ ლოცავ ამ დიდებული ადამიანის სახელობის დღესასწაულს, განსაკუთრებით მარტვილელებს ვუ ლოცავ“.

დღესასწაულის მოლოცვას შეუერთდნენ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი შუალედურ არჩევნებში, ბატონი **სოსო დანელია,** გუბერნატორის მოადგილეები, სხვა თანამდებობის პირები, ადგილობრივი ბიზნესმენები.

სტუმართა შორის იყო ეროვნული მოძრაობის ძველი წარმომადგენელი, ბატონი **თეიმურ ქორიძე**: „მარტვილი უძვირფასესია ჩემთვის. ეს რაიონი იგივეა, რაც ჩემი უსაყვარლესი აკაკი გაწერელია, მასწავლებელი, მოძღვარი, მეგობარი.

გიორგი ჭყონდიდელი უდიდესი მამულიშვილი იყო. ყველა ჩვენგანისთვის ის მაგალითია დღემდე.

ქართულ საზოგადოებრიობას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ არსებობდნენ ღირსეული ადამიანები, რომელთაც უნდა მივბაძოთ და მათი ცხოვრება ჩვენთვის მაგალითი უნდა იყოს.

აი, დღეს ჩვენ ყველანი მხიარულად ვართ, ერთმანეთს ვეფერებით. ასე უნდა ვიყოთ ყოველთვის“.

მზე ნელ-ნელა ცხრებოდა, მაგრამ ქალაქის ცენტრში კვლავ ისმოდა ტკბილ მეგრულ მელოდიებს შერეული თანამედროვე ჰანგები, თუმცა ფოლკლორულ ანსამბლ „შავლეგოს“ შესრულებულმა მრავალჟამიერმა და სხვა ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა მარტვილის ზეცა უფრო დაატკბო, უფრო კეკლუცი გახადა გარემო, გული გაავსო სითბოთი და სიამაყით, რომ ქართული ჯიში კვლავ აგრძელებს არსებობას.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18
მარტვილი.